ლელო
გამოცემის 75-ე წელიწადი
№071 (12750) 27 მარტი პარასკევი 2009 ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუშინ დიღომში რაგბი ჩაენერა
» 11

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვიპროსზე სეტყვა ცუდად ენიშნათ...





## მეთიუ ბრაიზამ გამარჯვება გვიწინასწარმეტყველა

ახალი ამბები კუნძულიდან » 2

## მენთეშაშვილმა ვარჯიში შეწყვიტა...

დავით ცაბაძე
ლარნაკადან

მარტი კვიპროსშიც მარტია - წვიმა, უცებ სეტყვა... მაგრამ იმედია, დღეს და ხვალ დარი იქნება, თამაშებიც ნორმალური გამოვა და, რაც მთავარია, წარმატებულიც.

ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი ადგილზეა. გუშინ ექტორ კუპერმა ბიჭები 18 საათისთვის შეკრიბა და დაახლოებით ერთ საათს ავარჯიშა. რამდენიმე წუთი იყო გასული, რომ ზურაბ მენთეშაშვილი იძულებული გახდა, ვარჯიში შეეწყვიტა. მიზეზი კუნთის ტრავმა იყო, რომელიც ნახევარმცველს მანამდეც აწუხებდა. კი მითხრა აეროპორტში, უკეთ ვარო, მაგრამ... ეტყობა, დატვირთვამ თავისი ქნა. ასე რომ, მენთეშაშვილი შეიძლება დაგვაკლდეს, თუმცა მთლად უიმედოდ არ ვართ. იმედია, ექიმები ყველა ღონეს იხმარენ, რომ ნაკრებისა და „ვენტსპილსის“ ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე ფეხზე დააყენონ.

თავად ვარჯიშზე კი განსაკუთრებული არაფერი ყოფილა - „ფიზიკა“, ორმხრივი თამაში, ტაქტიკური კომბინაციები, კარში დარტყმები და ასე შემდეგ. უჩა ლობჟანიძემ და გიორგი შაშიაშვილმა, რომელთაც ასევე ტრავმები აწუხებდათ, ბოლომდე ივარჯიშეს...

დღეს გენერალური წვრთნაა. მანამდე, კუპერის პრესკონფერენციაც იგეგმება.





## კიმი აგვისტოში დაიწყებს

ბელგიელმა დაბრუნება დაადასტურა
» 14

კვიპროსი-საქართველო

# კვიპროსზე სეტყვა ცუდად ენიშნათ...

## მეთიუ ბრაიზამ გამარჯვება გვიწინასწარმეტყველა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ქართულმა დელეგაციამ დილის 9 საათიდან დაიწყო შეკრება. ეროვნულ ნაკრებს ორი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლდა - „მილანის“ მცველი **კახა კალაძე** და „შალკეს“ ნახევარმცველი **ლევან ყენია**. ახალგაზრდული კი სწორედ იმ 18-კაციანი შემადგენლობით გაემგზავრა კვიპროსს, რომელიც გუშინდელ ნომერში უკვე გაგაცანით. აქვე დავძენთ, რომ 21-წლამდელთა მწვრთნელები - **ოთარ გაბელია** და **გელა ინალიშვილი** კუნძულზე სავიზო პრობლემების გამო ვერ გამოფრინდნენ, ისევე, როგორც ფეხბურთის ფედერაციის ახალი ტექნიკური დირექტორი **ნიკა ჩხეიძე**.

და აი, თბილისი-ლარნაკას ჩარტერულ ავიარეისზე რეგისტრაცია დაიწყო. ბუნებრივია, ეს პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა, ამ დროს კი ფეხბურთელები ერთმანეთთან საუბრით იყვნენ დაკავებულნი. ახალგაზრდულის ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი** კვიპროსის 21-წლამდელთა ნაკრებზე დამეკითხა. რაც ვიცოდი, ვუთხარი - ბოლო ამხანაგური მატჩი 11 თებერვალს სერბეთთან ჩაატარეს და 2:0 წააგეს-მეთქი. მან კი მითხრა, ლარნაკაში **თემურ ქეცბაია** და **სოსო ჭედია** კვიპროსის ახალგაზრდულზე მასალას დაგვახვედრებენო.

*„ამის მერე მწვრთნელები შესაბამის დავალებას მოგვცემენ, ჩვენ კი ეს ყველაფერი უნდა შევასრულოთ... ძალიან მინდა, პარასკევის მატჩი მოვიგოთ. კახა ცხადაძესა და მის შტაბსაც წარმატებული დებიუტი ექნებათ და ჩვენც ამ წელს მოგებით დავიწყებთ. ეს გუნდისთვის დიდი სტიმული იქნება“,* - თქვა კლიმიაშვილმა.

ფეხბურთელთა უმრავლესობას სპორტული გაზეთის ახალი ნომერი ჯერ კიდევ არ ჰქონდა წაკითხული და ელიტრაუნდში ჩვენი 17-წლამდელების დასკვნითი მატჩის შედეგი აინტერესებდა. რა თქმა უნდა, მათი ცნობისმოყვარეობაც დავაკმაყოფილე...

ამ დროს კი ეროვნული ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი** მის თანაშემწე **ხოსე ფანტაგუცისა** და ფიზმომზადების მწვრთნელს რაღაც ამბავს უყვებოდა - ჟესტებით, ემოციებით საუბრობდა, აშკარად ეტყობოდა, რომ სასაცილო ისტორიას ჰყვებოდა...

თავიდანვე ვიცოდი, რომ **გიორგი შაშიაშვილის** („შტურმი“), **ზურაბ მენთეშაშვილისა** („ვენტსპილსი“ ) და **უჩა ლობჟანიძის** („ზესტაფონი“) ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო ვერ იყო და ბუნებრივია, ვკითხე კიდეც ამის თაობაზე სამივემ დამამშვიდა - ახლა უკეთ ვართო.

იქვე, თბილისი-ბაქოს ავიარეისზეც მიმდინარეობდა რეგისტრაცია, სადაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი **მეთიუ ბრაიზა** გამოჩნდა ქალბატონთან ერთად. ბრაიზა ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთ წევრს თბილად მიესალმა და გამოელაპარაკა.

- როგორ ხარ, ჩემო მეგობარო? სადმე მიფრინავ თუ ვინმეს აცილებ?

- კვიპროსზე მივფრინავთ ფეხბურთელებთან ერთად.

- ოო, ჩინებულია. რა თქმა უნდა, მოსაგებად მიდიხართ და მჯერა, ასეც იქნება. მე კი ბაქოში მივემგზავრები საქმიანი ვიზიტით...

მოკლედ, ბრაიზა ბაქოში გავაცილეთ, 10:15 საათზე კი ჩვენი „ბოინგი 737“ ცაში აიჭრა და გეზი აფროდიტეს კუნძულისკენ აიღო. 2 საათი და 20 წუთი ვიფრინეთ. აი, გამცილებელმა ქალმა გვაცნობა, რომ ვეშვებოდით ლარნაკას საერთაშორისო აეროპორტში, სადაც 19 გრადუსი სითბო გველოდა.

სავიზო ფორმალობებს მალევე მოვრჩით და დელეგაცია გაიყო. ეროვნულმა ნაკრებმა სასტუმრო „გოლდენ ბიჩს“ მიაშურა, ახალგაზრდული „პრინსეს ოტელში“ დაბინავდა, დანარჩენები კი, ათიოდე გულშემატკივართან ერთად, სხვადასხვა სასტუმროში გადავნაწილდით.

15:30 საათზე კახა ცხადაძემ ფეხბურთელებს სავარჯიშოდ უხმო. წვრთნა, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა, ლარნაკასთან ახლოს მდებარე დაბა დროგუშში, სპორტკომპლექს „ალფასპორტში“ ჩატარდა. ვარჯიშში 18-ივე ფეხბურთელი მონაწილეობდა - სხვადასხვა კომპონენტი მუშავდებოდა, მაგალითად, კომბინაციების დახვეწა ფლანგების გამოყენებით, რომელიც კარში დარტყმებით მთავრდებოდა. წვრთნის ბოლოს ცხადაძემ მცველები დამატებით მაღალ ბურთებზეც ავარჯიშა.

მეკარეების მწვრთნელმა **დავით გვარამაძემ** ცალკე დატვირთა ფეხბურთელები. ვარჯიშს ალექსანდრე ჩივაძეც ადევნებდა თვალს და ცხადაძის ასისტენტ **მურთაზ შელიას** დრო და დრო სხვადასხვა ფეხბურთელების მონაცემებზე ეკითხებოდა. ჩივაძეს 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელების მიმართ არც კომპლიმენტები დაუშურებია. მერე მან და შელიამ ის ეროვნული ნაკრები გაიხსენეს, შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილი რომ დაიკავა, ბოლოს ძველ „დინამოზეც“ ისაუბრეს...

წვრთნის დასრულების შემდეგ კახა ცხადაძეს კომენტარი ვთხოვეთ: *„მატჩისწინა ბოლო ვარჯიში იყო. ფეხბურთელებით უკმაყოფილო არ ვარ, იმედი მაქვს, ხვალ კარგად ითამაშებენ. თემურ ქეცბაიასა და სოსო ჭედიას მალე შევხვდები. ისინი მეტოქეზე ინფორმაციას მოგვცემენ. ჩვენთვის ეს გაცნობითი ხასიათის მატჩია და შედეგ ზე უფრო მეტად, სხვა რამ მაინტერესებს - მინდა, ფეხბურთელები და მთლიანად გუნდი კარგად წარმოჩნდეს. კაპიტანი ვინ იქნება? ამას მატჩის დღეს, დილით გადავწყვეტთ“.*

ჩვენი ახალგაზრდული ავტობუსში მოკალათდა და დავიძარით. იმავე სპორტკომპლექსში ჩვენი მეტოქე კვიპროსის 21-წლამდელები მივიდნენ სავარჯიშოდ. წვიმიან ამინდში გეზი ლარნაკასკენ ავიღეთ. გზად საცობებმა შეგვაფერხა. მოულოდნელად სეტყვამაც დაუშვა და ვიწრო გზებზე პრობლემა შეიქმნა. ავტობუსის მძღოლმა წაიბუტბუტა - რამდენი ხანია, კვიპროსზე ასეთი სეტყვა არ მოსულა და ცუდად მენიშნა, ემანდ, საქართველოსთან ორივე მატჩი არ წავაგოთო...

**დავით ცაბაძე**
ლარნაკადან
ავტორის ფოტოები



ექტორ კუპერი



მეთიუ ბრაიზამ საქართველოს გამარჯვება იწინასწარმეტყველა




ქართველებმა კვიპროსზე სეტყვა „ჩაიტანეს“



მარცხნიდან: ალექსანდრე ჩივაძე, კახა ცხადაძე და მურთაზ შელია

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია


ვიქტორ კაშჩეი

გაგრა

# ვიქტორ კაშჩეის სლოგანი: უნდა ვიმუშაოთ!

**ამ დროისთვის** საქართველოს ჩემპიონატში უცხოელი მწვრთნელი მხოლოდ ერთ გუნდს ჰყავს და ისიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ეს კლუბი ცდილობს, მკვეთრი გეზი და სტრატეგია ჰქონდეს, აწყობილი მექანიზმი შექმნას და მერე უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს...

„გაგრაში" სამწვრთნელო გადაადგილება ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურისთვის მოხდა - კლუბმა უკრაინელი **ვიქტორ კაშჩეი** მიიწვია, თუმცა გუნდის უწინდელი თავკაცი **ვლადიმერ ხაჩიძე** მაინც „გაგრაში" დარჩა. როგორც გაირკვა, კლუბში სტრუქტურული ცვლილებები მოხდა და გუშინ ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენციაც გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ კაშჩეი, ხაჩიძე, „გაგრას" ვიცე-პრეზიდენტი **გოდერძი ჩიხრაძე**, პრესატაშე **მიხეილ აფხაზავა** და ერთ-ერთი მწვრთნელი **გოჩა ჩიქოვანი**.

**გოდერძი ჩიხრაძე:** *„ჩვენს გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა - ვიქტორ კაშჩეი. რაც შეეხება ხაჩიძეს, ის ღვაწლმოსილი სპეციალისტია, „გაგრას" წინაშე დამსახურება აქვს და ისევ ჩვენთან გააგრძელებს მუშაობას, სპორტული დირექტორი იქნება. მოგეხსენებათ, პირველი გუნდის გარდა, სხვა გუნდებიც გვყავს და ხაჩიძე მთლიანად სპორტული საკითხების კურატორი იქნება".*

**ვლადიმერ ხაჩიძე:** *„საუბარი მქონდა კლუბის პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძეს დიდი გეგმები აქვს, მასთან შეხვედრის შემდეგ საერთო გადაწყვეტილება მივიღეთ. კლუბის სტრუქტურა უნდა შეიცვალოს და ევროპულ ყაიდაზე უნდა გადავეწყოთ, ევროპული ფეხბურთის განვითარების კვალს უნდა გავყვეთ. დაწყებული ბავშვთა გუნდებიდან პირველ გუნდამდე დამთავრებული - „გაგრაში" ამ ყველაფრის კურატორი მე ვიქნები".*

ამ შესავლის შემდეგ „გაგრას" წარმომადგენლებს კითხვები დავუსვით.

**- გარკვეული ინფორმაცია კი გვაქვს, მაგრამ იქნებ, უფრო ვრცლად მოგვიყვეთ თქვენ შესახებ...**

**კაშჩეი:** - ვთამაშობდი კიევის „დინამოსა" და დონეცკის „შახტარში", შემდეგ საბჭოთა კავშირის ქვედა ლიგის გუნდებში, მაგალითად, ზაპოროჟიეს „მეტალურგში"... 70-იანი წლების ბოლოს კიევის „დინამოში" დავბრუნდი და მწვრთნელად დავიწყე მუშაობა, მესამე გუნდს ვხელმძღვანელობდი, ვმუშაობდი ჭაბუკებშიც, 2001 წელს უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, შემდეგ ისევ „დინამოში" მივედი და ამ კლუბის აკადემიაში ვმუშაობდი, საქმე მე და პაველ იაკოვენკოს გვქონდა განაწილებული.

**- როგორია „გაგრაზე" თქვენი პირველი შთაბეჭდილება?**

- სიმპათიური გუნდია, კვალიფიციური ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული... ერთი სიტყვით, პირველი შთაბეჭდილება კარგია. ცუდის მოლოდინში არც ვიყავი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველები ლამაზ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, საქართველოში ყოველთვის მოდიოდნენ კარგი ფეხბურთელები, მაგრამ მერე საბჭოთა კავშირი, ძველი სისტემა დაიშალა და ამან ფეხბურთზეც იმოქმედა. უკრაინაში მალე აღდგა საფეხბურთო მეურნეობა და ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გრიგორი სურკისს. იმედი მაქვს, ვითარება საქართველოშიც გამოსწორდება.

**- დღეს გუნდის უმთავრესი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ამ ფეხბურთელებით „გაგრას" მეტის მიღწევა თუ შეუძლია?**

- უფრო მაღალი მიზნები უნდა დავისახოთ, „გაგრა" ხომ ამბიციური გუნდია. კარგად მესმის, რომ გარკვეული სირთულეების წინაშე ვდგავართ, მაგრამ სხვა გზა არ არის - უნდა ვიმუშაოთ! სეზონის დასრულებამდე კიდევ ორი თვეა, თამაშიდან თამაშამდე უნდა გავიუმჯობესოთ მდგომარეობა, თითოეული მატჩისთვის კონკრეტული ამოცანები უნდა დავსახოთ...

**- რამდენ ხანს აპირებთ „გაგრაში" მუშაობას? კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმეთ?**

- ცხოვრება ისეთია, არავინ იცის, ხვალ რა იქნება. მუშაობას უკვე შევუდექი და დანარჩენს დრო გვიჩვენებს. რაც შეეხება კონტრაქტს, მე და ბესო ჩიხრაძეს დიდი ხნის ნაცნობობა გვაქვს და ერთმანეთს ვენდობით.

**- როგორი ფეხბურთის მიმდევარი ხართ? რა სტილს ანიჭებთ უპირატესობას?**

- უფრო კომბინაციური, ტექნიკური ფეხბურთი მომწონს, როცა თამაშისგან ფეხბურთელებიც სიამოვნებას იღებენ და გულშემატკივრებიც. ფეხბურთელობისას საუკეთესო წლები კიევის „დინამოში" გავატარე, მართლაც კარგი გუნდი გვყავდა, მე ყოველთვის ვერ ვხვდებოდი ძირითად შემადგენლობაში... ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკი" და, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოც"...

**- კლუბის პოლიტიკის შეცვლა ხომ არ იგეგმება? ისევ ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაეყრდნობით თუ გამოცდილ მოთამაშეებს მიიწვევთ?**

**ჩიხრაძე:** - კლუბის პოლიტიკა არ შეიცვლება. ახლახან დავიმატეთ გამოცდილი ლაშა ნოზაძე. ხაჩიძე ამ ფეხბურთელს დიდი ხანია იცნობს და მისი ინიციატივით მოხდა ნოზაძის აყვანა. ისევ ახალგაზრდა ფეხბურთელებს დავეყრდნობით, თუმცა არ არის გამორიცხული, ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელიც მივიწვიოთ. ეს მანამდე რომ გაგვეკეთებინა, ახლა ასეთ დღეში არ ვიქნებოდით. სხვათა შორის, ხაჩიძემ ეს ადრეც გვითხრა, მაგრამ...

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

### დასავლეთი

**XIX ტურის გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| მეშახტე-ბათუმი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 20 | 14 | 2 | 4 | 35-16 | 44 |
| 2. ბაია | 20 | 13 | 5 | 2 | 37-11 | 44 |
| 3. მარტვილი | 20 | 12 | 6 | 2 | 30-15 | 42 |
| 4. კოლხეთი | 20 | 9 | 4 | 7 | 28-20 | 31 |
| 5. ხობი | 20 | 9 | 3 | 8 | 24-31 | 30 |
| 6. ტორპედო 2008 | 20 | 8 | 2 | 10 | 18-15 | 26 |
| 7. ჭიათურა | 20 | 7 | 2 | 11 | 27-30 | 23 |
| 8. გურია | 20 | 6 | 4 | 10 | 27-32 | 22 |
| 9. ბათუმი | 20 | 6 | 4 | 10 | 23-32 | 22 |
| 10. ზესტაფონი 2 | 20 | 5 | 5 | 10 | 17-28 | 20 |
| 11. მეშახტე | 20 | 1 | 3 | 16 | 9-45 | 6 |

**XXIII ტური**

**III წრე**

**29 მარტი, კვირა**

მარტვილი-ზესტაფონი 2
ხობი-ბაია
სამტრედია-ჭიათურა
გურია-კოლხეთი
მეშახტე-ტორპედო

*ბათუმი ისვენებს*

### მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი

**გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| ერთობა-არაგველები | 1:2 |

**XXI ტური**

| | |
|---|---|
| ზოოვეტი-არაგველები | 0:2 |
| ალაზანი-ალგეთი | 1:0 |
| ერთობა-გარეჯი | 0:2 |
| ნ/დინამო-ლიახვი | 0:2 |
| ლიკომოტივი 2-35-ე სკოლა | 4:1 |
| დუშეთი-ამერი 2 | 0:0 |
| ბორჯომი 2-IBSU | 0:3 |
| ჰერეთი 2-სპარტაკი | 0:0 |
| სამგორი-იმედი | 6:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი 2 | 21 | 14 | 3 | 4 | 42-13 | 45 |
| 2. ლოკომოტივი 2 | 21 | 14 | 3 | 4 | 50-24 | 45 |
| 3. დუშეთი | 20 | 13 | 3 | 4 | 41-17 | 42 |
| 4. სპარტაკი 2 | 21 | 12 | 5 | 4 | 52-24 | 41 |
| 5. I.B.S.U. | 21 | 12 | 1 | 8 | 45-34 | 37 |
| 6. გარეჯი | 21 | 11 | 3 | 7 | 34-23 | 36 |
| 7. 35 ს.ს. | 20 | 10 | 4 | 6 | 36-32 | 34 |
| 8. ლიახვი | 21 | 10 | 4 | 7 | 37-31 | 34 |
| 9. იმედი | 24 | 7 | 6 | 8 | 29-24 | 27 |
| 10. სამგორი | 21 | 7 | 6 | 8 | 39-35 | 27 |
| 11. ჰერეთი 2 | 21 | 8 | 2 | 11 | 39-35 | 26 |
| 12. ერთობა | 21 | 7 | 2 | 12 | 25-47 | 23 |
| 13. არაგველები | 20 | 6 | 5 | 9 | 23-28 | 23 |
| 14. ბორჯომი 2* | 21 | 7 | 1 | 13 | 23-46 | 22 |
| 15. ალგეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 26-44 | 22 |
| 16. ალაზანი | 20 | 5 | 3 | 12 | 14-34 | 18 |
| 17. ზოოვეტი | 21 | 4 | 4 | 13 | 23-45 | 16 |
| 18. ნ. დინამო 2 | 21 | 3 | 3 | 15 | 15-47 | 12 |

** ბორჯომი 2 მოხსნილია გათამაშებიდან*

### დასავლეთი

**XV ტური**

| | |
|---|---|
| ადელი-ჭიათურა 2 | 3:0 |
| გურია 2-მერცხალი | 1:3 |
| სქური-კოლხეთი 2 (ფ) | 2:0 |
| ტორპედო 2-სამტრედია 2 | 1:0 |
| მერგვეთი-ქ.ტორპედო | 1:0 |
| ბაია 2-მარტვილი 2 | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერცხალი | 14 | 11 | 3 | 0 | 30-9 | 36 |
| 2. ბაია 2 | 14 | 8 | 4 | 2 | 31-14 | 28 |
| 3. მარტვილი 2 | 14 | 8 | 2 | 4 | 22-15 | 26 |
| 4. კოლხეთი 2 | 14 | 8 | 1 | 5 | 23-15 | 25 |
| 5. სამტრედია 2 | 14 | 6 | 2 | 6 | 15-15 | 20 |
| 6. იმერეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 15-16 | 19 |
| 7. გურია 2 | 14 | 6 | 1 | 7 | 24-21 | 19 |
| 8. ტორპედო 2 | 14 | 5 | 1 | 8 | 23-29 | 16 |
| 9. მარგვეთი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-23 | 15 |
| 10. ადელი | 14 | 4 | 3 | 7 | 19-25 | 15 |
| 11. ქ.ტორპედო | 13 | 4 | 2 | 7 | 10-16 | 14 |
| 12. სქური | 14 | 4 | 1 | 9 | 16-27 | 13 |
| 13. ჭიათურა 2 | 14 | 4 | 0 | 10 | 17-34 | 12 |

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# საჭირბოროტო საკითხი: იარაღი



**აქეთ** კავკასიონის დათოვლილი ქედი, იქით ზედაზენი - საგურამოს ბაზიდან, სადაც ნაკრები ვარჯიშობს და ექტორ კუპერი „სამშაბათობებს" მართავს, დიდებული პანორამა იშლება. ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, სილამაზე ტვინის კუნთებს ადუნებს და იშემიას ხსნის, ჟანგბადის კონცენტრაცია იზრდება და გონება კარგად მუშაობს. ჰოდა, კუპერსაც იარაღი გამოუგონებია, რომლითაც ხვალ კვიპროსის ნაკრებს უნდა შეებრძოლოს.

და რა შეიძლება იყოს კუპერის იარაღი? არგენტინელმა მართლაც საგონებელში ჩაგვაგდო. მას არ მოუწვევია ნაკრებში ისეთი ახალი ან დავიწყებული ფეხბურთელები, კვიპროსს ნაცარტუტად რომ აქცევენ. მაშ, რა არის ის იარაღი, რომელიც კუპერმა პრესკონფერენციაზე ახსენა? დამუშავებული კომბინაციები და სტანდარტული მდგომარეობები, ახალი ტაქტიკური ოინები, გადახალისებული შემადგენლობა... როგორც უნდა იყოს, ნაკრების თავკაცმა დაგვაინტრიგა და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

კუპერმა ისიც თქვა - რომ ამბობენ, ესა თუ ის ფეხბურთელი რატომ არ არის გამოძახებული ნაკრებში, მაშინ ისიც გვითხრან, რომელი მოთამაშეები უნდა ამოვაგდო გუნდიდანო. ზოგადად, მწვრთნელები ჟურნალისტებსა თუ გულშემატკივრებს რჩევას არ ეკითხებიან და არც ჟურნალისტის თუ ქომაგის საქმეა მწვრთნელისთვის რჩევის მიცემა. ვფიქრობ, კუპერმა ეს ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ რატომღა თქვა - თუ მაკრიტიკებთ, მაშინ რჩევაც მომეცითო? ყველა კითხვაზე პასუხი არავის აქვს და მოდით, ამჯერად თავს ნუ ავიტკივებთ...

**მაგრამ კუპერი, ფაქტობრივად, ახლაღა შეიარაღდა. მის ხელში**

საქართველოს ნაკრებმა უკვე 7 მატჩი ითამაშა, რაც შეიარაღებისთვის საკმარისი უნდა იყოს. კუპერის არსენალშია საინფორმაციო ბაზა, ახლოს გაცნობილი ფეხბურთელები, ახლოს გაცნობილი ქართული საზოგადოება და ახლოს გაცნობილი სანაკრებო სპეციფიკა. ამ კომპლექტს ხომ არ გულისხმობდა კუპერი საკვიპროსე იარაღში? ალბათ, არა. აქ ეტყობა რაიმე ფანდზეა საუბარი, მაგრამ... მაინც არა! მახსოვს, როცა საქართველოს ნაკრებს ალექსანდრე ჩივაძე წვრთნიდა, ერთხელ დაიჩივლა - მავანმა ჟურნალისტმა ისიც კი მითხრა, თუ მეტოქე საქართველოს ნაკრებზე ძლიერია, მას ფანდით, რაიმე ტაქტიკური ხერხით უნდა მოუგოო...

**ერთი დღეც და კუპერის კვიპროსულ იარაღსაც ვნახავთ, ოღონდ, ეს არ არის მთავარი.**

შედეგს იარაღი ვერ გამოჭედავს, იარაღით, ვინძლო, ერთი მატჩი მოიგო, მერე კი...

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდი ვერ დასძლია, თუმცა აქამდე რომ მივიდა, ესეც წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ამბობენ, ელიტრაუნდამდე გელა შეყილაძე გუნდს დღეში სამჯერაც კი ავარჯიშებდა და ფეხბურთელები „გადაწვაო"... რასაც ამბობენ, ყოველთვის მართალი არ არის, თუმცა არის უტყუარი ფაქტებიც. შეყილაძე ანი 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი იქნება და ფეხბურთელები უნდა მოუმზადოს ახალგაზრდულ გუნდს, რომელიც კახა ცხადაძეს აბარია, ცხადაძის ხელში გამოვლილი ფეხბურთელები კი კუპერთან უნდა მოხვდნენ. **შეყილაძეს 19-წლამდელებს კი ფეხბურთელები გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრებმა უნდა გამოუწრთოს. ასე უნდა იყოს აწყობილი სისტემა, მაგრამ იქნება კი ასე?**

დევდარიანი, შეყილაძე და ცხადაძე - სამი აბსოლუტურად განსხვავებული მწვრთნელი, სამივეს სხვადასხვა შეხედულება აქვს ფეხბურთზე, კუპერი კი საერთოდ არ ერევა ასაკობრივი ნაკრებების საქმეში. აი, ამაზე კი არაფერს ამბობენ არც ფედერაციაში და არც იქ, საიდანაც მიდის ფული უცხოელი მწვრთნელების მსუყე ჯამაგირისთვის. ხელისუფლებას აინტერესებს, ვინ იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, მაგრამ ნაკლებად აღელვებს ქართული ფეხბურთი.

ისე, ყველა საფეხბურთო საკითხს სახელმწიფო ნაღდად ვერ გადაწყვეტს. ფეხბურთის ფედერაციას უკვე ჰყავს ახალი ტექნიკური დირექტორი, თუმცა ისე ჩანს, ნიკა ჩხეიძე ჯერ მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებითაა დაკავებული. ფედერაციაში მძლავრი ტექნიკური დეპარტამენტის შექმნაა აუცილებელი - სხვანაირად როგორ მოექცევიან ნაკრები გუნდები ერთიან სისტემაში?

ფედერაცია და ქართული ფეხბურთი უიარაღოდაა და ამიტომაც ერევა ყველა, ვისაც აქვს ტექნიკური დეპარტამენტი ან ნაკრებთა ერთიან სისტემაში მომყვანი რაიმე სხვა მექანიზმი. ეს არის იარაღი, რომლის ტექნოლოგია უკვე ცნობილია და მხოლოდ დამზადება სჭირდება.

...და რასა იქმს „დინამოდან" წასული რაინერ ცობელი? გერმანიიდან მიღებული ბოლო ცნობები ასეთია - ოჯახთან ვარ, ვისვენებ და ამ ეტაპზე ინტერვიუსთვის ვერ მოვიცლიო.

**მწვრთნელები ასეთები არიან - ხან იარაღს ეძებენ, ხან სიმყუდროვეს...**

ინტერვიუ

ლევან ყიფიანი

# ფეხბურთი პოლიტიკური ზეწოლისგან უნდა გათავისუფლდეს

**მოძრაობა „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებლები გულშემატკივრებთან შეხვედრებს განაგრძობენ. ამჯერად, მათ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის („ალმა მატერი“) სტუდენტებმა უმასპინძლეს. ლევან ყიფიანთან ინტერვიუც სწორედ ამ შეხვედრით დავიწყეთ...**

- სტუდენტების მიწვევით, „ჩვენი ფეხბურთის“ წარმომადგენლები - გოჩა ჯამარაული, ვასილ და ზურაბ მაისურაძეები, ირაკლი ზოიძე და თქვენი მონამორჩილი „ალმა მატერს“ ვსტუმრობდით. საინტერესო შეხვედრა გამოვიდა და აშკარად გამოჩნდა, რომ ქართულ ფეხბურთს გულშემატკივარი ჰყავს. ყველაზე საჭირბოროტო თემებზე ვისაუბრეთ - რატომ წახდა ქართული ფეხბურთი, რატომ აიცრუა ხალხმა ფეხბურთზე გული, სწორია თუ არა უცხოელი მწვრთნელების ჩამოყვანა და ასე შემდეგ... სტუდენტობას ფეხბურთი რომ უყვარს, ამ შეხვედრაზეც გამოჩნდა. მათ აბსოლუტურად ყველაფერი აინტერესებთ. და რაც ყველაზე მეტად გამიკვირდა - პოლემიკაში გოგონებიც ჩაერთვნენ. ბუნებრივია, ჩვენს გეგმებზეც ვისაუბრეთ... ანალოგიური შეხვედრა შარშან ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთანაც გვქონდა, მერე აგრარულ უნივერსიტეტში მიგვიწვიეს, ვიყავით თავართქილაძის ცნობილ ბიზნესსკოლაშიც და გაოცებული დავრჩით - ოთხასკაციანი დარბაზი სავსე იყო... მსგავს შეხვედრებს მომავალშიც გავაგრძელებთ. მალე სამედიცინო უნივერსიტეტსა და სდასუ-შიც მივალთ, რადგან სურვილი თავად სტუდენტებისგან მოდის. მათ შეუძლიათ, შეავსონ სტადიონები და აქვთ კიდეც ამის სურვილი, მაგრამ საამისოდ ოდნავ მაინც უკეთესი ფეხბურთია საჭირო.

**- ახლა თითოეულ ჩვენგანს ერთი რამ აინტერესებს - რა მოხდება ქვეყანაში 9 აპრილს და როგორი იქნება სიტუაცია 9 აპრილის შემდეგ. თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს პოლიტიკური პროცესები ქართულ ფეხბურთზე?**

- პირდაპირ გავლენას მოახდენს, რადგან პოლიტიკოსები საფეხბურთო არჩევნებში პირდაპირ ჩაერივნენ და მისი შედეგიც განსაზღვრეს. დროა, ასეთი არასწორი მიდგომა შეიცვალოს და თავად საფეხბურთო სამყარომ თქვას, ვინ ურჩევნია პრეზიდენტად. მმართველი პარტია არა მარტო ფეხბურთში, არამედ, ლამის ყველა საკვანძო ფედერაციის საქმიანობაში ჩაერია და ეს მიუღებელი, დამღუპველი ტენდენციაა. ჩვენი ამოსავალი პრინციპია - ფეხბურთში სამართლიანობის აღდგენა და პოლიტიკური ზეწოლისგან მისი გათავისუფლება. ყველამ კარგად ვიცით, რომ არჩევნების დროს მმართველი პოლიტიკური ძალის ორი დაჯგუფება დაეტაკა ერთმანეთს და ამ ბრძოლაში ფეხბურთი გაიჭყლიტა. ჩვენ კი არ გვსურს, რომ ფედერაციები პოლიტიკოსებმა აკონტროლონ... აქვე, ერთ მნიშვნელოვან თემასაც უნდა შევეხო. ბოლო დროს დაიწყო მიუღებელი პროცესი - საფეხბურთო ინფრასტრუქტურას მორაგბეებს გადასცემენ. დავაზუსტებ - აქ მიუღებელია არა რაგბისთვის სტადიონების გადაცემა, არამედ, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განიავება. ისე გამოდის, თითქოს საფეხბურთო სამყარო რაგბის უპირისპირდება. ეს სრული სისულელეა და თუ რატომ, ახლა ამის მტკიცებას არ დავიწყებ. აქვე ხაზგასმით ვამბობ - მორაგბეებს ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რადგან ყველაზე მეტად მათ გაახარეს ერი, მაგრამ...

**- ...მაგრამ არა - ფეხბურთის ხარჯზე. ამის თქმა გსურდათ, ალბათ...**

- დიახ, სწორედ ეს მინდოდა, მეთქვა - თუ სახელმწიფოს რაგბის უფრო მაღალ დონეზე განვითარება სურს, სტადიონები და ბაზები ფეხბურთს კი არ უნდა წაართვას, რაგბისთვის ახალი ააშენოს. სამწუხაროდ, ასე არ ხდება - „სინათლისა“ და „შევარდენის“ სტადიონების შემდეგ თბილისის „ლოკომოტივის“ დიღმის ბაზაც რაგბის კავშირს გადაეცა. ამ ყველაფრის შემდეგ ცინიზმია იმაზე ლაპარაკი, რომ ფეხბურთმა ჯერ შედეგი უნდა აჩვენოს და მერე დაეხმარებიან. ასე არსად ხდება, პირიქით - ჯერ პროგრამას წერენ, მერე მას ხორცს შეასხამენ და 10-15 წლის შემდეგ შედეგს იმკიან. ჩვენთანაც ჯერ ინფრასტრუქტურაა მისახედი, მოედნებია დასაგები, სტადიონებია ასაშენებელი, ბავშვთა ფეხბურთი და ეროვნული ჩემპიონატია ფეხზე დასაყენებელი... თუ ეს არ გვექნა, მწირი პირობებითა და ამ მდგომარეობაში მყოფი ინფრასტრუქტურით რა შედეგს ითხოვენ? უბედურება ის არის, რომ ჩვენთან ყველაფერი ერთბაშად სურთ - დღეს პროგრამას დაწერენ და ხვალ უკვე შედეგს ელოდებიან. თუ შედეგი არ არის, სტადიონი უნდა ჩამოართვა?! ეს რა მიდგომაა, ან სად გაგიგიათ ასეთი რამ? მოედნები ისედაც არ იყო. სანთლით რომ ეძებო, საქართველოში ორი ხეირიანი საფარია და კიდევ ჩვენ გვართმევ?! ის მაინც არ იციან, დღეს ერთ მოედანზე ერთბაშად ოთხმოცამდე ბავშვი რომ ვარჯიშობს? დარწმუნებულნი იყავით, რომ ასე ჩვენში ფეხბურთი საბოლოოდ ამოიძირკვება. ეტყობა, ამათ ფეხბურთის განვითარების სურვილიც აღარ შერჩათ, რადგან ძვირი სიამოვნებაა, გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი პროექტია საჭირო. ხელისუფლებას კი ეს არ აწყობს, მას მხოლოდ დღევანდელი „პიარი“ სჭირდება... სხვათა შორის, ამ დღეში მარტო „ფეხბურთელები“ არ ვართ, საკალათბურთო დარბაზები გაიყიდა წერეთლის პროსპექტზე, საკალათბურთო სკოლაში, ვერის პარკში, გაიყიდა ეგრეთ წოდებული „ლენინის დარბაზიც“ და კალათბურთში რა შედეგებს ელიან?! ან სად უნდა გაიზარდონ ფეხბურთისა და კალათბურთის მომავალი თაობები, თუ სტადიონებისა და დარბაზების ჩამორთმევა ამ ტემპით გაგრძელდა? „ვისოლმა“ ძალიან კარგი საქმე გააკეთა, „ავაზა“ გაარემონტა და ბავშვები ადამიანურ პირობებში ვარჯიშობენ, მაგრამ კომპანია მხოლოდ 10 წლის განმავლობაშია ვალდებული, ტერიტორიის პროფილი შეინარჩუნოს. მერე რა მოხდება? არის იმის გარანტია, რომ „ავაზა“ კვლავ იარსებებს? მოკლედ, არასწორი მიდგომებით ძალიან ცუდი ტენდენციები დაიწყო. ამიტომაც მიმაჩნია საჭიროდ სპორტული საზოგადოების შეკრება, საერთო სატკივრის გააზრება და პრობლემების მოგვარებაზე ერთად ზრუნვა...



ლევან ყიფიანი

დინამო

# შოთა კაშია: ისეთი მწვრთნელი მსურს, დინამოს რომ შეეფერება

## კაშია ცობელზე არც კარგს იტყვის, არც ცუდს...

მეორე წრეში შოთა კაშია თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ფეხბურთელი, რომელმაც პირველი ეტაპი ძალზე უფეროლად ჩაატარა, ახლა გუნდის გამოკვეთილი ლიდერია. დღეს კითხვები „დინამოს“ მიმართ ისმის - რა სჭირს ჩემპიონს? რატომ ვერ მოიგო ბოლო ორი მატჩი? ამაზე კაშიას ასეთი აზრი აქვს:

*„მიზეზი წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებიც გახდა. მილოშ კრშკომ ფეხი მოიტეხა, მათე ვაწაძეც დაშავდა, აკირემი დღემდე ფორმაში არ არის და ბუნებრივია, ყველაფერი ისე ვერ აეწყო, ჩვენ რომ გვსურდა. თუმცა, სიმართლე გითხრათ, დაკარგულ ქულებზე მეტად, ჩემი მეგობრების - ვაწაძისა და კრშკოს დაშავებას განვიცდი. ქულების ანაზღაურება შეიძლება, ტრავმას კი მალე ვერ მოირჩენენ და მათი არყოფნა „დინამოსთვის“ დიდი დანაკლისია. მე მაინც მჯერა, რომ ჩემპიონობას შევინარჩუნებთ. ჩვენი მიზანი ყოველთვის იყო და დარჩება დუბლი - თასის და ოქროს მედლების მოგება. სხვა მიზანი „დინამოს“ არასდროს ჰქონია და არც ექნება, იმიტომ, რომ... „დინამო“ მაინც „დინამოა“.*

შოთას **რაინერ ცობელის** მოხსნაზეც ვკითხეთ. ის, რაც გარეშე თვალით ჩანდა, ეს იყო - გერმანელი სპეციალისტი მატჩის დროს ფეხბურთელებს ეუხეშებოდა, შენიშვნებს ზედმეტად ემოციურად აძლევდა... კულუარული ინფორმაციით, ლამის ყველა მოთამაშესთან დაეძაბა ურთიერთობა და როგორც ამტკიცებენ, სწორედ ეს გახდა მისი გაშვების ერთ-ერთი მიზეზი.

*„მე არ ვიცი, რა იყო ცობელის გათავისუფლების მიზეზი. რადგან გაუშვეს, ეტყობა, კლუბმა ასე ჩათვალა საჭიროდ. არც მსურს იმაზე ლაპარაკი, გერმანელი კონფლიქტური იყო თუ არა - არც გაკრიტიკება მსურს მისი და არც შექება. მთავარია, დროულად მოვახერხოთ ფორმის აღდგენა. ასეთ შემთხვევაში, ჩემპიონობის შენარჩუნებაში ხელს ვერავინ შეგვიშლის“*, - ამბობს კაშია.

„დინამოს“ ლიდერი ლაპარაკობს იმაზეც, თუ როგორი მწვრთნელის დანიშვნას ისურვებდა: *„კარგი მწვრთნელი გვინდა, მწვრთნელი, რომელიც ყოველმხრივ გამორჩეული იქნება - პიროვნულადაც, შეგნებითაც, პროფესიონალიზმითაც... შენიშვნასაც ტაქტიანად რომ გაძლევს... მოკლედ, ისეთი მწვრთნელი მსურს მე პირადად, „დინამოს“ რომ შეეფერება“.*

კვიპროს-ჩერნოგორიისთვის ბევრი ელოდა ეროვნულ ნაკრებში კაშიას გამოძახებას. ზემოთაც ვახსენეთ, რომ დღეს ის საუკეთესო ფორმაშია... თუმცა „დინამოს“ 25 წლის მარჯვენა ნახევარმცველი იმედს მაინც არ კარგავს:

*„კუპერის გადასაწყვეტია, ვის მიიწვევს. მე იმითიც კმაყოფილი ვარ, ჩემი ძმით რომ დაინტერესდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ნაკრებში თამაშის სურვილიც მაქვს და იმედიც. ვეცდები, პროგრესი არ შევაჩერო, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს“.*

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



შოთა კაშია

ინტერვიუ

დავით ნამგალაური

# ფეხბურთელებს სტადიონებს არავინ ართმევს!



დავით ნამგალაური

**სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური „ლელოს“ აქტუალურ თემებზე ესაუბრება - როდის ამოქმედდება ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა და ხომ არ ართმევს სახელმწიფო ფეხბურთს ისედაც მწირ ინფრასტრუქტურას?**

**- ბატონო დავით, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით - ერთნი ამტკიცებენ, ეს პროგრამა 2010 წელს ამოქმედდებაო, ამ დროს კი საპირისპირო ინფორმაციაც გვესმის. იქნებ, გაგვარკვიოთ ამ ლაბირინთში?**

- და ვინ გითხრათ, რომ ეს პროგრამა 2010 წელს ამოქმედდება? მე ამას ნამდვილად ვერ დაგიდასტურებთ. ეკონომიკურმა პრობლემებმა და რუსეთ-საქართველოს ომმა, ბუნებრივია, პროგრამის განხორციელებაზე ნეგატიური გავლენა იქონია.

**- პროგნოზის სახითაც ვერ გვეტყვით?**

- ამას ყველა ერთად ვნახავთ, როცა ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან გამოვა. დღეს კი ხედავთ, ალბათ, თუ რა სიტუაციაშია საქართველო. ომი გადავიტანეთ. ეს ჩვენ კი არა, ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანას გაუჭირდებოდა და ჩვენც ვერ ვიქნებოდით გამონაკლისი. არადა, 2008 წელი კარგად დაიწყო, ეკონომიკის ზრდის ტემპითა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოთი საქართველო მიმზიდველი გახდა. გარკვეული ობიექტების პრივატიზაციის შემდეგ, რაგბისა და ფეხბურთში ინვესტიციის ჩადება, რეგიონებში სტადიონებისა და მოედნების კეთილმოწყობა გვსურდა. ახლა როგორ გინდა, დააინტერესო ინვესტორი? ეს უკვე ძალიან ძნელია. სანამ ეს პროცესი შეჩერებულია, მანამდე ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა ვერ ამოქმედდება. ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში ფულის დაბანდების სურვილი არავის აქვს.

**- პრივატიზაციასთან სპორტს რა ხელი ჰქონდა?**

- სწორედაც რომ პრივატიზაციით მიღებული თანხის ნაწილი რაგბისა და ფეხბურთის სტადიონების, ბაზებისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას მოხმარდებოდა. პესიმისტებიც არ უნდა ვიყოთ, მუდამ ასეთი სიტუაცია ხომ არ იქნება? ადრე თუ გვიან დავძლევთ ამ კრიზისს. ახლა პატარ-პატარა პროექტების განხორციელებას მაინც ვახერხებთ, მაგრამ ფეხბურთსა და რაგბის დიდი თანხები სჭირდება და დღევანდელი მწირი შესაძლებლობით ამას ვერ გავწვდებით.

**- საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ დიღმის საწვრთნელი ბაზა მორაგბეებს გადაეცათ. ბატონო დავით, ფეხბურთელებს რაღას უტოვებთ? მართალია, რაგბისთვის ყველას ყველაფერი გვემეტება, მაგრამ სხვისას რატომ აძლევთ? ახალი აუშენეთ...**

- ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ „ლოკომოტივის“ დიღმის ბაზა, ტრადიციულად, მორაგბეებსა და ფეხბურთელებს ეკუთვნოდათ. იქიდან ფეხბურთის გაძევებას არავინ აპირებს, ბაზით ფეხბურთელებიც ისარგებლებენ და მორაგბეებიც... სხვათა შორის, ამ ბაზიდან თავის დროზე მორაგბეები გაყარეს და სამართლიანობა ხომ უნდა აღდგეს?

**- კი, მაგრამ ფეხბურთმა უკვე დაკარგა „სინათლის“ და „შევარდენის“ სტადიონები. ფეხბურთის ხარჯზე კი არა, სახელმწიფო რაგბის ახლის აშენებით დაეხმაროს. როგორც შევატყვეთ, მორაგბეებს დამატებით 8 სტადიონს გადასცემენ. კიდევ ერთხელ ვამბობ - ჩვენი მორაგბეები გაცილებით მეტსაც იმსახურებენ, მაგრამ ფეხბურთის ხარჯზე?**

- არავითარ შემთხვევაში ფეხბურთის ხარჯზე! 8 სტადიონი, თქვენ რომ ახსენეთ, რეალურად ეს არის უპატრონო ტერიტორიები, ტრიალი მინდვრები... თქვენ გგონიათ, რომ ეს კეთილმოწყობილი სტადიონებია?

**- რომელ ტერიტორიებზეა ლაპარაკი?**

- ეს ჯერ არ დაგვიზუსტებია, ამაზე ვმუშაობთ... საქმე ისაა, რომ ქვეყანაში რაგბის-ბუმია და კლუბებს სავარჯიშო მოედნებიც არ აქვთ. მეორე ფაქტორიც ვთქვათ - ამ მოედნებზე, თუნდაც „სინათლისა“ და „შევარდენის“ სტადიონებზე, ფეხბურთელებს შესვლას არავინ უკრძალავს. როგორც ვიცი, ამ საკითხზე ორივე ფედერაციამ ილაპარაკა და მათ შორის გაუგებრობა არ არსებობს.

**- ანუ, საკითხი შეთანხმებულია?**

- როგორც ვიცი, ფეხბურთის ფედერაციას პრეტენზია არ გამოუთქვამს - ეს შემიძლია დაგიდასტუროთ. არავინ იფიქროს, რომ მორაგბეები სტადიონებს სხვებს ართმევენ.

**- უბრალოდ, სახელმწიფოს პოზიციაა გასაკვირი...**

- კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მორაგბეებს გადაეცემათ ტერიტორიები და არა სტადიონები. გვთხოვენ - სავარჯიშოდ ელემენტარული პირობები შეგვიქმენით, სხვის ქონებაზე არ გვაქვს პრეტენზიაო. ჩვენ მათ ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, სტადიონებიც უნდა ავუშენოთ და ბაზებიც. მორაგბეებმა იმხელა სიხარული მოგვანიჭეს, მათთვის ყველანაირი ყველანაირი სიკეთე გვემეტება.

უცხოელი მწვრთნელები საქართველოში

# ვინ იქნება მეცამეტე?

...ყველგან ასე იყო, არის და იქნება - გუნდის წარმატება ფეხბურთელების დამსახურებად ჩაითვლება, წარუმატებლობის შემთხვევაში კი „დამნაშავის გამოვლენა“ უსწრაფესად ხდება! ჰო, რად უნდა ამას სიღრმისეული ანალიზი თუ მოვლენების ლოგიკურად შეფასება? - გუნდმა რამდენიმე მატჩში შესაფერისი შედეგი ვერ აჩვენა, ესე იგი, ყველაფერი მწვრთნელის ბრალია. თანაც, მნიშვნელობა არ აქვს ხოლმე, სეზონის დასასრულია, შუაგული თუ დასაწყისი (?) - სასწრაფოდ ახალ მწვრთნელს უნდა უხმონ. საიუბილეო, XX ჩემპიონატის „განსაკუთრებულობაზე“ არაერთხელ ვილაპარაკეთ; ბარემ, ისიც დავამატოთ, რომ ერთგვარ რეკორდზეც მივდივართ: 25 ტურის განმავლობაში მთავარი მწვრთნელი ექვს გუნდში გამოიცვალა! იმედია, ქართველი მწვრთნელები (ბოლო წლებში აქ მომუშავე უცხოელ კოლეგებს რომ არაფერში ჩამოუვარდებიან) არ გვიწყენენ და დღეს მხოლოდ სხვა ქვეყნებიდან მოწვეულ სპეციალისტებზე ვისაუბრებთ, მით უმეტეს, რომ საქართველოს ჩემპიონატი... კინაღამ უცხოელი მწვრთნელის გარეშე დარჩა! არადა, ზედიზედ მეთერთმეტე სეზონია, მინიმუმ ერთი უცხოელი სპეციალისტი (სხვადასხვა კვალიფიკაციის და საქართველოშიც სხვადასხვა მიზნით ჩამოსული) მაინც ამშვენებდა ჩვენს ჩემპიონატს. სამწუხაროდ, გერმანელ **რაინერ ცობელს**, ეტყობა, ზედიზედ ორი ფრე არ აპატიეს; უფრო ზუსტად, როგორც ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ოფიციალური განცხადებიდან შევიტყვეთ, „დინამოს“ ხელმძღვანელებისა და ცობელის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაუქმდა...

არადა, ცობელი მთლად „ხელცარიელი“ არ წასულა საქართველოდან - სუპერთასის მოგებაც მოასწრო და მისი გათავისუფლების მომენტში „დინამო“ ცხრილში პირველ ადგილზე იყო! მართალია, სანამ ცობელი გერმანიაში ჩაფრინდებოდა, „ვიტ ჯორჯიამ“ ლიდერობა დაიბრუნა, მაგრამ სამშობლოში ჩასული ჰერ რაინერი ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებს, ალბათ, მაინც სიამაყით მოუყვება საქართველოში გატარებულ რამდენიმეთვიან პერიოდზე. და საერთოდაც, „დინამოში“ მწვრთნელების ცვლა განსაკუთრებული მოვლენაა და ვეცდებით, ამ თემაზე კონკრეტულად უახლოეს მომავალში ვისაუბროთ. მანამდე კი ყველა ის უცხოელი მწვრთნელი გავიხსენოთ, საქართველოს ჩემპიონატისათვის მეტნაკლები კვალი რომ დაუმჩნევია.

...პირველმა 9 ჩემპიონატმა ისე ჩაიარა, ქართულ გუნდებს უცხოელი მწვრთნელი არ დასჭირვებიათ; და აი, X ჩემპიონატში, კონკრეტულად კი 1999 წლის მაისის დასაწყისში, თბილისის „დინამოში“ ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი** დაინიშნა! თავის დროზე, ბოსკამპი ურიგო ფეხბურთელად არ მიიჩნეოდა და საკუთარი ქვეყნის ნაკრებში ლეგენდარული **იოჰან კრუიფის** გვერდით რამდენიმე მატჩიც ჰქონდა ჩატარებული. ეგ კი არა, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ითამაშა ერთი მატჩი - შოტლანდიასთან ჯგუფურ ეტაპზე, რომელიც ბოსკამპმა და მისმა თანამემამულეებმა 2:3 წააგეს...

სამაგიეროდ, სამწვრთნელო კარიერაში მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს, განსაკუთრებით კი - ბელგიურ კლუბებში (ჯერ მოკრძალებული „გენკი“ იყო, მერე კი სახელოვანი „ანდერლეხტი“). საქართველოში ბოსკამპის ჩამოსვლას არნახული აჟიოტაჟი მოჰყვა, მით უფრო, რომ სულ მალე ჰოლანდიელს ჩვენი ეროვნული ნაკრების გაძღოლაც მიანდვეს. თუმცა საკლუბო დონეზე ვლაპარაკობთ და ჯერ ის ვთქვათ, რომ 1998/99 წლების სეზონის დარჩენილ ხუთ შეხვედრაში ბოსკამპის ხელმძღვანელობით „დინამომ“ 4 მოიგო და ერთი წააგო. ამ მატჩებში ბოსკამპმა ყველასათვის უცნობი, 18 წლის **ზურაბ ხიზანიშვილი** ძირითადში ათამაშა (მერე **ოთარ ხიზანეიშვილი** „აღმოაჩინა“ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ფარმკლუბში). მოკლედ, ბოსკამპი „დინამოსთან“ ერთად საქართველოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ ერთობ წარუმატებელი აღმოჩნდა ქართულ კლუბთან ერთად დებიუტი ევროტურნირებზე. ყოველ შემთხვევაში, მოლდოვის ჩემპიონ „ზიმბრუსთან“ ორი მატჩის ჯამში (2:1, 0:2) ანალოგიური კი არა, უკეთესი შედეგი მის რომელიმე ქართველ კოლეგასაც შეეძლო ეჩვენებინა. ამ ფიასკოს მერე ბოსკამპი „დინამოდან“ წავიდა და მხოლოდ საქართველოს ნაკრებზე გადაერთო; მკაცრი და ჟურნალისტებთან დისტანციაზე მყოფი ბოსკამპი ფეხბურთის მცოდნე სპეციალისტს კი ჰგავდა, მაგრამ მეტისმეტად მედიდური ხასიათის გამო გარკვეული პრობლემებიც შეექმნა. მერე კიდევ, ნამდვილად არავის სიამოვნებდა, წამდაუწუმ... მენტალიტეტს რომ გვიწუნებდა...


ივო შუშაკი


დუშან უჰრინი

აი, სწორედ X ჩემპიონატიდან დაიწყო და დღემდე მოდის ის ტენდენცია, რომ ყველა სეზონში ერთი უცხოელი მწვრთნელი მაინც უნდა გვყავდეს. მომდევნო, 1999/2000 წლების ჩემპიონატში ახალი უცხოელიც გამოჩნდა, თანაც, აშკარად საფეხბურთო ქვეყნიდან - იტალიიდან! **ჯანი კარნევალე** - ეს სახელი და გვარი ქართველ ქომაგებს არაფერს ეუბნებოდა, ანდა, საიდან უნდა გვცოდნოდა, როცა სინიორ ჯანის მანამდე მხოლოდ იტალიის დაბალ ლიგებში ჰქონდა ნამუშევარი. და მაინც, კარნევალე სულაც არ აღმოჩნდა დაბალი დონის მწვრთნელი, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში სადებიუტო სეზონში „ბათუმი“ მეოთხე ადგილზე გაიყვანა.

კარნევალემ მომდევნო სეზონიც „ბათუმში“ დაიწყო, მაგრამ, მიზეზთა გამო, 5 ტურის მერე იქიდან წამოსვლამ მოუწია. თუმცა, იმავე ბოსკამპისგან განსხვავებით, ქართულ მენტალიტეტსაც არ გვიწუნებდა (თავადაც ხომ სამხრეთელი იყო!) და, საერთოდაც, აქაურობას იოლად შეეჩვია და ჩინებულადაც მოერგო. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ იმავე სეზონში, უფრო ზუსტად, ჩემპიონატის ბოლო 9 ტურში... უკვე „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელად მოგვევლინა და მისი დიდი დამსახურებაც იყო, რომ „ვეტერინარებმა“ მეოთხე ადგილი დაიკავეს.

საქართველოს XIII ჩემპიონატი (2001/02 წლების სეზონი) უცხოელი მწვრთნელების გარეშე დაიწყო. აი, მეორე ეტაპიდან კი თბილისის „დინამოში“ ხორვატი **ივო შუშაკი** დაინიშნა. შუშაკზე მხოლოდ ის ვიცოდით, რომ თავის დროზე ჯერ ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი მთავარი მწვრთნელის **მიროსლავ ბლაჟევიჩის** თანაშემწე იყო. ამას გარდა, გარკვეული წარმატებები ჰქონდა საკლუბო დონეზეც - სლოვენიურ „მარიბორთან“ ერთად ჯერ ამ ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო, მერე კი, ყველასთვის მოულოდნელად, გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა!

...ის სეზონი „დინამომ“ მხოლოდ მესამე ადგილზე დაამთავრა, სამაგიეროდ, მომდევნო, 2002/03 წლების ჩემპიონატში „დინამოს“ კონკურენტი არ ჰყავდა! ვაღიაროთ: იმ დროს „დინამო“ მართლაც გამორჩეულ ფეხბურთს თამაშობდა და სავსებით დამსახურებულადაც გახდა საქართველოს ჩემპიონი. ამას გარდა, „დინამომ“ თასიც მოიგო - კარგა ხნის პაუზის მერე დუბლი შეასრულა. შუშაკმა ქართულ ფეხბურთში წარუშლელი კვალი დატოვა - ბოლოს და ბოლოს, სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეძლო საქართველოს ეროვნულმა გუნდმა რუსეთის ნაკრების დამარცხება! ჟურნალისტებთან მუდამ ენაწყლიანად და გულახდილად საუბარი, ფეხბურთელებთან თუ კლუბის ნებისმიერ თანამშრომელთან ჩინებული ურთიერთობის დამყარება და ქართულ ხასიათში ბოლომდე წვდომა - აი, ასეთად დაგვამახსოვრდა ყველას ხორვატი მწვრთნელი. სხვათა შორის, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ საქართველოში მომუშავე უცხოელ მწვრთნელებს შორის ყველაზე მეტ წარმატებას სწორედ შუშაკმა მიაღწია - ზემოთ ნახსენებ დუბლს ხომ დსთ-ის თასიც უნდა დავუმატოთ!

2002/03 წლების სეზონი ბევრი რამით იყო გამორჩეული - საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ უმაღლეს ლიგაში ერთდროულად 4 უცხოელი მწვრთნელი მუშაობდა! არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილშიც პირველ ოთხ ადგილზე სწორედ უცხოელთა მიერ გაწვრთნილი გუნდები გავიდნენ. ჩემპიონი, როგორც უკვე ვთქვით, შუშაკის „დინამო“ გახდა, მეორე ადგილზე გავიდა ქუთაისის „ტორპედო“, რომელსაც უკრაინელი **ალექსანდრ შტელინი** წვრთნიდა (სხვათა შორის, ერთობ მცდონე კაცი იყო), მესამეზე - „ვიტ ჯორჯია“, სადაც უკვე ყველასათვის კარგად ნაცნობი ჯანი კარნევალე მუშაობდა, ხოლო მეოთხეზე - „ლოკომოტივი“, რომლის მთავარ მწვრთნელადაც სეზონის დასაწყისში **ლუის ცაკარიასი** დაინიშნა. ბერძნული გვარის მქონე და პერუს მოქალაქე ცაკარიასი „ლოკომოტივში“ გერმანიიდან ჩამოიყვანეს. სხვათა შორის, ამ მწვრთნელის კომპეტენციაზე მაშინაც და დღესაც არაერთგვაროვანი შეხედულება იყო და არის კიდეც. თუმცა, რასაც ამ გამოცდილ სპეციალისტს ვერ დავუკარგავთ, ეს არის ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენის უნარი...

XV ჩემპიონატში უცხოელი მწვრთნელების რიცხვი ჯერ შემცირდა, სეზონის ბოლოს კი საერთოდ აღარავინ დაგვრჩა! ჰო, ჯერ შუშაკს დაატოვებინეს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტი. სხვათა შორის, ცობელის მსგავსად, მაშინაც „ლოკომოტივთან“ სტუმრად ჩატარებული მატჩის შემდეგ გაუშვეს შუშაკი, თანაც, ისევე როგორც წინა შაბათს, 2004 წლის 24 აპრილის ის მატჩიც ნულოვანი ფრით დასრულდა...

ასევე არასრული სეზონი ჩაატარა „ლოკომოტივში“ ცაკარიასმა, ვინც გუნდში შუა სეზონში დაბრუნდა და 8 თუ 9 მატჩის მერე ისევ წავიდა. თუმცა იმ სეზონის ყველაზე დიდი მოულოდნელობა მაინც სხვა უცხოელ მწვრთნელს უკავშირდება. წარმოიდგინეთ, რამხელა აჟიოტაჟი იქნებოდა ქუთაისში, როცა იქაურთა სათაყვანებელ „ტორპედოში“ ბრაზილიელი მწვრთნელი დაინიშნა. ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ ვინ ან საიდან ჩამოიყვანა **ჟოაო კამპუში**, მაგრამ ბრაზილიელს... სასწაულის ნაცვლად სრული ფიასკო ელოდა. შესაძლოა, კამპუშს დრო არ ეყო (მხოლოდ თერთმეტ მატჩში უხელმძღვანელა „ტორპედოს“), მაგრამ ფაქტია, რომ სასურველი შედეგი ვერ აჩვენა. ეგ კი არა, პირველი ეტაპის დასკვნით შეხვედრაში, „ტორპედოს“ აუცილებლად 2 ბურთის სხვაობით უნდა დაემარცხებინა გორის „დილა“ და მეორე ეტაპზეც პირველ ექვსეულთან ერთად იასპარეზებდა. სამწუხაროდ, „ტორპედომ“ მხოლოდ მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა და გასავარდნი გუნდების კომპანიაში მოხვდა, ხოლო კამპუშს, როგორც ამბობდნენ, არცთუ იმერული სტუმართმოყვარეობით „დაულოცეს გზა“ შორეული ბრაზილიისკენ...

...მომდევნო ჩემპიონატში უცხოელ მწვრთნელებს სხვადასხვა შედეგი ჰქონდათ - ჯანი კარნევალე, მეტ-ნაკლები წარმატებით, „ვიტ ჯორჯიას“ 16 ტურის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, სამაგიეროდ, საქართველოში თავისი მესამე სეზონი ცაკარიასმა ბრინჯაოს მედლით აღნიშნა - ახალგაზრდული და ერთობ საინტერესო „თბილისი“ ჩაიბარა და მესამე ადგილზეც გაიყვანა. ეგ კი არა, ერთი პერიოდი, სწორედ ცაკარიასის „თბილისი“ იყო მომავალი ჩემპიონის „დინამოს“ უმთავრესი მეტოქე. აი, რაც შეეხება მესამე უცხოელს, აქ, ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია - უკრაინელი **ვლადიმირ ზემლიანოის** ხელმძღვანელობით „ზესტაფონმა“ საწყის 7 ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და 6 წააგო! როგორ ფიქრობთ, „ზესტაფონის“ მაშინდელი (და დღევანდელიც) „მამამარჩენალი“ **ილია კოკაია** ასეთ შედეგს მოითმენდა? ეგ კი არა, თასის ფინალში სამჯერ თუ ოთხჯერ გამყვან, და ასევე, ჩემპიონატში საპრიზო ადგილის მომპოვებელ ქართველ მწვრთნელს არ პატიობდა მცირე ჩავარდნას და ზემლიანოის შეარჩენდა?..

...ბოლო წლები უკვე უცხოელი მწვრთნელების კლებადობის ტენდენციით მიმდინარეობდა. XVII ჩემპიონატში მხოლოდ ერთი „სტუმარი“ გვყავდა, ისიც მეორე წრიდან და ისიც, ერთობ საეჭვო კვალიფიკაციის - გვახსოვს, 3 წლის წინათ არ ესიამოვნათ „დინამოს“ ხელმძღვანელებს, მათი არჩევანის სისწორეში ეჭვი რომ შევიტანეთ. რა ვქნათ, დღესაც იმავე აზრის გახლავართ, რომ **ანდრეი ჩერნიშოვი** არ იყო მაღალი დონის სპეციალისტი. სხვათა შორის, ჩერნიშოვის სამშობლოშიც (რუსეთი) ამავე აზრის არიან იქაური კოლეგები თუ სპეციალისტები...

ჩერნიშოვის ხელმძღვანელობით „დინამომ“ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, სამაგიეროდ, შედეგი გაუმჯობესდა მომდევნო სეზონში, როცა გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი მივიდა. ჩეხი **დუშან უჰრინი** საქართველოში სხვადასხვა დროს მომუშავე მწვრთნელებს შორის ყველაზე ტიტულოვანი გახლდათ - ჩეხეთის ნაკრებთან თუ საკლუბო დონეზე ამ გამოცდილ და უაღრესად მოწესრიგებულ, მშვიდი ხასიათის მქონე სპეციალისტს არაერთი წარმატება ჰქონდა მოპოვებული. „დინამოში“ უჰრინი მეხუთე ტურის შემდეგ მივიდა და როგორც გითხარით, გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანა. აი, მომდევნო სეზონში კი „დინამომ“ ჩემპიონობა არავის დაუთმო და ამაში, რა თქმა უნდა, პან დუშანის დიდი დამსახურებაც იყო.

წინა, XIX ჩემპიონატზე ვსაუბრობთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ უჰრინის გარდა, კიდევ ერთი უცხოელი მწვრთნელი გვყავდა - სეზონის დასაწყისში რუსთავის „ოლიმპში“ **ანატოლი პისკოვეცი** დაინიშნა. უკრაინელ სპეციალისტს არცთუ ურიგო შემადგენლობა ჰყავდა, პლუს ამას, მას ზღაპრული პირობებიც შეუქმნეს, მაგრამ... „ოლიმპი“ ერთობ არასტაბილურად ასპარეზობდა. სუპერთასზე „ამერთან“ განადგურებას დსთ-ის თასზე ღირსეულად გამოსვლა მოჰყვა; განახლდა თუ არა ჩემპიონატი, „ოლიმპმა“ „დინამოს“ სენსაციური მარცხიც აგემა, მაგრამ მერე საქმეები ისევ უკან-უკან წავიდა. ბოლოს, პისკოვეცი შინ გაისტუმრეს...

და აი, საიუბილეო, XX ჩემპიონატიც დაიწყო, და დაიწყო ერთადერთი უცხოელი მწვრთნელით, რომელიც... ერთი კვირის წინ სამშობლოში დაბრუნდა. თუმცა უცხოელის გარეშე როგორ უნდა დავრჩენილიყავით? სწორედ იმ დღეს, 21 მარტს, „გაგრას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა **ვიქტორ კაშჩეის**! უკრაინელი მეთორმეტე უცხოელია, ვისაც ქართული გუნდი გაუწვრთნია. ისე კი, საინტერესოა, მეცამეტე ვინ იქნება?

**გია ტუხაშვილი**



უეფა

# უეფას საქმეს სერიოზულად ეკიდება

## პლატინის რევოლუციური ფეხბურთი

უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც ევროპული კლუბების ფინანსების გაკონტროლების მექანიზმს შეიმუშავებს. აღნიშნული გადაწყვეტილება ევროპული ფეხბურთის მამებმა კოპენჰაგენში ჩატარებულ ორდღიან კონგრესზე მიიღეს. ჯგუფში შევა რვა ადამიანი, ძირითადად იურისტები და ეკონომისტები, რომელთაც სწორედ უეფა დანიშნავს. ისინი კონტროლს გაუწევენ კლუბების ლიცენზირების პროექტის სწორად წარმართვას, ჩაატარებენ აუდიტორულ შემოწმებას იმაზე, თუ რამდენად დამსახურებულად მიენიჭა პროფესიული ლიცენზია ამა თუ იმ კლუბს. ამას გარდა, ჯგუფს შეეძლება, კლუბებში ჩაატაროს გეგმიური ან რიგგარეშე ფინანსური შემოწმება, - გვაუწყებს უეფას ოფიციალური განცხადება.

*„ეს პირველი ნაბიჯია იმისაკენ, რომ ფეხბურთში არსებული ფინანსური სიტუაცია გამოსწორდეს,* - განაცხადა უეფას გენერალურმა მდივანმა **დევიდ ტეილორმა**. - *ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ პროფესიული კლუბების ლიცენზირების სისტემა. ეს უფლება ეროვნულ ფედერაციებსა და პროფესიულ ლიგებს გადავეცით. საჭირო იყო ევროპის დონეზე სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც მაქსიმალურ ყურადღებას მიაქცევდა კლუბების ფინანსებსა და სტრუქტურას. მომავალი სეზონიდან ახალშექმნილი ჯგუფი მკაცრ მეთვალყურეობას გასწევს მათზე მინდობილ საკითხებზე“.*

უეფამ არანაკლები მნიშვნელობის საკითხები განიხილა. ეროვნული ასოციაციების, კლუბების, პროფესიული ლიგების და ფეხბურთელთა კავშირების წარმომადგენლები ერთხმად მივიდნენ დასკვნამდე, რომ 18-წლამდელ მოზარდთა საერთაშორისო ტრანსფერები უნდა აიკრძალოს. აღნიშნული რევოლუციური მიდგომა გამიზნულია ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობისთვის. შეთანხმებას ოთხივე მხარემ მოაწერა ხელი. უეფას აღმასრულებელი კომიტეტი შეთანხმდა, რომ ამ უკანასკნელ საკითხებზე კონსულტაციები უნდა გაგრძელდეს თვით ევროკავშირის წარმომადგენლებთან: *„ეს საკითხი გარკვეულწილად მორალთანაც გახლავთ დაკავშირებული. ჩვენ და ფიფას აღნიშნულ საკითხზე მსგავსი პოზიცია გვაქვს. გვესმის ისიც, რომ ევროკავშირის პოზიცია მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენ იუნიორი ფეხბურთელების ქვეყნიდან ქვეყანაში და მით უფრო, კონტინენტიდან კონტინენტზე უკონტროლო მიგრაციას წერტილს დავუსვამთ“.*

უეფას ადმინისტრაციამ აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინა წინადადება, დაინიშნოს კიდევ ორი ადამიანი უეფას შესაბამის კომისიაში, რომელიც მონიტორინგს გაუწევს საეჭვო ბუკმეიკერულ ფსონებს. აღმასკომმა ასევე დაამტკიცა იმ ქვეყნების სია, რომლებიც ამიერიდან ოფიციალურად მიიჩნევიან ევრო 2016-ის მასპინძლობის პრეტენდენტებად. საფრანგეთს, იტალიას, ნორვეგია/შვედეთსა და თურქეთს 3 აპრილამდე გადაეგზავნებათ უეფას ოფიციალური მოთხოვნა, რათა ამ უკანასკნელებმა 2010 წლის 15 თებერვლამდე უეფას საბოლოოდ დაუდასტურონ, რომ სურთ აღნიშნული ტურნირის მასპინძლობა. მხარეებმა ამისათვის სპეციალური საგანაცხადო დოკუმენტაცია უნდა შეავსონ. შეგახსენებთ, რომ ევრო 2016-ზე 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.



გარდა აღმასკომის სხდომაზე გატანილი და შემდგომ დამტკიცებული ევოლიციური იდეებისა, უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** რევულიციური მოსაზრებებიც აქვს, რომელთაც, საეჭვოა, რომ ისევე ადვილად გაიტანს და კანონის ძალას მიანიჭებს, როგორც ამას აქამდე ახერხებდა. ის უმდიდრესი ევროპული კლუბებისთვის ე.წ. „ფუფუნების გადასახადის“ შემოღებას აპირებს. სწორედ ასეთი გადასახადის ნაირსახეობა მუშაობს ჩრდილო ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო და ჰოკეის ლიგებში. განსაკუთრებით მსხვილი ტრანსფერებისა და ფეხბურთელებისთვის „ზომაზე“ მაღალი ხელფასების დანიშვნის შემთხვევაში, კლუბები საერთო ევროპული ფეხბურთის ფონდში კონკრეტულ გადასახადს გადაიხდიან. პლატინის აზრით, მდიდარი ევროპული კლუბების დომინანტური მდგომარეობა ევროპულ ფეხბურთში საჭირო ბალანსს არღვევს. ავტორიტეტული ბრიტანული გამოცემა „ფაინენშელ ტაიმსის“ დასკვნით, რეალობა უკვე ისეთია, რომ საშუალო შეძლების კლუბებისთვის თანდათან შეუძლებელი ხდება გრანდებთან კონკურენცია. უეფას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **უილიამ გაიარი** მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ასე იოლი არ იქნება. *„სახელფასო ჭერის დაწესება ძალზე უცნაურ გამოსავლად გვეჩვენება. ჩვენი აზრით, „ფუფუნების გადასახადის“ დაწესება ყოველმხრივ უფრო კომფორტული იქნება,* - გაიარმა უარყო, თითქოს ეს ნაბიჯი გამიზნულია კონკრეტულად „დიდი ინგლისური ოთხეულის“ წინააღმდეგ. - *თუკი პრემიერლიგა საუკეთესოა მსოფლიოში, დაე ასეთადვე დარჩეს. ეს ნიშნავს, რომ ინგლისური გრანდები ყველაფერს კარგად აკეთებენ“.*

შოტლანდიის ნაკრები


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოშმარი აღარ განმეორდება

## ჰარტლი ამსტერდამში სამშობლოს ფარად დაუდგება

ფეხბურთის გულშემატკივარს ალბათ ახსოვს ამსტერდამში ჰოლანდიისა და შოტლანდიის ნაკრებების ბოლო შეხვედრა (2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფი). ასეთი ტიპის მატჩები დავიწყებას იშვიათად ეძლევა. „ტიტებმა“ „ტარტანების არმიისაგან“ ქვა ქვაზე აღარ დატოვეს - 6:0. შოტლანდიელებს ამის გახსენებაზე დღემდე კანკალი ეწყებათ. არადა, მათ მუნდიალის მომდევნო შესარჩევი მატჩი ისევ ამსტერდამში ელით. შოტლანდიის ნაკრების დამსახურებული ვეტერანი, 32 წლის **პოლ ჰარტლი** „სელტიკისა“ და „სენტ მირენის“ დაპირისპირებათა ბოლოდროინდელ ისტორიას იხსენებს. **გორდონ სტრაჩანის** შეგირდებმა მეტოქე ჩემპიონატის მატჩში 7:0 დაამარცხეს, ცოტა ხნის შემდეგ კი თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაში 1:0 დამარცხდნენ და ტიტულისთვის ბრძოლას ჩამოშორდნენ. *„თუ ეს მათი დღეა, ჰოლანდიელებს ისეთ დონეზე შეუძლიათ თამაში, რომ მსოფლიოს შეძრავენ. მათ განკარგულებაში არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. მახსენდება „სენტ მირენთან“ ჩვენი შეხვედრები და ვრწმუნდები, რომ ეს ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენ საფრანგეთი გასვლაზე დავამარცხეთ. არადა, რამდენიმე თვით ადრე ფრანგებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშეს. ასევე შეიძლება გავიხსენოთ, თუ რა დაემართა ჰოლანდიას ევროპის ჩემპიონატზე. მათ ჯგუფში ისე იასპარეზეს, რომ დარწმუნებული ვიყავი, ტურნირსაც მოიგებდნენ, მაგრამ ბრძოლას მეოთხედფინალში გამოეთიშნენ. ჩვენ მივდივართ ჰოლანდიაში იმ ფიქრით, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსება დავიცვათ. ბიჭები მინდორზე გავალთ და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. არასოდეს ვფიქრობ იმ გუნდებზე და იმ ფეხბურთელებზე, რომელთა წინააღმდეგაც ასპარეზობა მიწევს. უბრალოდ ვტკბები ყოველი სანაკრებო თამაშით. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა ჩემი კარიერის კულმინაცია იქნება. მუნდიალზე ასპარეზობა ყველაზე მეტად აკლია ჩემს საფეხბურთო ბიოგრაფიას. ვფიქრობ, მუნდიალზე გასვლა ყოველი მოთამაშისთვის ასეთივე შეგრძნებებს აღძრავს. ამაზე მეტი მოტივაცია საჭირო არ არის“.*

შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჯორჯ ბარლი** მიიჩნევს, რომ ჰოლანდიასთან შეხვედრაში მისი ბიჭები წინასწარ განწირულები სულაც არ არიან. თავად მისთვის კი ეს დაპირისპირება სამწვრთნელო კარიერის ყველაზე დიდი გამოცდა იქნება. ის მოუთმენლად ელის ფავორიტებთან დაპირისპირებას. მისი შეგირდები მუნდიალის საგზურისთვის ბრძოლას რომ არ გამოეთიშონ, ამსტერდამში, მინიმუმ, ერთი ქულა უნდა მოიპოვონ. „ნარინჯისფრები“ მე-9 შესარჩევ ჯგუფს სათავეში უდგანან. მათ 3 შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი აქვთ მოპოვებული. მართალია, სკოტები მეორე ადგილზე არიან, მაგრამ ისინი ლიდერებს 5 ქულით ჩამორჩებიან, თანაც მათთან ორივე შეხვედრა წინ აქვთ. ბარლის თქმით, მისმა გუნდმა უახლოეს ორ თამაშში ოთხი ქულა მაინც უნდა აიღოს. შეგახსენებთ, რომ ბრიტანელებს ამსტერდამის შემდეგ შინ ისლანდიასთან დაპირისპირება ელით. *„როდესაც პროფესიონალი ფეხბურთელი გქვია, სწორედ უძლიერეს მეტოქეებთან დაპირისპირება განიჭებს სიამოვნებას. წინ გველის ჰოლანდიელებთან მატჩი. ამაზე მეტის მოლოდინი რაღა უნდა იყოს? აღფრთოვანებული ვარ ჩემი შეგირდების საქმისადმი დამოკიდებულებით, მათ თვალებში ელვას ვხედავ და ბრძოლის ჟინს ვკითხულობ. ჰოლანდია მსოფლიოს ექვს საუკეთესო გუნდში შედის. მათ ჰყავთ ფანტასტიკური ფეხბურთელები, რომლებიც ევროპის საუკეთესო კლუბებში თამაშობენ. ძნელი იქნება, მაგრამ ბრძოლის გარდა სხვა გზა აღარ დაგვრჩენია“.*

აქვე გეტყვით, რომ ბარლის გადაწყვეტილებით, ამსტერდამში ნაკრების კარს „რეინჯერსის“ გოლკიპერი **ალან მაკგრეგორი** დაიცავს. მან შემადგენლობიდან „სანდერლენდის“ მეკარე **კრეიგ გორდონი** ამოაგდო. არავინ კამათობს იმაზე, რომ გორდონს კოლეგასთან შედარებით ზღვა გამოცდილება აქვს, მაგრამ ის „სანდერლენდის“ სათადარიგოთა სკამზე ზის და ლოგიკურია, რომ ნაკრების ძირითადიდანაც ამოაგდონ. 27 წლის ალან მაკგრეგორისთვის ეს თამაში ოფიციალურ შეხვედრებში სადებიუტო იქნება. აქამდე მას შოტლანდიის ნაკრების ღირსება მხოლოდ სამ ამხანაგურ მატჩში დაუცავს. ბარლი: *„კრეიგ გორდონი გაგებით შეხვდა ჩემს გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს „სანდერლენდში“ საქმეები ცუდად მისდის, ის ნამდვილი პროფესიონალია“.*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

შესარჩევი მატჩი

# ლიტვა-საფრანგეთი ჩაშლის პირას

## დომენეკს ანელკა, ბრიანი და ჟინიაკი აღარ ჰყავს

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ლიტვისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის ჩაშლის პირასაა. წესით, აღნიშნული მატჩი კაუნასში ხვალ უნდა გაიმართოს, მაგრამ თამაშს დიდი კითხვის ნიშანი დაესვა. მიზეზი მატჩის ორგანიზატორთა დაუდევრობაა. ლიტვის ჩემპიონატის სტარტი 15 მარტისთვის იყო დანიშნული, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ის 5 აპრილისათვის გადაიტანეს. შესაბამისად, სტადიონის დირექციამ მინდვრის წესრიგში მოყვანა გადაიფიქრა... როგორც ჩანს, მათ დაავიწყდათ, რომ ჩემპიონატის სტარტამდე მათ სტადიონს მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონი ფრანგები უნდა სწვეოდნენ. თანაც, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი კლუბი ლიტვის ფეხბურთის ფედერაციასთან შეუთანხმებლობის გამო, ჩემპიონატიდან საერთოდ მოიხსნა. ამრიგად, პრობლემა არსებობს და მისი გადაწყვეტა ახლა მხოლოდ... ამინდს შეუძლია. დიახ, ფედერაციის პრეზიდენტის **ლიუტაურას ვარანავიჩუსის** განცხადებით, თუ პარასკევს (დღეს) კაუნასში მზემ არ გამოანათა და მინდორი არ გაალღო, მატჩი გაურკვეველი დროით გადაიდება.

ასეთი გამოსავალი არანაირად არ აწყობთ ფრანგებს და ბუნებრივია, არც უეფას მაღალჩინოსნებს. ევროპულ ფეხბურთის მმართველებმა ვარანავიჩუსს შეახსენეს, რომ ის პირობას იძლეოდა, მატჩის სამასპინძლოდ ვილნიუსსა და მარიამპოლში სათადარიგო სტადიონები მზად გვექნებაო. როგორც ირკვევა, აღნიშნულ ქალაქებში მინდორი ისეთ მძიმე ვითარებაში არ არის, მაგრამ დამაკმაყოფილებელიც ნაკლებად ეთქმის. თანაც არსებობს ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრაც ძნელად წარმოსადგენია: კაუნასის შეხვედრის ბილეთები თავიდან ბოლომდე გაყიდულია. სარეზერვო სტადიონები კი ამდენ გულშემატკივარს ვერ დაიტევს. ამასთან, ფედერაციას გულშემატკივართა არმიის ტრანსპორტით უზრუნველყოფაც მოუწევს. ერთი სიტყვით, თუ დღეს კაუნასში მზე არ გამოვიდა, ლიტვის ფეხბურთის ფედერაციას ისეთი ლუკმა გადასცდება, რომელიც ყელზე შეიძლება დაადგეს. შეგახსენებთ, რომ ლიტვის ნაკრები 4 ტურის შემდეგ 9 ქულით მე-2 ადგილზეა.

აქვე გეტყვით, რომ საფრანგეთის ნაკრებმა **ნიკოლა ანელკას** შემდეგ კიდევ ერთი თავდამსხმელი დაკარგა. ლაპარაკია „რენის“ 23 წლის შემტევ **ჯიმი ბრიანზე**. მან ერთ-ერთ ვარჯიშზე „ტულუზის“ მეკარე **სედრიკ კარასკოსთან** შეჯახებისას მარცხენა მუხლი დაიზიანა და იძულებული გახდა, სანაკრებო შეკრება დაეტოვებინა. ასევე ტრავმის გამო **რაიმონ დომენეკს** „ტულუზის“ 23 წლის ცენტრალური თავდამსხმელი **ანდრე-პიერ ჟინიაკიც** გამოაკლდა. ამის მიუხედავად მოსიე რაიმონს სამი კვალიფიციური თავდამსხმელი მაინც რჩება - **ტიერი ანრი, კარიმ ბენზემა და გილემ ორო.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

დავიდ ვილია

# ყველა რეკორდს დავამხობ!

**დავიდ ვილია** ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. „ვალენსიას" ვარსკვლავმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და სელექსიონის გამარჯვებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ვილია ევრო 2008-ის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ის მიღწეული შედეგებით არასოდეს კმაყოფილდებოდა. მისი ახალი მიზანი სელექსიონის ყოფილი ვარსკვლავების რეკორდების დამხობა და რაც მთავარია, 2010 წლის მუნდიალზე გამარჯვებაა...

**- თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ხართ. გარდა ამისა, ალფრედო დი სტეფანოს შემდეგ გოლების საშუალო მაჩვენებლით ხართ საუკეთესო.**

- სიმართლე გითხრათ, წინასწარ არასოდეს ვამბობ, ამდენ და ამდენ გოლს გავიტან-მეთქი, თუმცა ყოველთვის ვცდილობ, კარგად ვითამაშო და გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო. მიხარია, როცა გამარჯვებაში წვლილი შემაქვს. რა თქმა უნდა, ფორვარდისთვის გოლის გატანა არაჩვეულებრივია. გოლი ჩემი ბედნიერებაა.

**- დღევანდელი მონაცემებით, ესპანეთის ნაკრების რიგით მეხუთე საუკეთესო ბომბარდირი ხართ. ემილიო ბუტრაგენიოსთან გასათანაბრებლად ერთი გოლი გაკლიათ...**

- ვამაყობ, რომ ჩემი გოლები ესპანეთის ნაკრებს წარმატებების მიღწევაში ეხმარება. ეს ჩემი უპირველესი მიზანია. ამავდროულად, კარგად ვაცნობიერებ, რომ ემილიო ბუტრაგენიოს მაჩვენებლის გამეორებისა და გაუმჯობესების რეალური შანსი მაქვს. ამისათვის, კარიერის დასრულებამდე კიდევ ორი გოლი უნდა გავიტანო. ამპარტავნებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბუტრაგენიოს ვაჯობებ (იცინის). ორ გოლს აუცილებლად გავიტან. კარგად გამიგეთ, მე არა მარტო ემილიოს, არამედ მორიენტესს, იეროს, რაულსა და სხვა გენიალურ ფეხბურთელებსაც უნდა ვაჯობო. როცა მათ თამაშს ტელევიზორით ვუყურებდი, აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი. ბუტრაგენიო ჩემი კერპი იყო, ახლა კი მისი მაჩვენებლის გაუმჯობესებისთვის ვემზადები. ცხოვრება საოცრება არ არის? ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამხელა ფორვარდთან კონკურენციის დრო მოვიდოდა.

**- სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვხვდები თქვენი შესაძლებლობების ზღვარი სად გადის. სევილიაში კუბალასა და სარას მაჩვენებლები გააუმჯობესეთ. ზედიზედ ექვს შეხვედრაში შეძელით გატანა. იმედია, ეს სვლა თურქეთთან მატჩის შემდეგაც გაგრძელდება...**

- ღმერთმა ქნას. იმედია, გამიმართლებს, თუმცა ოღონდ ესპანეთმა მოიგოს და თანახმა ვარ, გოლი რომელიმე ჩემმა თანაგუნდელმა გაიტანოს. ჩემთვის უპირველესი ამოცანა სელექსიონის გამარჯვებაა. 2010 წლის მუნდიალის საგზური რაც შეიძლება მალე უნდა მოვიპოვოთ.

**- „ბერნაბეუზე" მოგიწევთ თამაში, რაულის სამეფოში.**

- ძალიან მინდა, ნაკრების 7-ნომრიან მაისურთან დაკავშირებული აჟიოტაჟი დასრულდეს. საშინლად დავიღალე. ეს ისეთი თემაა, რომელსაც სანაკრებო ცხოვრებასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია და ყველა ერთნაირად ვზარალდებით, რაული, მე და ზოგადად ნაკრები. ჩემი აზრით, გონსალეს ბლანკო მაქსიმალურ პატივისცემას იმსახურებს. მან ესპანეთის ნაკრებისთვის იმდენი რამ გააკეთა, ასეთი სპეკულაციის მონაწილე არ უნდა გახადონ.

**- გასაგებია, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ. 7-ნომრიან მაისურს არავითარ შემთხვევაში არ შეელევით?**

- არა, რა სისულელეა! მართლა გეუბნებით, 7-ნომრიანი მაისურა იმიტომ ავირჩიე, რომ თავისუფალი იყო. ესპანეთის ნაკრებში ნომრები გამოცდილებისა და დამსახურების მიხედვით ნაწილდება. სელექსიონში ყველაზე მეტი შეხვედრა მარჩენას აქვს ჩატარებული. კარლოსმა რომ მთხოვოს, 7 ნომერი დამითმეო, დაუფიქრებლად მივცემ. ყველას ძალიან ვთხოვ, ამ თემასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს წერტილი დავუსვათ. ეს არავის გვჭირდება. დამიჯერეთ, აჟიოტაჟით ყველა ზარალდება. ბევრჯერ მიფიქრია, კი, მაგრამ ამხელა ამბავი რატომ ატყდა, მართლა ქურდი ხომ არ ვარ-მეთქი. არადა, არავისთვის არაფერი მომიპარავს. მაისურა თავისუფალი იყო, პატრონი არ ჰყავდა და მე ჩავიცვი. ეს არის და ეს.

**- აშკარაა, რომ სხვა ამპლუის ფეხბურთელებს განსხვავებული კრიტერიუმებით აფასებენ. ფორვარდის შეფასების ერთადერთი საზომი კი გოლებია. ეს რამდენად სამართლიან ტენდენციად მიგაჩნიათ?**

- ფორვარდს მხოლოდ გატანილი გოლებით არ ვაფასებ. შეიძლება, თავდამსხმელმა უდიდესი მატჩი ჩაატაროს, გუნდის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს, მაგრამ მოედანი უგოლოდ დატოვოს. პირიქითაც ხდება ხოლმე. საშინელი დღეები მქონია, საზიზღრად მითამაშია, მაგრამ ერთი ან ორი გოლი მაინც გამიტანია. ფორვარდის შრომა უფრო მრავალმხრივ უნდა შეფასდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თავდამსხმელეის უპირველესი მოვალეობა გოლების გატანაა. ალბათ, ამის ბრალია, რომ ჩვენ სხვა ამპლუის ფეხბურთელებთან შედარებით ცოტათი ეგოისტები ვართ.

**- თქვენ ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი გახდით. საინტერესოა, ამ წარმატებაზე ფიქრის დროს რას გრძნობთ ხოლმე?**

- სიხარულს, სიამაყესა და კმაყოფილებას. კაცმა რომ თქვას, ამ ყველაფერს მაშინაც ვგრძნობ, როცა გოლები ვერ გამაქვს. მთავარია, ესპანეთის ნაკრებში გამომიძახონ და თამაშის საშუალება მომცენ. ტყუილად არ ვამბობ, გოლების რაოდენობას წინასწარ არ ვაცხადებ-მეთქი. ფეხბურთელმა პირველ რიგში ნაკრებში მოხვედრაზე უნდა იოცნებოს. დანარჩენი მერე გამოჩნდება. რაც უნდა კარგად ვითამაშო, ყველას მშვენივრად გვესმის, რომ ესპანეთის ეროვნული გუნდი დავიდ ვილიაზე და თუნდაც მის გოლებზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

**- ჩემი აზრით, თქვენი წარმატების მთავარი მიზეზი სწორედ ასეთი სულისკვეთებით ცხოვრებაა. მეთანხმებით?**

- რა თქმა უნდა. ღრმად მწამს, რომ ესპანეთის ნაკრებისთვის მთავარი ამოცანა ერთსულოვნება და ერთ მუშტად შეკრული გუნდის შენარჩუნებაა. ხაზს ვუსვამ, შენარჩუნება და არა შექმნა. ჩვენ დიდი ხანია ერთ მუშტად შევიკარით და აბსოლუტურად ყველა წარმატებას ერთსულოვნებით ვაღწევთ. ჩვენ ერთი ორგანიზმი ვართ. დამეთანხმებით, ამ ყველაფრის გარეშე ევროპის ჩემპიონები ვერ გავხდებოდით.

**- შესაძლოა, ვისენტე დელ ბოსკეს მენტალიტეტიც ამით იყოს განპირობებული. მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე სენიორ დელ ბოსკემ განაცხადა, ევრო 2008-ზე გამარჯვებული ფეხბურთელები იერარქიის მაღალ საფეხურზე დგანანო...**

- ჰო, თქვენს გაზეთში, „დიარიო ასში" გამოქვეყნებული ის ინტერვიუ ძალიან კარგად მახსოვს. დელ ბოსკემ სიტყვა საქმედ აქცია და ამით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ. იერარქიის მაღალ საფეხურზე დგომა უკვდაობას არ ნიშნავს. პირიქით, რაც უფრო მაღლა ხარ, მტკივნეული ვარდნის საფრთხე მით უფრო რეალურია. ამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ძველი არმადის ბიჭებს ერთადერთი გზა გვაქვს. ყოველ დღე უნდა ვამტკიცოთ, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს ისევ ჩვენ ვიმსახურებთ. გარწმუნებთ, რაც უნდა დიდი დამსახურება გვქონდეს, თუ კონკრეტულ მატჩს მაქსიმალურად მომზადებული არ შევხვდებით, დელ ბოსკე ხელს გვკრავს და ჩვენზე უკეთეს ბიჭებს მოიყვანს. მადლობა ღმერთს, ესპანეთს ნიჭიერი ფეხბურთელების დეფიციტი არ აწუხებს. კონკურენცია ჩემს ცხოვრებაში ერთგვარი ანიმატორის როლს ასრულებს.

**- ლუის არაგონესისა და ვისენტე დელ ბოსკეს გუნდები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან?**

- ყველა მწვრთნელს მუშაობის ინდივიდუალური სტილი აქვს, ვფიქრობ, ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. თუ ზოგადად ვიმსჯელებთ, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ახალი მწვრთნელის მოსვლამ სრულიად უმტკივნეულოდ ჩაიარა. განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა. მგონი, ამაზე არაერთხელ მისაუბრია.

**- სულაც არ მიკვირს, განსაკუთრებული ცვლილებები რომ არ მომხდარა. ნებისმიერი გუნდი მის ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. ესპანეთში კი შემადგენლობა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ხომ არ ფიქრობთ, რომ სისხლის გადასხმა გჭირდებათ?**




- სისხლის გადასხმა, როგორც წესი, ავადმყოფს სჭირდება. საბედნიეროდ, ჩვენ ჯანმრთელი ვართ და არა მგონია, სისხლის გადასხმა აუცილებელი იყოს, თუმცა ამავდროულად იმასაც ვიტყვი, რომ სელექსიონის კარი ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის ყოველთვის ღიაა.

**- თურქეთთან მატჩში ინიესტა არ გვეყოლება. ანდრესი ტრავმირებულია. ხომ არ შიშობთ, რომ პასის მომწოდებელი არ გეყოლებათ?**

- ინიესტას ტრავმამ ძალიან შემაშფოთა, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ მაღალი დონის სხვა ნახევარმცველები არ გვყავს? დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება, თუმცა დასამალი არ არის, რომ ინიესტას და ჩავის დუეტი ჩვენი ნახევარდაცვის ხერხემალია. გულშემატკივრები მარადონასა და მესის, რონალდოსა და რომარიოს ხშირად ადარებენ ერთმანეთს, მაგრამ ინიესტასა და ჩავის ვერავინ ვერასოდეს ვერავის შეადარებს. ისინი განუმეორებელი ფეხბურთელები არიან. მათი მსგავსი არავინ მინახავს. გულწრფელად გეტყვით, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მაგრამ ანდრეს ინიესტა სელექსიონს ძალიან დააკლდება.

**- არასოდეს დაგიმალავთ, რომ ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ოთხი საუკეთესო ბომბარდირის მაჩვენებლების გაუმჯობესება გინდათ. საინტერესოა, რა გრძნობა დაგეუფლებათ, ახალგაზრდა ყმაწვილი რომ გამოჩნდეს და თქვენს რეკორდებს დაემუქროს...**

- ძალიან ბედნიერი ვიქნები. იდიოტი უნდა იყო, რეკორდი დაამყარო და მერე იოცნებო, ეს რეკორდი სამყაროს დასასრულამდე ხელშეუხებელი დარჩეს. მე ესპანელი ვარ, ჩემი ქვეყნის პატრიოტი და ყოველთვის გამიხარდება, თუ ახალგაზრდა ფორვარდები გამოჩნდებიან და ყველა რეკორდს დაამხობენ.

**- ტრავმის გამო რამდენიმე კვირა გაგიცდათ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

- ბევრად უკეთესად. სამწუხაროდ, რამდენიმე კვირა გამიცდა და ფორმა დავკარგე, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თურქეთთან მატჩში ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, ვისენტე დელ ბოსკემ მათამაშოს. შეუძლებელს შევძლებს და სელექსიონს უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვებაში დავეხმარები. ჩემი თანაგუნდელების იმედი მაქვს. მათთან ერთად ნებისმიერი სირთულის ამოცანის შესრულებას მოვახერხებ.



ესპანეთის ნაკრები

# დელ ბოსკე ინიესტას მისტირის

## ბარსელონელის გარეშე სელექსიონი სხვა გუნდია...

**ვისენტე დელ ბოსკე** ანდრეს ინიესტას ტრავმით უკიდურესად დამწუხრებულია. როცა ამა თუ იმ ფეხბურთელს ტრავმა აწუხებს, მწვრთნელები თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობენ ხოლმე, ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს, გუნდი, რომელიც მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებულიო. სენიორ დელ ბოსკე კი ასე არ საუბრობს. პირიქით, სელექსიონის მთავარი მწვრთნელი გულწრფელად აცხადებს, ანდრესის გარეშე ძალიან გაგვიჭირდებაო:

„მე ვერ დავმალავ, რომ ინიესტა ესპანეთის ნაკრების ხერხემალია. წარმოიდგინეთ, ადამიანს ხერხემალი რომ გამოაცალო სრულფასოვნად როგორ უნდა იცხოვროს? ჩვენც დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში ვართ. ძალიან სამწუხაროა, რომ საპასუხისმგებლო მატჩების წინ „ბარსელონას" გენიალური ნახევარმცველი გამოგვაკლდა. გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, ტაქტიკის სერიოზულად გადახედვა მომიწევს. ერთია, როცა სელექსიონი ანდრესთან ერთად თამაშობს და მეორე, როცა მის გარეშე უწევს ბრძოლა. იმედი მაქვს, რომ შესარჩევ მატჩებს მოვიგებთ, თუმცა ინიესტა ჯანმრთელი რომ იყოს, ვიტყოდი, გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ-მეთქი".

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



იურგენ კლინსმანი: გალიმებული ჩემპიონთა ლიგაში, სასოწარკვეთილი ბუნდესლიგაში

ინტერვიუ

იურგენ კლინსმანი

# ორსახოვანი ბაიერნი

## კლინსი აღიარებს, რომ ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგაში უფრო მეტი მოტივაცია აქვთ, ვიდრე ბუნდესლიგაში

**იურგენ კლინსმანის ხელში „ბაიერნი“ არასტაბილური გუნდია. დღეს ლისაბონის „სპორტინგს“ 7:1-ს მოუგებს, ხვალ ბუნდესლიგაში „ჰანოვერთან“ დამარცხდება. კლინსმანს კი ეს არ უკვირს, რადგან შარშან რეკორდმაისტერმა გერმანიაში დუბლი შეასრულა, ჩემპიონთა ლიგაში კი ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და არცაა გასაკვირი, მისი შეგირდები ევროპის ელიტურ საკლუბო ლიგაში უფრო მეტად რომ არიან მოტივირებულები. კლინსმანს „კიკერი“ გაესაუბრა.**

**- ჰერ კლინსმან, „ბაიერნი“ სეზონის გადამწყვეტ ფაზაში შედის. არსებობს კი თქვენთვის ისეთი დღეები, როცა სამსახურზე საერთოდ არ ფიქრობთ?**

- თავისუფალ დროს ყოველთვის ოჯახს, მეუღლეს და შვილებს ვუთმობ. შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ ფაქტია, რომ მართლაც არსებობს მომენტები, როცა ფეხბურთს 100 პროცენტით ვეთიშები ხოლმე. აი, მაგალითად ახლა სანაკრებო პაუზაა და მეც უფრო მეტი თავისუფალი დრო მაქვს და შემიძლია, ცოტა ამოვისუნთქო. მერე კი მართლაც უმძიმესი რვა კვირა მელოდება.

**- რვა კვირა, რომელიც მთელი სეზონის ბედს გადაწყვეტს...**

- ჰო, ჩვენ ჯერ კიდევ ორ ქორნილში ვცეკვავთ. სამწუხაროდ, გერმანიის თასიდან გავვარდით, მაგრამ რას ვიზამთ - რაც მოხდა, მოხდა.

**- ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონა“ გელით. მოგისამძიმროთ?**

- პირიქით! უნდა მომილოცოთ, რადგან წილისყრამ მსოფლიოს საუკეთესო გუნდი გვარგუნა მეტოქედ. ამით „ბაიერნს“ ეძლევა შანსი, დაამტკიცოს, რომ სუპერგუნდებთან ტოლ-სწორად თამაში და მათი დამარცხებაც შეუძლია. „ბარსელონას“ თუ არ შეხვდი, ვერასდროს დარწმუნდები, გყავს თუ არა მართლაც ძლიერი გუნდი. „ბარსასთან“ თამაში დამანახვებს, მართლაც ბრუნდება თუ არა „ბაიერნი“ ევროპაში ღირსეულად. თორემ „სპორტინგის“ განადგურებით ჩვენ ამერიკა არ აღმოგვიჩენია. მართალია, ამ გამარჯვების შემდეგ ყველამ სხვანაირად შემოგვხედა, მაგრამ მაინც: „ბარსასთან“ ორრაუნდიანი დაპირისპირება ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს გასცემს.

**- ისევე როგორც პირველი წრე, თქვენმა გუნდმა სეზონის მეორე ნახევარიც პრობლემებით დაიწყო.**

- ამ ორი ეტაპის შედარება არ შეიძლება. სეზონის დასაწყისში პრობლემები ისედაც მოსალოდნელი იყო, რადგან ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ფიზიკურად და მენტალურად გადაღლილები იყვნენ. რიბერი და ტონი სეზონის სტარტს ტრავმირებულები შეხვდნენ, ჰამით ალთინთოფიც დიდხანს გვაკლდა. მეორე წრეში კი უბრალოდ შევძელით ის, რომ ბუნდესლიგის მატჩებშიც ისეთივე კონცენტრირებულები ვყოფილიყავით, როგორც ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ვიყავით.

**- თქვენი სიტყვებიდან ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: „ბაიერნმა“ ბუნდესლიგა მეორეხარისხოვანი როლი მიანიჭა...**

- უბრალოდ, სტაბილურობა გვაკლია და ამას ვაღიარებ კიდეც. პრინციპში, რა აღიარება უნდა: ეს ისედაც ჩანს. მხოლოდ მაშინ ვახერხებთ სრულად კონცენტრირებას, როცა სხვა გზა აღარ გვაქვს, როცა ასე ვთქვათ, თორმეტს თხუთმეტი უკლია. „ბაიერნი“ მაშინ ხდება ყველაზე საშიში, როცა უკან დასახევი გზა აღარ აქვს.

**- ასეთ დროს კრიტიკის ქარცეცხლი გატყდებათ თავს და როგორ დავიჯეროთ, რომ ეს თქვენზე უარყოფით გავლენას არ ახდენს...**

- კრიტიკა ყოველთვის უსიამოვნოა. რა თქმა უნდა, მირჩევნია, რომ ყოველდღე კომპლიმენტებით მავსებდნენ. ფეხბურთი ემოციური სპორტია და როცა „ბაიერნის“ დონის გუნდის მწვრთნელი ხარ, ისიც უნდა გქონდეს შეგნებული, რომ მუდმივად უმძიმესი წნეხის ქვეშ იქნები. აქ ყოველი ნაგების შემდეგ მწვრთნელის შესაძლებლობებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ.

**- გერმანიის ნაკრების თავკაცის რანგში ყოველთვის გმირი იყავით: დანიშვნის დღიდან მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო მატჩამდე. „ბაიერნში“ კი თავიდანვე ეჭვის თვალით გიყურებდნენ, თვით რეკორდმაისტერის ფანებიც კი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილები. როგორ ახსნით ამას?**

- როდესაც მწვრთნელს გუნდში ბევრი სიახლე შეაქვს, ეს ფანებში ყოველთვის სკეპტიციზმს იწვევს და ქომაგების ასეთი განწყობა მანამდე გრძელდება, სანამ შედეგს არ მიაღწევ. ცხადია, ფანებიც ნერვიულობდნენ, რადგან არ იცოდნენ, რას და როგორ გააკეთებდა კლინსმანი, რომელიც რევოლუციური ნაბიჯების გადადგმით იყო ცნობილი და რაც ყველაზე მთავარია, მათ არ იცოდნენ, ექნებოდა თუ არა შედეგი ახალ მწვრთნელს. თუ სეზონს წარმატებით დავასრულებთ, ყველას ყველაფერი დაავიწყდება და მეც გმირი ვიქნები.

**- ნახევარ წელიწადზე მეტია, „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი ხართ. როგორ შეაფასებდით ამ პერიოდს?**

- პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ იმ ფეხბურთით და შედეგებით, რასაც „ბაიერნი“ ამ სეზონში აჩვენებს. ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ კარგად გამოვიყურებით და მეოთხედფინალში ვართ. ვიბრძვით გერმანიის ჩემპიონობისთვისაც და ერთი ეგაა, რომ გერმანიის თასიდან გავვარდით. რაც მთავარია, ვთამაშობთ შემტევ ფეხბურთს. ბუნდესლიგაშიც არაერთი კარგი თამაში ჩავატარეთ.

**- მაგრამ ბუნდესლიგაში ბევრი თამაში წააგეთ...**

- ჰო, აი, ისევ მივადექით სტაბილურობის თემას. არ ვართ სტაბილურები.

**- ტიტულები გჭირდებათ იმისათვის, რომ სეზონის ბოლოს კმაყოფილი იყოთ...**

- ასეა. გერმანიის ჩემპიონები რომ ვერ გავხდეთ, უკმაყოფილო ვიქნები. მეტიც, ძალიან მეწყინება.

**- 2006 წლის მუნდიალზე გერმანიამ ტიტული ვერ მოიგო, მაგრამ გერმანელი ერი მაინც ბედნიერი იყო.**

- „ბაიერნში“ ასეთი რამ გამორიცხულია.

**- თქვენ მიმართ ფეხბურთელებიც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. ფილიპ ლამმა და მიროსლავ კლოზემ თქვეს, ზედმეტად შემტევი სტილი გვაქვს, ასე არ შეიძლებაო, მასიმო ოდომ კი განაცხადა, იტალიაში ტაქტიკას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, განსაკუთრებით ვარჯიშებზეო.**

- უნდა ვთქვა, რომ პრესამ ეს ფაქტებიც გააბუქა. რაც მირომ და ფილიპმა თქვეს, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია და მეტსაც გეტყვით: მეც ამ აზრზე ვარ. ოდო კი იტალიურ სტილსაა მიჩვეული, აპენინებზე ფეხბურთი ტაქტიკით იწყება და ტაქტიკითვე მთავრდება. ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება. არავის შეეშინდეს: ტაქტიკასაც ბევრ დროს ვუთმობთ. იტალიაში ეს სხვანაირად ხდება, ინგლისში სულ სხვანაირად, მე კი ჩემებური სტილი მაქვს.

**- რამდენად ხართ იმაზე დამოკიდებული, მოიგებთ თუ არა მაისში რომელიმე ტიტულს?**

- მომავალი 8-9 კვირა ჩვენთვის გადამწყვეტი პერიოდია. თუ წარმატებას ვერ მივაღწევთ, ყველა იტყვის, რომ ყველაფერს შეცდომით ვაკეთებდით. თუ მოვიგებთ, პირიქით იქნება. აი, მაგალითად, „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგიდან რომ გავაგდოთ, ჩვენზე კრიტიკული სიტყვები დიდხანს აღარავის წამოსცდება. ბუნდესლიგაში კი რამდენიმე შეცდომა მართლაც დავუშვით და ფეხბურთელებს ეს უნდა ვაპატიოთ, რადგან შარშან „ბაიერნმა“ გერმანიაში დუბლი შეასრულა და რა გასაკვირია, რომ ბიჭები ახლა ჩემპიონთა ლიგაში უფრო მოტივირებულები არიან, ვიდრე გერმანიის პირველობაზე. მაგრამ აპრილში და მაისში ეს ასე აღარ იქნება.

**- „ბაიერნი“ ახალ მენეჯერს ეძებს. თქვენ რა როლი გაქვთ ამ პროცესში?**

- ცხადია, ული ჰიონესი მუდმივად მეკითხება აზრს ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ, მაგრამ მე არაფერს ვწყვეტ. ულის 100 პროცენტით ისიც არ აქვს გადაწყვეტილი, დატოვებს თუ არა მენეჯერის თანამდებობას და გახდება თუ არა გუნდის პრეზიდენტი.

**- ანუ, შესაძლოა, ჰიონესი მენეჯერის პოსტზე დარჩეს?**

- არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ეს გამორიცხული არ არის. მომდევნო თვეებში ფინანსური კრიზისი ფეხბურთს უფრო დაატყობს კვალს და ასეთ დროს მენეჯერის გამოცვლა ცოტა არ იყოს, სახიფათოა.

**- ანუ, თქვენ გინდათ, რომ ჰიონესი პოსტზე დარჩეს.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მისი გადასაწყვეტია.




გერმანიის ნაკრები

# ტაქტიკა უპირველეს ყოვლისა!

## პოდოლსკი ლიხტენშტაინთან თუ გაიტანს, თორემ...

ოთხშაბათს, გერმანიის ნაკრებმა ლაიპციგში პირველი ვარჯიში გამართა. როგორც იცით, ბუნდესგუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ემზადება: შაბათს ალემანები ლიხტენშტაინს უმასპინძლებენ, ოთხის შემდეგ კი კარდიფში უელსს დაუპირისპირდებიან. მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ტრავმების გამო სამი ფეხბურთელი მოისაკლისა: **რენე ადლერი, პერ მერტეზაკერი** და **პიოტრ ტროხოვსკი**. ეს სამეული ლიხტენშტაინთან ვერ ითამაშებს, უელსთან კი სამივე მათგანი იასპარეზებს. ყოველ შემთხვევაში, ამას ამბობენ ბუნდესგუნდის ექიმები.

გამოდის, რომ ლიხტენშტაინთან გერმანიის ნაკრების კარი სხვა მეკარემ უნდა დაიცვას. ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ლიოვის ასისტენტ **ჰანს-დიტერ ფლიკს** სწორედ ამ საკითხზე დაუსვეს კითხვა, მაგრამ ფლიკმა პასუხის გაცემა არ ისურვა. ადლერის გარდა იოგის ბუნდესგუნდში „ჰანოვერის“ კარის დარაჯი **რობერტ ენკე** და „ვერდერის“ კიპერი **ტიმ ვიზე** ჰყავს გამოძახებული, მაგრამ როგორც ჩანს, ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რომელმა მათგანმა უნდა ითამაშოს შაბათს. ანაც, ლიოვს გადაწყვეტილების წინასწარ გამხელა არ სურს.

სამაგიეროდ, ცნობილია, რომ თავდასხმაში აუცილებლად ითამაშებს **ლუკას პოდოლსკი**, რომელიც გერმანიის ნაკრებს ტრავმით გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. *„წინა თვეებში პრობლემები მქონდა, მაგრამ ფორმაში შევდივარ და შაბათს გოლების გატანას შევეცდები,“* - აცხადებს პოდოლსკი.

ისე, ლიხტენშტაინის კარში გოლების გატანა არც ისე რთულია და პოდოლსკისაც მიეცემა იმის საშუალება, რომ გაიხაროს. თუკი პოლდი შეძლებს და ამ ორ შეხვედრაში მინიმუმ სამ გოლს გაიტანს, გერმანიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირების სიაში მნიშვნელოვნად წაიწევს წინ და ტოპათეულში შევა. თანაც, გაასწრებს ისეთ ლეგენდებს, როგორებიც არიან **კლაუს ფიშერი** (32 გოლი), **ფრიც ვალტერი** (33) და **ულფ კირსტენს** (34) გაუთანაბრდება. 23 წლის პოდოლსკის ბუნდესგუნდში ჩატარებულ 60 მატჩში დღეისათვის 31 გოლი აქვს გატანილი. შეგახსენებთ, რომ ბუნდესნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი **გერდ მიულერია** 68 გოლით.

ლიოვის გუნდმა ბოლო ორი თამაში წააგო (ნორვეგიასთან და ინგლისთან). შესაბამისად, იოგი თავისი შეგირდებისგან მნიშვნელოვან პროგრესს და რაც მთავარია, შედეგს ითხოვს. *„ჩვენი მიზანი ორივე შეხვედრის მოგება და 6 ქულის მოპოვებაა,“* - განაცხადა ფლიკმა ოთხშაბათის პრესკონფერენციაზე. მანვე აღნიშნა, რომ ლიოვი ვარჯიშებზე ამჟერად აქცენტს ტაქტიკაზე აკეთებს. კერძოდ, გერმანიის ნაკრები ინტენსიურად ვარჯიშობს პრესინგზე, მეტოქეზე ზეწოლის განხორციელებასა და ბურთის მეტოქის კართან სწრაფად მიტანაზე.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



იოახიმ ლიოვი აქცენტს ტაქტიკურ ვარჯიშებზე აკეთებს

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ფლოკარის ვოლფსბურგში?

## მაგათმა კიდევ ერთ იტალიელს დაადგა თვალი



გამგელდება ფლოკარი?

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბერგამოს „ატალანტას" თავდამსხმელი **სერჯო ფლოკარი** სეზონის ბოლოს იტალიურ კლუბს დატოვებს. *„ჩვენ უკვე შევუთანხმდით ფლოკარის და მის მრჩეველს იმის თაობაზე, რომ მას შეუძლია, ზაფხულში გუნდი დატოვოს, თუკი კარგი შემოთავაზებები ექნება,"* - აცხადებს „ატალანტას" სპორტული დირექტორი **კარლო ოსტი**.

ფლოკარის იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში 12 გოლი აქვს გატანილი და როგორც ჩანს, მას მთხოვნელების რიგი უდგას. ბოლო დღეებში 27 წლის თავდამსხმელის გადაბირების სურვილი „იუვენტუსმა", „მილანმა", „რომამ" და „ტოტენჰემმა" გამოთქვეს. „გაძეტა დელო სპორტი" კი წერს, რომ ფლოკარის გადაბირება „ვესტ ჰემს", „ზენიტს" და „ვოლფსბურგსაც" უნდათ. მეტიც: ხსენებული გამოცემის მტკიცებით, გერმანულმა კლუბი პირველია მთხოვნელებს შორის, ვინც ფლოკარის კონკრეტული წინადადებით უკვე მიმართა. როგორც იცით, „ვოლფსბურგში" ორი იტალიელი თამაშობს: **ანდრეა ბარძალი** და **კრისტიან ძაკარდო**.

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# სტივენსი: შალკეს არ ვჭირდები!

## ყველა გზა კანისკენ მიდის

მთავარმწვრთნელს უახლოეს მომავალში გააგდებენ, სამეთვალყურეო საბჭო ახალ მენეჯერს ეძებს, გუნდის პრეზიდენტი კი ლიად აცხადებს, ჩემპიონობა რამდენიმე წლით უნდა დავივიწყოთო - „შალკეში" მძიმე დღეებია. **ფრედ რუტენი** გელზენკირხენში დაბრუნდა და გუნდიც ავარჯიშა, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ მას პოსტზე დიდხანს არავინ გააჩერებს. იმის გამო, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტისთვის ჟურნალისტებს კითხვები არ დაესვათ, „შალკეს" ხელმძღვანელებმა ოთხშაბათს დაგეგმილ ტესტმატჩზე (ალენთან) უარი თქვეს.

წესით, გელზენკირხენული კლუბის ბოსებს მენეჯერის თაობაზე გადაწყვეტილება ამ კვირაში უნდა მიეღოთ, მაგრამ ეს არ მოხდება. „შალკეს" შეფებმა უკვე მიიღეს უარი **ჰერიბერტ ბრუხჰაგენისგან** (აინტრახტი), **ფელიქს მაგათისგან** (ვოლფსბურგი) და **მათიას ზამერისგან** (გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი). გარკვეულია, რომ **ანდრეას მიულერის** თანამდებობაზე არც **ჰუუბ სტევენსი** დაინიშნება, რომელმაც გელზენკირხენელებს სამსახური თვითონ შესთავაზა. *„მე ჩემი ვთქვი, მაგრამ „შალკედან" არავინ დამკავშირებია. ახლა ზარს აღარც ველოდები. როგორც ჩანს, გუნდის შეფებს არ ვჭირდები. ფაქტია, ჩემზე რომ ფიქრობდნენ, აქამდე დამირეკავდნენ,"* - განაცხადა სტევენსმა ოთხშაბათს.

ჰუუბი „შალკეს" ადრეც წვრთნიდა და 1997 წელს გუნდს უეფას თასი მოაგებინა, 2001 და 2002 წლებში კი გერმანიის თასზე გაამარჯვებინა. მას მერე „შალკეს" ასეთი წარმატებებისთვის აღარ მიუღწევია. ის გელზენკირხენული გუნდის ფანებში დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

*„ნამდვილად არ მომწონს ის, რაც დღეც „შალკეში" ხდება. როგორც ჩანს, ამ გუნდში ყველაფერი წესრიგში არ არის. ფაქტია, რომ „შალკეს" შეფებს დიდხანს ვერ დაველოდები. თუ არ ვჭირდები, კარგად იყვნენ!"* - იმედგაცრუებას ვერ მალავს სტევენსი.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ გელზენკირხენული კლუბის გენერალური მენეჯერის პოსტზე **ოლივერ კანი** დაინიშნება, რომელსაც „შალკეს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისი** ერთი კვირის წინ შეხვდა. თუმცა „კიკერი" წერს, ამ დღეებში ტიონისი **არსენ ვენგერის** ტელეფონის ნომრის გაგებას ცდილობდაო...

**გოტფრიდ ლენცი**



შალკეში ჰუუბ სტევენსის დაბრუნება ფაქტობრივად გამორიცხულია

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

მწვრთნელი

# პრანდელის გეგმა: ვიოლას მერე პენსიაში

**ჩეზარე პრანდელი** ახალი თაობის იტალიელ მწვრთნელებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. 51 წლის სპეციალისტმა ფლორენციის „ფიორენტინას" უმძიმესი კრიზისი დააძლევინა და ელიტურ იტალიურ გუნდებში დააბრუნა. ტოსკანურმა კოლექტივმა გასულ წელს დიდი სენსაცია მოახდინა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში მრისხანე „მილანი" მოიტოვა უკან. ამ წარმატებების მთავარი შემოქმედი ჩეზარე პრანდელი გახლდათ, სპეციალისტი, რომელიც საკუთარ მომავალს მხოლოდ „ვიოლაში" ხედავს. არადა, იტალიურ პრესაში პრანდელის მომავალთან დაკავშირებით არაერთი ინფორმაცია ვრცელდება. ჟურნალისტთა ნაწილი გვიმტკიცებს, რომ მომავალი სეზონიდან სენიორ ჩეზარე **ლუჩანო სპალეტის** შეცვლის და „რომას" ჩაუდგება სათავეში. ეს ინფორმაცია „რომა"-„იუვენტუსის" შეხვედრის შემდეგ გავრცელდა. შეგახსენებთ, რომ „ვეკია სენიორამ" მეტოქე 4:1-ზე გაანადგურა. ამ მართლაც მტკივნეული მარცხის შემდეგ პრესასთან საუბარში



„ჯალოროსის" პრეზიდენტმა ემოციები ვერ დამალა და გუნდი მკაცრად გააკრიტიკა. **როზელა სენსის** სიტყვები ჟურნალისტებმა უმალ აიტაცეს და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს. მასმედია ვარაუდობს, რომ კრიტიკული შინაარსის სიტყვები პირველ რიგში ლუჩანო სპალეტის მისამართით იყო გამოთქმული.

ერთი სიტყვით, მასმედიის გარკვეული ნაწილი დარწმუნებულია, რომ სპალეტი ზაფხულში „რომას" დატოვებს და მას პრანდელი შეცვლის. სენიორ ჩეზარე კი ამას კატეგორიულად უარყოფს: *„ფლორენციაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდთან ხელშეკრულება 2011 წლამდე მაკავშირებს და შეთანხმების დარღვევას ნამდვილად არ ვაპირებ. მეტიც, ჩემი სურვილია, „ვიოლაში" კიდევ მრავალი წელი ვიმუშაო და გუნდთან ერთად ტიტულები მოვიგო. ასე რომ, თუ დელა ვალეები*

არ გამათავისუფლებენ, ტოსკანაში კიდევ დიდ ხანს დავრჩები. ფლორენციაში ფეხბურთი სიგიჟემდე უყვართ და ამაში მაშინვე დავრწმუნდი, როდესაც „ფიორენტინას" მწვრთნელად დავინიშნე. აქ ყველანი ერთი იდეის ქვეშ ვართ გაერთიანებულნი და ვცდილობთ, წარმატებას გუნდური სულისკვეთებით მივაღწიოთ. მიმდინარე სეზონში ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ, რაც სამომავლოდ წაგვადგება. მარტო ის რად ღირს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზეთ და ევროპული ფეხბურთის გრანდებს შევეჭიდეთ. თანაც, ურიგოდ არ გვითამაშია და მე თუ მკითხავთ, ჯგუფიდან გასვლასაც ვიმსახურებდით. ჩვენი მიზანი წელსაც ოთხეულში მოხვედრაა და იმედია, ამოცანას თავს კარგად გავართმევთ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს და რომში გადაბარგებას, ეს გამორიცხულია. „ფიორენტინას" სათადარიგო სკამიდან ალბათ ფლორენციის რომელიმე გასართობი პარკის სკამზე გადავინაცვლებ და ცხოვრებით დავტკბები. კიდევ ვიმეორებ, ჩემი ნება რომ იყოს, „ვიოლას" დიდი სიამოვნებით ვემსახურებოდი სამწვრთნელო კარიერის ბოლომდე".

**ლაშა ნიკლაური**

მილანი

# ანჩელოტი რჩება

## პატომ რეალი იუარა

ბოლო პერიოდში **კარლო ანჩელოტის** გარშემო დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. „მილანის" მთავარ მწვრთნელს სხვადასხვა კლუბში უწინასწარმეტყველებენ კარიერის გაგრძელებას, ყველაზე ხშირად კი მადრიდის „რეალის" ვარიანტი ფიგურირებს. გუშინ, ტურინულმა „ტუტოსპორტმა" ამ საკითხს საგანგებო სტატია მიუძღვნა და ანჩელოტის ესპანეთში გადაბარგება თითქმის გადაწყვეტილ ამბად შერაცხა. ავტორიტეტული გამოცემის ინფორმაციით, კარლეტო „რეალის" მომავალ პრეზიდენტს, **ფლორენტინო პერესს** შეხვდა და წინასწარ შეთანხმებასაც მიაღწია. პერესს რომ ანჩელოტის მიმართ სიმპათია აქვს, ეს ყველასთვის ცნობილია. პირენეელი ჩინოსანი კარლოს გადაბირებას ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდა, როდესაც „რეალი" პირველად ჩაიბარა და ვარსკვლავებით გაძეძგა. მაშინ, ანჩელოტისა და „გალაქტიკოს" ალიანსი არ შედგა და თუ **ადრიანო გალიანის** დავუჯერებთ, სენიორ ფლორენტინო ამჯერადაც ხელმოცარული დარჩება. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა და **სილვიო ბერლუსკონის** მარჯვენა ხელმა, „გაძეტა დელო სპორტს" შემდეგი განუცხადა:

*„ანჩელოტის გარშემო არაერთი ჭორი ვრცელდება, რაც იმის ნათელი დასტურია, რომ კარლო მაღალკვალიფიციური სპეციალისტია. ჩვენ კმაყოფილები ვართ ანჩელოტის მუშაობით და მასთან გამოთხოვების სურვილი არ გვაქვს. ის ალბათ გააგრძელებს „როსონერიში" მუშაობას და თანაც, კიდევ არაერთი წლით. „რეალის" ინტერესის შესახებ კარგად ვიცი, თუმცა მათი მხრიდან ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგმულა. პერესთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს და ზუსტად ვიცი, რომ ჩემს ზურგს უკან მოლაპარაკებების წარმოებას არ დაიწყებდა. ვიცი ანჩელოტის პოზიციაც და თავს საკმაოდ მშვიდად ვგრძნობ. კარლეტოს „მილანში" სურს დარჩენა და არსად წასვლას არ აპირებს. იმედია, სერია A-ში მესამე პოზიციას დავიკავებთ და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზებთ. უეფას თასი საკმარისზე დიდი დოზით მივიღეთ, დროა იქ დავბრუნდეთ, სადაც ჩვენი ადგილია".*

ამასობაში, „მილანის" გარშემო კიდევ ერთი სატრანსფერო ინფორმაცია გავრცელდა და ამ შემთხვევაშიც „რეალთან" გვაქვს საქმე. როგორც ჩანს, მადრიდელები მიხვდნენ, რომ **კაკას** ფრონტზე არაფერი გამოსდით და ახლა **პატოს** გადაბირების სურვილი გაუჩნდათ. „კორიერეს" მტკიცებით, ესპანელები ლომბარდიული გრანდის მესვეურებს ზაფხულში კონკრეტული წინადადებით მიმართავენ და ალეშანდრეში ასტრონომიულ თანხას შესთავაზებენ. თავად პატოს კი „მილანიდან" წასვლა აზრადაც არ მოსვლია, რაზეც მისი სიტყვებიც მოწმობს:

*„მილანელოზე" გატარებული თითოეული დღე ჩემთვის დღესასწაულია და როგორ ფიქრობთ, აქედან სადმე წამსვლელი ვარ? ჯერ მხოლოდ 19 წლის ვარ და მსოფლიოს უძლიერეს გუნდში ვთამაშობ. ჩემი თანაგუნდელები კი ბავშვობის კერპები არიან. სხვა ვერც ერთ გუნდში ვერ გავიზრდები ისე, როგორც „მილანში" და ეს კარგად მაქვს გაცნობიერებული. თანაც, „როსონერიში" ბრაზილიელების გარემოცვაში ვარ, რაც კიდევ უფრო დიდ კომფორტს მიქმნის. ამ ყველაფერს ვერაფერზე გავცვლი".*

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# მაესტრომ რუნის საქციელი დაგმო

## მეტიუ აპსონისთვის კაპელო ძოლაა, ალმუნიამ ინგლისი არ გამორიცხა



ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** „ფულჰემთან" ბოლო ტურის მატჩისას „მანჩესტერ იუნაიტედის" 23 წლის ფეხბურთელის **უეინ რუნის** გამოხდომას არანორმალური უწოდა. შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც **ფილ დაუდმა** მას წითელი ბარათი აუფრიალა, ფეხბურთელის ემოციურობამ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, იტალიელმა მაესტრომ რუნიმ სანაკრებო შეკრებაზე მაინც უხმო. *„მშვენივრად ვნახე, რაც გააკეთა, კუთხურის ალამი ძირიანად ამოაძრო. კი, მაგრამ ამით რისი მიღწევა სურდა? ეს არანორმალური საქციელია,"* - განაცხადა მან.

ალსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა რუნის ემოციებს მისი გუნდის ინტერესები ეწირება. ის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალისთან შეხვედრის დროსაც გააძევეს. თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ ბოლო ხუთ სანაკრებო თამაშში მას ერთი ყვითელი ბარათიც კი არ მიუღია. ინგლისელი ჟურნალისტების მტკიცებით, კაპელოს მიერ კონკრეტულ საკითხზე ასეთი ხაზგასმა შეიძლება განვიხილოთ როგორც აპენინელის შეშფოთება ნაკრების ფეხბურთელთა უდისციპლინობის გამო. სულ ახლახან სერიოზული პრობლემები ჰქონდა თვით **სტივ ჯერარდს**. ალბათ გახსოვთ, რომ ნასვამმა სტივმა მავან ახალგაზრდას ბარში თავზე ვისკის ბოთლი გადაამტვრია, რის გამოც ერთი ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა. ამას გარდა, პოლიციასთან საქმის დაჭერა მოუხდათ **კარლტონ** და **ეშლი კოულებსაც**.

აქვე გეტყვით, რომ ინგლისის ნაკრებისა და „ვესტ ჰემის" 29 წლის ცენტრალური მცველი **მეტიუ აპსონი** მიიჩნევს, რომ „ჩაქუჩების" იტალიელი მწვრთნელი **ჯანფრანკო ძოლა** და ფაბიო კაპელო მუშაობის სტილითა და ხასიათით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. აპსონის თქმით, ორივე სპეციალისტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბურთის კონტროლს, ასევე დავალების განსაკუთრებული გულმოდგინებით შესრულებას.

რაკი ინგლისის ეროვნულ გუნდზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთ საინტერესო ინფორმაციასაც მოგაწვდით. საქმე ეხება „არსენალის" ესპანელ გოლკიპერ **მანუელ ალმუნიას**. მას სამშობლოს ეროვნულ გუნდში მოხვედრისა და დამკვიდრების შანსი არ აქვს. წარმოუდგენელია, რომ მან ოდესმე თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო კარის დარაჯ **იკერ კასილიასს, დიეგო ლოპესსა** და **პეპე რეინას** კონკურენცია მოუგოს. „მეთოფეთა" მეკარეს ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღება და ინგლისის ნაკრებში თამაშის უფლების მოპოვება სურს. შეგახსენებთ, რომ ალმუნია „არსენალში" 2004 წელს „სელტადან" გადავიდა. ბრიტანეთის კანონმდებლობის თანახმად, მას მალე მიენიჭება ამ ქვეყნის მოქალაქეობა.

*„გულშემატკივრები ლამის ყოველ ნაბიჯზე მეკითხებიან ამის შესახებ. ინგლისში უკვე ხუთი წელია, ვცხოვრობ და როგორც მითხრეს, მალე შემეძლება აქაური პასპორტის აღება. ამჟამად საკითხს დაწვრილებით ვსწავლობ. ვფიქრობ, მომავალი წლის იანვარში უკვე მექნება შესაბამისი უფლება. მოქალაქეობის მიღების შემდეგ, თუ მიიჩნევენ, რომ ინგლისის ნაკრებში გამოძახება ვიმსახურებ, წინადადებას დაუფიქრებლად დავთანხმდები"*, - განუცხადა ფეხბურთელმა „არსენალის" ოფიციალურ საიტს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ექსპერტი

# კრუიფი: პერესი ფეხბურთში ვერ ერკვევა

## ლეგენდარულ ჰოლანდიელს მადრიდელები უსაქმურსა და ყბედს უწოდებენ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში **იოჰან კრუიფის** ვრცელი ინტერვიუ შემოგთავაზეთ, თუმცა ლეგენდარულ ჰოლანდიელზე საუბარი დღესაც მოგვიწევს. მან გუშინ საღამოს ესპანეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერში ისეთი ხმაურიანი განცხადება გააკეთა, ამ ამბავს გვერდს ვერ ავუვლიდით. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ მცირე მასალა მოგვემზადებინა და ინფორმაცია ოპერატიულად მოგვეწოდებინა. საქმე ისაა, რომ „ბარსელონას" ლეგენდარულმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ გაილაშქრა და დედაქალაქური გრანდი მიწასთან გაასწორა. საქმეში უკან გარკვევის მიზნით ბატონი კრუიფის განცხადების რამდენიმე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ:

*„მადრიდის „რეალი" ესპანური პრესისთვის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს გუნდი კი არა, სახელმწიფოა სახელმწიფოში. მასმედიის ასეთი მიკერძოებული მიდგომა ყოველთვის მალიზიანებდა, მაგრამ დღეს ამაზე არ ვისაუბრებ. სხვა რამეზე მინდა გავამახვილო ყურადღება. სამეფო კლუბს ძალიან ბევრი პრობლემა აქვს. ამ პრობლემების მიზეზი შემადგენლობაში კი არა, ხელმძღვანელობაში უნდა ვეძიოთ. მადრიდელები ამ მარტივ ჭეშმარიტებას როგორც იქნა ჩასწვდნენ და სწორი გზით სიარული დაიწყეს. „რეალს" არათანამედროვე ხელმძღვანელობა ჰყავს. ისინი გუნდს არასწორად მართავენ. როცა ზემოთ სიტუაცია არეულია, გუნდი ვერასოდეს დალაგდება. აქამდე დედაქალაქელები მხოლოდ ამპარტავნებით ცხოვრობდნენ, მაგრამ საზოგადოება მიხვდა, რომ სულ სხვანაირი მენეჯმენტია საჭირო. თუ ისინი ამას შეძლებენ, გუნდი გამოცოცხლდება, თუ არა და, მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეექმნება".*

კრუიფის ანტიმადრიდული გამოსვლა ამით არ დასრულებულა. ჰოლანდიელმა საფეხბურთო სპეციალისტმა **ფლორენტინო პერესსაც** გაჰკრა კბილი:

*„დღეს ფლორენტინო პერესს მესიად აღიქვამენ და ფიქრობენ, რომ პრეზიდენტის სავარძელში დაბრუნების შემდეგ ჯადოსნურ ჯოხს მოიქნევს და არეულ-დარეულ გუნდს წამში დაალაგებს. ეს გულუბრყვილო დამოკიდებულებაა. სენიორ პერესი ფეხბურთში საერთოდ არ უნდა მოღვაწეობდეს, იმიტომ, რომ ამ საქმეში ის არაკომპეტენტურია. არაკომპეტენტური კაცი სწორ სისტემას ვერასოდეს შექმნის. მისი პრეზიდენტობის პირველ ეტაპზე სამეფო კლუბმა დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ შემდეგ გამოჩნდა, რომ ხელმძღვანელობაში მმართველობის გამართული სისტემა არ არსებობს. პერესმა ათეულობით მილიონი ევრო დახარჯა. მართალია, „რეალმა" მაშინ პრესტიჟული ჯილდოები მოიპოვა, მაგრამ იმ ფულის ნახევრით სისტემის შექმნა შეიძლებოდა, იმ სისტემისა, რომელიც გუნდს არა რამდენიმე წლის, არამედ ათწლეულების განმავლობაში სწორი გზით ატარებდა. სენიორ ფლორენტინოს არაადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება ახასიათებს. ჩემი აზრით, გადაწყვეტილებებს სულ სხვა განათლებისა და გამოცდილების მქონე ხალხი უნდა იღებდეს. ფლორენტინო*



*პერესი მშენებელია და რა თქმა უნდა, სამშენებლო საქმეს უნდა ემსახუროს. მე რომ ხვალ გითხრათ, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი გავაკეთე და მშენებლობას ვიწყებ-მეთქი, როგორი რეაქცია გექნებათ? მშენებელმა სახლები უნდა აშენონ, ფეხბურთის მცოდნე ხალხმა კი ფეხბურთი მართონ. მე არ ვამბობ, რომ კლუბის პრეზიდენტი მაინცდამაინც ყოფილი ფეხბურთელი ან მწვრთნელი უნდა იყოს. უბრალოდ, ფეხბურთში წარმატებას რომ მიაღწიო და ჯანსაღი სისტემა შექმნა, ფეხბურთში მეტ-ნაკლებად მაინც უნდა ერკვეოდე".*

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, კრუიფის ამ განცხადებას ფლორენტინო პერესის წარმომადგენელი **სანჩის მალდონადო** გამოეხმაურა. გასაოცარი ის არის, რომ „რეალის" ყოფილი პრეზიდენტის გუნდმა რიტორიკულ გამოსვლას სრული სერიოზულობითა და აგრესიით უპასუხა. სანჩის მალდონადომ ერთ-ერთი ესპანური რადიოს ეთერში ასეთი რამ თქვა:

*„კრუიფი უსაქმური კაცია. ის ფეხბურთს მრავალი წლის წინ ჩამოშორდა და მას შემდეგ ყბედობით ერთობა. ფლორენტინო პერესს მისგან ჭკუის სწავლება არ სჭირდება. ყველამ საკუთარ საქმეს მიხედოს, თუმცა კრუიფი საქმეს როგორ მიხედავს, ის ხომ უსაქმურია. სწორედ ყბედობაა მისი ერთადერთი საქმე. ჩვენ ასეთი ბინძური გამოხდომები ვერ შეგვაშინებს. ჩვენი გუნდი დასახული მიზნისკენ თანამიმდევრულად მიიწევს და დარწმუნებული ვართ, გარეშე ხალხის შეურაცხმყოფელი ინტერვიუები პრობლემებს ვერ შეგვიქმნის, მით უმეტეს, თუ ისინი „ბარსელონასთან" არიან დაკავშირებული".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ამბები

### რუტენი გააგდეს

წუხელი გვიან ღამით, გელზენკირხენის "შალკეს" ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ფრედ რუტენი თანამდებობიდან დაითხოვა. ამის შესახებ პირველად ჭორიკანა "ბილდმა" დაწერა და შემდეგ სხვა წყაროებმაც დაადასტურეს – ლაპარაკია "კიკერსა" და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე.

### ბოჟინოვი ლაზარეთში მოხვდა

ბულგარეთის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" 22 წლის თავდამსხმელი **ვალერი ბოჟინოვი** ეროვნულ გუნდს ხვალ, ირლანდიასთან გასამართ შეხვედრაში დააკლდება. ტრავმა სერიოზული არ არის. ექიმების მტკიცებით, კვიპროსთან 1 აპრილის შეხვედრისთვის ის მზად იქნება. ბულგარელთა ბანაკში უკვე რამდენიმე ფეხბურთელია ტრავმირებული - ლაზარეთში იმყოფებიან „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი **დიმიტარ ბერბატოვი**, „მანჩესტერ სიტის" მარცხენა ნახევარმცველი **მარტინ პეტროვი**, „ლესტერ სიტის" ცენტრალური მცველი **ალექსანდრ ბლაგოვ-ტუნჩევი**, „ჰანოვერის" ცენტრალური ნახევარმცველი **ჩავდარ იანკოვი** და სოფიის ცსკა-ს ცენტრფორვარდი **ვლადიმირ მანჩევი**.

### დეკუ შვედეთთან ითამაშებს

პრემიერლიგის ბოლოსწინა ტურში, „მანჩესტერ სიტისთან" მატჩისას, დიდი გამოხმაურება მოჰყვა **დეკუს** პირველსავე ტაიმში შეცვლას. „ჩელსის" თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** თამაშის დასრულებისთანავე განაცხადა, ეჭვი მტანჯავს, მგონი, ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე დავკარგეთო. ცნობამ **კარლუშ კეირუში** უკიდურესად შეაშფოთა. მან იმავე საღამოს დარეკა ლონდონში და ფეხბურთელის ამბავი იკითხა. სეუ კარლუშს „ჩელსის" სამედიცინო შტაბის წარმომადგენელმა განუცხადა, რომ ფეხბურთელს სერიოზული არაფერი სჭირდა და ის 10-12 დღეში სრულფასოვან ვარჯიშს შეძლებდა. ეს ვადა სწორედ გუშინ გავიდა. პორტუგალიური წყაროების ცნობით, ფეხბურთელი მინდორზე გასასვლელად მზადაა. *„შვედებთან თამაში ფორმის აღსადგენად შესანიშნავი საშუალებაა,* - განაცხადა პორტუგალიის ნაკრების მთავარმა ექიმმა **ენრიკე ჟონეშმა**. - *მან სრული დატვირთვით ივარჯიშა და პრობლემა არ შეჰქმნია. ასე რომ, თუ კეირუში ამას მოისურვებს, თავად ფეხბურთელს 90 წუთი თამაში შეუძლია".*

### დეფური ასტონ ვილაში

ბირმინგემის „ასტონ ვილას" მთავარი პრობლემა მოკლე სათადარიგოთა სკამია. მთელი სეზონის განმავლობაში პრემიერლიგის, ლიგისა და ასოციაციის თასების, აგრეთვე უეფას თასის ტვირთი ძირითადად ფეხბურთელების ერთმა ჯგუფმა ზიდა. მათ ამხელა დატვირთვას ვერ გაუძლეს და გადაიწვნენ. ამის ნათელი მაგალითი ბოლო ტურში „ენფილდზე" სამარცხვინო ნაგება გახლდათ (0:5 „ლივერპულის" სასარგებლოდ). ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად **მარტინ ონილს** კვალიფიციური ფეხბურთელების შეძენა მართებს. ერთ-ერთი მათგანი ლიეჟის „სტანდარდის" ნახევარმცველი **სტივენ დეფურია**. ის, მის კბილა **აქსელ ვიტსელთან** ერთად, ბელგიური ფებურთის ერთ-ერთ გამორჩეულ იმედად მიიჩნევა. ხმებმა დეფურით ბირმინგემელთა დაინტერესების შესახებ ფეხბურთელამდეც მიაღწია. გთავაზობთ მის კომენტარს. *„მზად ვარ, უცხოური კლუბების ვარიანტი განვიხილო. თუ კლუბის ხელმძღვანელობა მოისურვებს ჩემს გასხვისებას, წავალ. თუ დარჩენას მთხოვენ, ამაზეც თანხმა ვარ. ამიერიდან ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. ვიცი ისიც, რომ „სტანდარდი" ჩემს გაშვებას მხოლოდ უმაღლესი ამბიციების გუნდში დათანხმდება. პირადად „ასტონ ვილას" სწორედ ასეთთა კატეგორიაში განვიხილავ. ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებისთვის იბრძვის,"* - განუცხადა დეფურმა ბელგიურ გამოცემა „ჰეტ ნიეუსბლადს".

**შალვა ბიბილაშვილი**

### კვალიარელა წასვლაზე არ ფიქრობს

**ფაბიო კვალიარელას** გადაბირება, ევროპული ფეხბურთის გრანდებს რომ სურთ, ძველი ამბავია. ბოლო დღეებში კი რამდენიმე კონკრეტულმა ვარიანტმაც გაიჟღერა. ლაპარაკია ტურინის „იუვენტუსზე", მილანის „ინტერზე" და ლონდონის „ჩელსიზე". ფაბიო ამჟამად სანაკრებო შეკრებაზეა და როგორც თვითონ აცხადებს, სატრანსფერო საკითხებზე საერთოდ არ ფიქრობს:

*„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენით ამხელა კლუბები ინტერესდებიან. რომელი ჭკუათამყოფელი იტყოდა უარს „იუვენტუსში" თამაშზე, მაგრამ თუ დამიჯერებთ, ახლა ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. „უდინეზესთან" კონტრაქტი კიდევ სამი წლით მაკავშირებს და მის შეწყვეტას ნამდვილად არ ვაპირებ. უდინეში ყველაფერი მომწონს, თავი მშობლიურ ქალაქში მგონია. თანაც, ამ დროისთვის ჩემი უმთავრესი მიზანი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გამგზავრებაა, რისი საშუალება „ფრიულიდანაც" მაქვს. ასე რომ, არსად ვჩქარობ და მთელ კონცენტრაციას მომავალ პაექრობებზე ვაკეთებ. ეროვნულ ნაკრებს წინ ორი მეტად რთული შეხვედრა ელის, რაშიც ალბათ ყველა დამეთანხმება. ჩერნოგორია და ირლანდია სუსტი მეტოქეები რომ არ არიან, ცხადზე ცხადია. ჩვენი მიზანი ექვსი ქულის მოპოვება და სატურნირო მდგომარეობის განმტკიცებაა. შემდეგ კი კლუბში მომიწევს დაბრუნება და „ინტერთან" პაექრობისთვის მომზადება. ძალიან მინდა, „ნერაძური" დავამარცხოთ და სერია A-ს ინტრიგა დავუბრუნოთ".*

### ბრაცომ ტიფოზებს შეუძახა

„იუვენტუსი" „ინტერს" კვალში უდგას და ჯერ კიდევ ინარჩუნებს სკუდეტოს მოპოვების შესაძლებლობას. მეორე საკითხია, რამდენად რეალურია შვიდქულიანი უპირატესობის აღმოფხვრა და ლიდერთან გატოლება. ბევრს მიაჩნია, რომ ეს უტოპიაა და „ინტერი" უკვე ჩემპიონია, თუმცა ისეთსაც ბევრს მოძებნით, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებენ. ბუნებრივია, უიმედოდ არც ტურინული კლუბის ფეხბურთელები არიან და სკუდეტოს მოგების ჯერ კიდევ სჯერათ. **ჰასან სალიჰამიჯიჩმა** გულშემატკივრებს გვერდში დგომისკენ მოუწოდა და ერთობ ოპტიმისტური განცხადება გააკეთა:

*„დარწმუნებული ვარ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა უკიდურესად დაიძაბება. მჯერა, რომ სკუდეტოს მოპოვება შეგვიძლია და ამ იმედისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. შვიდი ქულა ცოტა არაა, თუმცა არც იმდენად ბევრია, რომ ყურები ჩამოვყაროთ. ტიფოზებს მხარდაჭერისკენ მოვუწოდებ. მათი ქომაგობა ძალიან გვჭირდება. კმაყოფილი ვარ ჩემი სათამაშო ფორმითაც. ბოლო ოთხი შეხვედრა გადაბმულად ჩავატარე და ნორმალურადაც ვიასპარეზე. რაც მთავარია, მუხლში ტკივილები არ მიგვრძნია. სეზონის პირველ ნახევარში ტრავმებმა გამტანჯეს, თუმცა პრობლემები უკან მოვიტოვე და ახლა, კლაუდიო რანიერის განკარგულებაში ვარ".*

**ლაშა ნილაური**

რაგბი



# გუშინ დიღომში რაგბი ჩაენერა

ბევრს უეჭველად ეხსომება, ქართველ ქალთა მაღალმა საჭადრაკო წარმატებებმა, გასული საუკუნის 60-იან წლებიდან მოყოლებული, როგორი სტიმული მისცა ჩვენს ქვეყანაში ჭადრაკის განვითარებას. ასეა, სპორტის თვალსაჩინო პროპაგანდის ყველაზე კარგი საშუალება სპორტსმენების და ცალკეული გუნდების ის მიღწევებია, რაც საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს. ბოლო წლებში, რაღა თქმა უნდა, რაგბიში მიღწეულმა წარმატებებმა გაგვაამაყა და, ბუნებრივია, სპორტის ეს სახეობა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ზრუნვის თვალსაზრისით, ალავერდს სახელმწიფოსთან ვართ, პოპულარობაზე კი ისიც მეტყველებს, რომ თითქმის ყველა ყმაწვილს დღეს რაგბის ოვალური ბურთისკენ უჭირავს თვალი და კერპად მიიჩნევს ჩვენს მორაგბეებს. მაგრამ არის კი ყველგან მოზარდთა მისწრაფების დასაკმაყოფილებლად რეალური პირობები? რა თქმა უნდა, არა და ეს ერთბაშად შეუძლებელიცაა, თუმცა სახელმწიფო პროგრამა მუშაობს, სოლიდური შედეგებია მიღწეული.

გუშინ კიდევ ერთი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა რაგბიში მოზარდთა ჩაბმისა და გუნდებისთვის მოსამზადებელი პირობების გაუმჯობესებისკენ — დიღმის მასივში სტადიონი, სადაც ადრე რკინიგზელი მორაგბეებისა და ფეხბურთელების საწვრთნელი ბაზა იყო, ამიერიდან მთლიანად სუფთა სარაგბო სარბიელი იქნება, რომლის ექსპლუატაციის პირობებს მისი ახალი მეპატრონე, საქართველოს რაგბის კავშირი დაადგენს.

*„მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა თამაშს მოუმატა, ბავშვების ნაკადმაც იმატა. რაც მეტი სარაგბო მოედანი გვექნება, მით უკეთესი. რაგბი ხომ სპორტსმენს რაინდული სულისკვეთებით აყალიბებს“,* — ამბობს საერო სკოლა „წმინდა გიორგის“ ბავშვთა გუნდის მწვრთნელი **ვანო ქაფიანიძე.**

დიღმის მასივში „ლოკომოტივის“ ყოფილი სტადიონის მორაგბეებისთვის გადაცემის სიხარული ბავშვებთან ერთად გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა **ნიკა რურუამ**, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი ასანიძემ**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა**, მისმა მოადგილემ **გია გალდავამ**, სეოკ-ის ვიცე — პრეზიდენტმა **დავით გობეჯიშვილმა**, თბილისის მერიის სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **მამუკა მაქაცარიამ** და მისმა მოადგილემ სპორტის დარგში **ზაზა დოლიძემ** გაიზიარეს.

**თენგიზ თომაშვილი**

ერთა თასი

# ბორჯღალოსნები ერთა თასის მფლობელები

როგორც FIRA AER-ის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მარიუპოლში რუსეთის ნაკრების დამარცხებით, ევროპის ერთა თასის 2009 წლის გათამაშება მოიგო. ანუ ბორჯღალოსნები წლეულს ერთა თასის მფლობელები შეიქნენ.

აქამდე ერთა თასი, მფლობლის ვინაობა ორწლიანი ტურნირის დასრულების შემდეგ ხდებოდა ცნობილი. ამჟამად კი, როგორც ირკვევა, FIRA AER-ს 2008 წლის დეკემბერში გამართულ კონგრესზე მიულია გადაწყვეტილება, ერთა თასი ყოველწლიურად გაათამაშოს, ისე როგორც ეს ელიტური ექვსი ერის შემთხვევაში ხდება. ორწლიან მონაგარს კი გუნდები მხოლოდ მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირისთვის დაითვლიან.

ცხადია, სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრები კიდევ ერთხელ გახდა ერთა თასის მფლობელი. თუმცა, საკვირველია, რატომ გახდა ეს ყველაფერი ყველასათვის ცნობილი პოსტ ფაქტუმ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ევროპის ჩემპიონატი U-18

# უმცროსი ბორჯღალოსნები ევროპისთვის ემზადებიან

საქართველოს თვრამეტწლამდელ მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრა. უმცროსი ბორჯღალოსნები, რომლებსაც ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელები **დავით ჩავლეიშვილი** და **პაატა ნარიმანაშვილი** წვრთნიან, ტულონში საწვრთნელ შეკრებას გადიან. პირველ მატჩს ჩვენი გუნდი ინგლისის ნაკრების წინაალმდეგ გამართავს. მომდევნო მეტოქე კი ირლანდია-რუსეთის წყვილიდან გვეყოლება.

ინგლისელებთან მარცხის შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს მეხუთე ადგილისთვის მოუწევს ბრძოლა და ირლანდია-რუსეთს შორის დამარცხებულს შეხვდება. ნაკრების მწვრთნელებმა საფრანგეთში 26 მორაგბე იახლეს, რომელთაგან ხუთი ქუთაისის „აიადანაა“, ორიც ფოთის „აიეტიდან“; დანარჩენები კი - თბილისის სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლები არიან.

საქრთველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები:

პირველი ხაზი: **შალვა ჯაჯაია (აია), ლევან შენგელია (ყოჩები), გიორგი ვეფხვაძე (ლოკომოტივი), ლევან ჩილაჩავა (უნივერსიტეტი), ზურაბ ჟვანია (აიეტი), მერაბ მატკავა (აიეტი).**

მეორე ხაზი: **გიორგი ჟღენტი (უნივერსიტეტი), კონსტანტინე მიქაუტაძე (არმაზი), რევაზ ჟღენტი (არმაზი).**

მესამე ხაზი: **ბექა ბიწაძე (იველია), გიორგი ტყეშელიაძე (ყოჩები), გიორგი ჭყოიძე (ლელო), ლევან თხელიძე (აია), ხვიჩა ბუჯიაშვილი (ივერია).**

№9: **ჯიმი ლამბაშიძე (ლელო), გიორგი მისრიაშვილი (არმაზი)**

№:10: **ლუკა კვარაცხელია (ყოჩები), ზვიად ოდიშარია (აია).**

№:12-13: **დავით ლოსაბერიძე (აია), აკა ხიპაშვილი (ლელო), გიორგი მარგიანი (აკადემია).**

№:11-14: **ვანო გაბროშვილი (აკადემია), გიორგი ონიანი (აია), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია).**

№:15: **უჩა მჭედლიშვილი (ლელო), ბახვა კობახიძე (ყოჩები).**

**ევროპის ჩემპიონატი**
**5 აპრილი**

საფრანგეთი - ბელგია
ირლანდია - რუსეთი
ინგლისი - საქართველო
იტალია - რუმინეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**

კრივი

ინტერვიუ აკაკი გუჯაბიძესთან

# ნიჭიერი მოკრივეები არ გვაკლია, მაგრამ იღბალი არ სწყალობთ

**ქუთაისის კრივის სკოლა 31 წლის წინ დაარსდა და ამ ხნის განმავლობაში იქ არაერთი სახელოვანი მოკრივე აღიზარდა. აქაურ მოკრივეებს დღესაც ერთ- ერთი წამყვანი პოზიცია უკავიათ ქართულ კრივში. ქუთაისის კრივის სკოლის წარსულსა და აწმყოზე სკოლის ერთ- ერთ ხელმძღვანელს, დირექტორის მოადგილე აკაკი გუჯაბიძეს ვესაუბრეთ, რომელიც წლების განმავლობაში ამ სკოლაში მუშაობს და თენგიზ მესხაძის ეროვნულ გუნდში ყოფნისას პრაქტიკულად სკოლას ის უძღვებოდა.**

- კრივი რიონისპირა ქალაქში 1946 წლიდან არსებობს, როცა თბილისიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა მწვრთნელმა ივანე მარქაროვმა პირველი სექციები ჩამოაყალიბა. 1978 წელს კი კრივის სკოლა დაფუძნდა. ადრე ამ დარბაზში სპორტის რამდენიმე სახეობაში ვარჯიშობდნენ. შემდეგ, რადგანაც მოკრივეებს დიდი წარმატებები ჰქონდათ, შენობაში კრივის სკოლა დააფუძნეს. ივანე მარქაროვის ხელში არაერთი წარმატებული მოკრივე აღიზარდა. პირველი თაობის გამორჩეული წარმომადგენლები არიან თენგიზ გუჯაბიძე, ფრიდონ ლომიძე, ჯუმბერ კვანტალიანი, ნოგენ თორთლაძე და ზებელ მაჭავარიანი. ამ თაობამ ჩაუყარა საფუძველი ქუთაისური კრივის წარმატებებს. სკოლის გვირგვინი აკაკი კაკაურიძე იყო, რომელმაც ახალგაზრდებში სსრკ-ის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი ერთი წლის განმავლობაში მოიგო. სამწუხაროდ, აკაკი, ნაადრევად, ტრაგიკულად დაიღუპა.

**- ამის შემდეგ ქუთაისურ კრივს სერიოზული წარმატებები არ ჰქონია. თქვენი აზრით, რა იყო ჩავარდნის მიზეზი?**

- იმ პერიოდში ქვეყანაში ძალიან ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა იყო. სავარჯიშო პირობები მოისპო. მაგრამ ქუთაისში მაინც აღიზარდნენ ნიჭიერი მოკრივეები. რამდენიმე ეროვნულ ნაკრებშიც იყო, მაგალითად, ავთანდილ კაშია, გოდერძი გამგონეიშვილი, გაგა ბოლქვაძე, რომელიც სპორტული ლიცეუმის კრივის სექციაში ვარჯიშობდა. ახალი თაობიდან კი კობა ფხაკაძეა გამოსარჩევი, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალისტია ახალგაზრდებს შორის.

**- როგორც ვხედავთ, სკოლაში ბევრი რამე გაკეთდა და დარბაზიც კარგ მდგომარეობაშია...**

- ბოლო წლებში პირობები აშკარად გაუმჯობესდა. სკოლის დირექტორის, თენგიზ მესხაძის თაოსნობით ბევრი რამ გაკეთდა. შენობას ჩაუტარდა რემონტი. გვაქვს ახალი რინგი. აღვადგინეთ გასახდელები. ახლა ვაკეთებთ საუნას. ერთადერთი პრობლემა გათბობაა და ქალაქის ხელმძღვანელობა დაგვპირდა, რომ ამ პრობლემასაც მალე მოგვიგვარებს.

**- კი მაგრამ, კრივის სკოლა ქუთაისის სარეაბილიტაციო უბანშია მოხვედრილი, რის გამოც შესაძლებელია, სკოლა სხვაგან გადაიტანონ, ამის შესახებ რა ინფორმაციას ფლობთ?**

- სიმართლე გითხრათ, ჭორის დონეზე ეს ხმები ჩვენამდეც მოვიდა, მაგრამ ოფიციალური პირებისგან მსგავსი რამ არ მსმენია. პირდაპირ გეტყვით, სკოლა სხვაგან რომ გადაიტანონ, ჩათვალეთ, რომ ქუთაისში კრივი აღარ იარსებებს. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, 1946 წლიდან ხალხი ამ ადგილსაა შეჩვეული. ავტოქარხნის ტერიტორიაზე ახალი სპორტკომპლექსის გახსნაზეა საუბარი, სადაც კრივის სკოლაც იქნება. ეს კარგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრივის სკოლა აქაც დარჩება.

**- ბოლო დროს ქართველი მოკრივეები საერთაშორისო შეჯიბრებებზე ძალიან მოისუსტებენ. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

- ფაქტია, რომ დიდი წარმატებები არ გვაქვს, მაგრამ პოტენციალი არის და დარწმუნებული ვარ, გამარჯვებებიც მალე მოვა. სკოლას იმის საშუალება არა აქვს, რომ ეროვნული ნაკრების დონეზე მოამზადოს მოკრივეები. ჩვენ მოსწავლეები მიგვყავს გარკვეულ დონემდე, უფრო მაღალი მიზნებისთვის კი ნაკრებში უნდა მოამზადონ. ნიჭიერი მოკრივეები არ გვაკლია, მაგრამ ზოგჯერ იღბალი არ სწყალობთ. მაგალითად, კობა ფხაკაძეს ერთი ნაბიჯი დააკლდა ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებამდე. დღესაც არიან სკოლაში პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებთანაც ინდივიდუალური პროგრამით ვმუშაობთ და მათი დიდად გვეიმედება.

**- შეჯიბრებებისა და სპარინგების პრობლემა ხომ არ გაქვთ?**

- ადგილობრივი ტურნირების გარდა ჩვენი მოსწავლეები საერთაშორისო ტურნირებშიც მონაწილეობენ. აღვადგინეთ ძველი კონტაქტები. სკოლის სახელით ვეწვიეთ აზერბაიჯანსა და სომხეთს. საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა ბავშვებსაც დაეტყოთ. შარშან ნოემბერში ერევნის საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდებს შორის ერთი პირველი და ერთი მესამე ადგილი მოვიპოვეთ.

**- ცოტა ხნის წინ ქუთაისში ჩატარდა საქართველოს ღია ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის. როგორც ვიცით, წლეულს ქუთაისში კიდევ ორი დიდი ტურნირია დაგეგმილი...**

- ჩატარდება ორი საერთაშორისო ტურნირი. პირველი - აპრილში, აღდგომის მომდევნო კვირას გარდაცვლილ მოკრივეთა ხსოვნას მიეძღვნება. ამ შეჯიბრებაზე მინიმუმ ორი უცხოური გუნდის ჩამოსვლას ველით. ერთი სომხეთის გუნდი იქნება, რომლის წევრებთან ორთაბრძოლები ძალიან საინტერესო გახდა. რამდენიმე წლის წინ ისინი ჩვენზე უარეს დღეში იყვნენ, მაგრამ ახლა საკმაოდ კარგ დონეზე არიან. თურქეთის ან უკრაინის მოწვევაც გვინდა და თუ მოვახერხეთ, სხვა ქვეყნებსაც მოვიპატიჟებთ. რაც შეეხება მეორე ტურნირს, იგი ნოემბერში ჩატარდება და მას „დავით აღმაშენებლის თასი“ დავარქვით. ტურნირში ის მოკრივეები იასპარეზებენ, რომლებსაც საგაისოდ უკვე ახალგაზრდებში უწევთ გადასვლა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

სამბო

# მწვრთნელის აღიარება

კასპის რაიონი ცნობილია ქართული ჭიდაობის და სამბოს აღიარებული ოსტატებით. კასპელი (მეტეხელი) **ოლეგ იაძე**, რომელიც ორი ათეული წელი საქართველოს სამბისტთა ეროვნულ ნაკრებს წარმატებით უდგას სათავეში ხშირად თავად გვევლინება ამა თუ იმ ტურნირის და შეჯიბრების მოწყობის თავკაცად. ამჯერად კი ოლეგის პირადმა მწვრთნელმა, საქვეყნოდ ცნობილმა **ლავრენტი კაციაშვილმა**, რომელიც 82 წლისაა, ითავა და კასპის საჭიდაო დარბაზში მოიწვია 12 ქალაქის რაიონისა და სოფლის 200-მდე ჭაბუკი სამბისტი. ეს ტურნირი მან თავის მოწაფეს, სამბოს საერთაშორისო წრეებში აღიარებულ ოლეგ იაძეს მიუძღვნა.

სამბო ჩვენში სწორედ ოლეგ იაძის სახელთანაა დაკავშირებული. ჩვენი სამბისტების მიერ მოპოვებული მედლები ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებზე და ჩემპიონატებზე სწორედ ოლეგის დიდი დამსახურებაა.

კასპში ამ ასპარეზობას რაიონის ხელმძღვანელები, დეპუტატები და სახელმოხვეჭილი ვეტერანი სპორტსმენებიც დაესწრნენ. შეჯიბრების ორგანიზებაში საქართველოს სამბოს ნაკრების თავკაცი ოლეგ იაძეც აქტიურად მონაწილეობდა.

**გამარჯვებულები: 38 კგ:** 1. გიორგი თანიაშვილი (დუშეთი) 2. გიორგი ვარდოსანიძე, 3. ლადო გელენიძე (ორივე-ზესტაფონი). **41 კგ:** 1. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 2. იაგო დიხამინჯია (ქუთაისი), 3, დავით ხიზანიშვილი (კასპი). **45 კგ:** 1. ლაშა გელიტაშვილი, 2. ბექა გელიტაშვილი, 3. ზურაბ ჭონიაშვილი (სამივე-კასპი). **48 კგ"** 1. ბექა დიაკონიძე, 2. ოთარ გაბუნია (ორივე-ვანი), 3. კობა მარლიშვილი (კასპი). **52 კგ:** 1. საბა ჭიჭინაძე (ქუთაისი), 2. ნიკოლოზ დიხუაშვილი (მჭადიჯვარი), 3. გოჩა ვარდოსანიძე (ზესტაფონი). **56 კგ:** 1. გოგა ხორბალაძე, 2. ანზორ ხინიზოვი (ორივე-კასპი), 3. გურჯი პარკაული (დუშეთი). **60 კგ:** 1. პავლე ქავთარაძე (დუშეთი), 2. ილია გამხიტაშვილი (კასპი), 3. თამაზ ელბაქიძე (თბილისი). **65 კგ:** 1. გიორგი ბახტაძე, 2. მიხეილ ოდოსაშვილი (ორივე-კასპი), 3. გიორგი შაყულაშვილი (ბორჯომი). **70 კგ:** 1. დავით კვაშილავა (ზესტაფონი), 2. შოთა ოქროპირიძე (გორი), 3. გიორგი ბესიაშვილი (კასპი). **75 კგ:** 1. მიხეილ ალანიშვილი (კასპი), 2. უჩა ვაშაძე (გორი), 3. ლევან ნითურიძე (კასპი). **+75 კგ:** 1. ჯაბა ეგუტიძე (ქუთაისი), 2. კობა ფოცხვერაშვილი (ძალისი), 3. ბექა ფოფხაძე (ზესტაფონი).

**გაბრიელ შარაშენიძე**



ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ძმები



გიორგი ცინცაძე (მარცხნივ) და ვიქტორ სანიკიძე

**ვიქტორ სანიკიძე** და **გიორგი ცინცაძე** საქართველოს კადეტთა ნაკრების შემდეგ ერთმანეთის გვერდით თამაშობენ. მათ ერთად მოისტუმრეს ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი, ახალგაზრდული პირველობა (B დივიზიონში) და სექტემბერში საქართველოს ნაკრებს სამი მატჩის მოგებაში დაეხმარნენ. ვიქტორი და გიორგი ახლაც ერთ გუნდში თამაშობენ - ესტონურ "ტარტუ როკთან" ერთად მიიწევენ ბალტიის ლიგისა და ესტონეთის მწვერვალებისკენ. გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ სანიკიძემა და „ბუმ" (ცინცაძის მეტსახელი) ბალტიის თასის მეოთხედფინალში "კალევი" სტუმრად დაამარცხეს. ისიც გემახსოვრებათ, რომ შეხვედრის სნაიპერი ვიქტორი გახდა. ჰოდა, ქართველთა ბოლოდროინდელ წარმატებებს არ შეიძლებოდა, ესტონურ პრესაში გამოხმაურება არ მოჰყოლოდა. ინტერნეტ-გამოცემა "პროსტიმეესმა" გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომელიც "ტარტუს" ქართულ დუეტს ეხება. ვფიქრობთ, იგი ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს.

"2008 წლის გაზაფხულზე "როკის" ქომაგებმა გამოფინეს პლაკატი, რომელზეც ქართულად ეწერა: "გიორგი, დარჩი ჩვენთან". შეიძლება ამ ფაქტმაც გადააწყვეტინა ცინცაძეს "როკში" დარჩენა. მან კონტრაქტის განახლების შემდეგ რეკომენდაცია გაუწია საქართველოს ნაკრების მეორე წევრ ვიქტორ სანიკიძეს. სეზონის დასაწყისში გაჩნდა კითხვები: ერთბაშად ორი ქართველი "როკში"? მეტისმეტი ხომ არ არის? ეს შეკითხვები, შეიძლება, სეზონის დაწყების შემდეგაც გაჩენილიყო, მაგრამ სამი თვის წინ, გუნდის მწვრთნელად **ინდრიკ ვესპაანუს** დანიშვნის შემდეგ ყველა სკეპტიკოსი დადუმდა. ცინცაძე და სანიკიძე ბალტიის ლიგაზე საშუალოდ ერთ მატჩში გუნდს 30 ქულით ეხმარებიან. ცინცაძის პასებსა და სანიკიძის მოხსნებზე ალარაფერს ვამბობთ.

## ათი წელი

"ჩემი ტარტუში გადმოსვლის ერთ-ერთი მიზეზი გიორგი ცინცაძე იყო. როცა კარიერის უცხოეთში გაგრძელებას აპირებ, ახალი ქვეყნის შესახებ არაფერი იცი. ეს ძნელია. თუმცა გიორგიმ "როკის" და ესტონეთის შესახებ ბევრი კარგი მომითხრო და საბოლოოდ ესტონეთში გადმოსვლა გადავწყვიტე", - აცხადებს სანიკიძე, რომელსაც სეზონის დასაწყისში "ტარტუს" გარდა ბერძნული აეკ ეპატიჟებოდა.

ვიქტორი და გიორგი ერთმანეთის გვერდით უკვე დიდი ხანია, თამაშობენ. *"ბუს" ათ წელიწადზე მეტია, ვიცნობ. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართ. ძმებივით ვართ. შარშან ზაფხულს ერთად დავისვენეთ, ნაკრებში ერთად ვითამაშეთ და ახლაც ერთად ვართ,"* – ესეც სანიკიძის სიტყვებია.

მეგობრის "ტარტუში" გადმოსვლას დადებითად აფასებს გიორგი ცინცაძე: *"ვიქტორს კარგად ვიცნობ და თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი დამატება სწორი გადაწყვეტილება იყო. ყველას ვეუბნებოდი, რომ სანიკიძე კარგი კალათბურთელია. ადაპტაციის შემდეგ ჩემი სიტყვების სიმართლე მისი თამაშითაც დამტკიცდა."*

## კონტრაბანდა თუ...

საინტერესოა, ქართული დუეტის მწვრთნელის, ინდრიკ ვესპაანუსეული დახასიათება: *"გიორგი და ვიქტორი პროფესიონალები არიან. ისინი ვარჯიშებისას ბოლომდე იხარჯებიან. სასაყვედურო არაფერი მაქვს."*

ზოგიერთს გაუჩნდა ასეთი კითხვა: ორი ქართველის ახლო ურთიერთობა გუნდს ზიანს ხომ არ მიაყენებს? მაგალითად, მაშინ როცა სხვა პარტნიორი უკეთეს პოზიციაშია, ცინცაძე "კონტრაბანდულ" პასს სანიკიძეს ხომ არ მიაწვდის?

ამ კითხვებს გიორგი ცინცაძე პასუხობს: *"კალათბურთი გუნდური თამაშია. მოედანზე ნამდვილად ვერ არჩევ, შენს გუნდში ძმა თამაშობს თუ მეგობარი – ისე იქცევი, როგორც სიტუაცია მოითხოვს."*

...ვიქტორ სანიკიძე დასძენს: *"რაც მეტად ხარ პარტნიორთან შეთამაშებული, მით უკეთესი. წინასწარ ვხვდები გიორგის ჩანაფიქრს და იქით მივდივარ, საითაც ბურთი უნდა გაუშვას. ეს გუნდისთვის კარგია. გიორგი თავიდან "როკის" სათამაშო სქემებში გარკვევაშიც მეხმარებოდა."*

როგორც უკვე ვთქვით, სანიკიძე მას შემდეგ გაიხსნა, რაც მწვრთნელი **ულარ კერდე** ინდრიკ ვესპაანუმ შეცვალა. თუმცა, ცინცაძე ამბობს, რომ არ შეიძლება ერთი მწვრთნელის მეორეზე მაღლა დაყენება: *"ყველა სპეციალისტს საკუთარი ტაქტიკა და შეხედულება აქვს. თუმცა, უნდა ალვნიშნოთ, რომ ბოლო დროს გუნდმა თამაში გააუმჯობესა."*

## ახალი პოსტერი ქართველებისთვის?

შარშან კარგი თამაშის გამო ცინცაძეს გამოუფინეს პოსტერი – ჩვენთან დარჩიო. თუ ქართველებმა ასე განაგრძეს, მაისში ახალ პლაკატს უნდა ველოდეთ: "ვიქტორ და გიორგი, დარჩით ჩვენთან."

ქართველები ამ თემაზე გადაჭრით არ საუბრობენ. მათი თქმით, ჯერ აუცილებელია ბალტიის "ფრონტზე" და ესტონეთის ჩემპიონატში მაქსიმუმის მიღწევა...

*"თუ ყველაფერი კარგად იქნება, რატომ არ უნდა დავრჩე აქ მეოთხე სეზონშიც?"* – კითხულობს ცინცაძე.

ვიქტორ სანიკიძე კი ბალტიის ლიგაში "ტარტუ როკის" შანსებზე ლაპარაკობს: *"ამ ტურნირში ყველაზე ძლიერი "ლიეტუვოს რიტასია". პლეი ოფის დანარჩენ ექვს მონაწილეს ფინალში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს."*

ისევ ცინცაძე განაგრძობს: *"საკმარისად ძლიერები ვართ. არავისი გვეშინია!"*.

ბოლოს გავეცნოთ ბალტიის ლიგაში ქართველთა სტატისტიკას.

**გიორგი ცინცაძე:** 35 წუთი, 16.4 ქულა, 3.6 მოხსნა, 5.3 პასი, 1.7 ჩაჭრა.

**ვიქტორ სანიკიძე:** 21 წუთი, 9.6 ქულა, 6.9 მოხსნა, 1.1 პასი, 0.5 დაფარება, 0.5 ჩაჭრა.

**სანიკიძის მონაცემი მწვრთნელის შეცვლამდე:** 16 წუთი, 5.9 ქულა, 5.2 მოხსნა.

**მწვრთნელის შეცვლის შემდეგ:** 28 წუთი, 14.3 ქულა, 9.5 მოხსნა.

ვაჟა სიმონიშვილი

# კიევმა ევროჩელენჯის კარი გამოიჯახუნა

ევროჩელენჯზე "კიევსა" და ფრანგულ "შოლეს" შორის მესამე მეოთხედფინალური მატჩი შედგა. სერიაში ანგარიში 1:1 იყო და გამარჯვებული ნახევარფინალში გადიოდა. **მანუჩარ მარკოიშვილის** თანაკლუბელებმა "შოლეს" დიდი ბრძოლა გაუწიეს, თუმცა გამოცდილება არ ეყოთ და ბოლო წამებზე 74:80 დამარცხდნენ.

მანუჩარმა 35 წუთი ითამაშა, 8 ორქულიანი და 6 სამიანი ისროლა, რომელთაგან 3 გამოიყენა და 15 ქულა მოუგროვდა. გარდა ამისა, ქართველი უკანახაზელის ანგარიშზე 7 შედეგიანი გადაცემა (შეგახსენებთ, რომ რიგ ეპიზოდებში იგი გამთამაშებლის ფუნქციებს ასრულებს) და 2 ჩაჭრაა.

მატჩის უკრაინულ მიმოხილვაში მანუჩარის გვ[illegible]რს არაერთგან შეხვდებოდით. მოდი, მასზე აგებული ფრაზების კრებული [illegible]ჭყალებში მოვათავსოთ: *"მატჩის და[illegible]წყისში "შოლე" 9:7 დაწინაურდა და [illegible]ველთა მწვრთნელმა საშა ობრადო[illegible]წუთშესვენება მოითხოვა. მან თითქმის მთელი შესვენებისას მარკოიშვილთან ისაუბრა, რომელსაც მანამდე 2 შეცდომა და 0 ქულა ჰქონდა. მეორე პერიოდში მანუ გამოფხიზლდა და ერთმანეთის მიყოლებით ორი სამქულიანი ჩააგდო – 28:25. დიდ შესვენებაზე უკრაინელები მცირე უპირატესობით გავიდნენ – 39:38.*

*მეოთხე პერიოდი მანუჩარ მარკოიშვილის ეფექტური ჩატენვით (ცალი ხელით) გაიხსნა – 63:62. საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე "შოლე" მხოლოდ 2 ქულის სხვაობით იგებდა (73:71). სტუმრებს გადასწრების შანსიც მიეცათ, მაგრამ მანუსა და სალტოვეცის სამქულიანებმა მიზანს არ მიაღწია... საბოლოოდ ფრანგებმა 80:74 მოიგეს და ევროჩელენჯის ნახევარფინალში გაალწიეს".*

ასე და ამგვარად, "კიევს უკრაინის ჩემპიონატილა შერჩა, სადაც მორიგ მატჩს 28 მარტს გამართავს – "დონეცკს" ესტუმრება.

ვაჟა სიმონიშვილი



ქართველი NBA-ში

# ატლანტა ოფიციალურად პლეი ოფშია



ფაჩულია (მარცხნივ) ჯინობილის წინააღმდეგ

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" შინ "სან ანტონიოსთან" 92:102 წააგო, თუმცა ამის მიუხედავად, სწორედ გუშინ გადაწყდა, რომ იგი პლეი ოფში აუცილებლად ითამაშებს. "ჰოქსი" მომდევნო ეტაპზე იმ შემთხვევაშიც გავა დარჩენილი 10 მატჩიც რომ წააგოს.

ამ საკითხს "ნიუ ჯერსის", "მილუოკისა" და "შარლოტის" წაგებებმა დაუსვა წერტილი. თუმცა ჯორჯიელებს მხოლოდ პლეი ოფში გასვლა არ აღელვებთ. მათთვის მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დაიკავონ, რათა მოედნის უპირატესობა მეტოქეს არ ჰქონდეს. სადღეისოდ "ატლანტას" 72-დან 42 მატჩი აქვს მოგებული და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილზეა. მას ერთი საფეხურით ჩამორჩება "მაიამი", რომელსაც 38 მოგების წილ 33 წაგება უწერია. ასე რომ, სასწაული უნდა მოხდეს, დარჩენილ მატჩებში "ატლანტამ" მეოთხე ადგილი და კონფერენციის მეოთხედფინალში "მაიამისთან" მოედნის უპირატესობა რომ დათმოს. სამწუხაროდ, ზაზას თანაგუნდელებს არც მესამეზე ასვლის შანსი აქვთ. კონფერენციის მესამეადგილოსანმა "ბოსტონმა" სადღეისოდ უკვე 54 მატჩი მოიგო...

რადგან "სან ანტონიოსთან" ზაზას დაპირისპირებაზე აქამდე არაფერი ვთქვით, პლეი ოფისთვის მზადებაზე ფაჩულიას კომენტარიც მოვისმინოთ და შემდეგ უშუალოდ გუშინდელ მატჩს შევეხოთ. 27 მარტს "ატლანტა" "ბოსტონს" მასპინძლობს, 29-ში "ლეიკერსს"... ჯორჯიელების რთულ კალენდარზე ზაზა დადებითად საუბრობს: *"რადგან პლეი ოფში ჩვენი გასვლა გადაწყვეტილია, ახლა მისთვის მზადებაზე უნდა ვიმუშაოთ. უახლოეს მატჩებში ძლიერი მეტოქეების სტუმრობაც კარგი გამოცდა იქნება ჩვენთვის. პლეი ოფში ხომ ყველა მეტოქე ერთიორად უკეთ თამაშობს, ვიდრე რეგულარულში. "ბოსტონის" და "ლეიკერსის" შემდეგ „ორლანდოს" და სხვა ძლიერ კლუბებს ვხვდებით. ეს დაგვეხმარება, პლეი ოფს კონცენტრირებულნი და მომზადებულნი შევხვდეთ."*

"სან ანტონიოს" აკლდა **ტიმ დანკანი** და ნახევარი დატვირთვით ითამაშა ტრავმამოშუშებულმა **მანუ ჯინობილიმ**. "ატლანტას" ძლევა მესამე ვარსკვლავის **ტონი პარკერის** დამსახურებაა, რომელმაც 42 ქულა ჩააგდო. "ჰოქსის" მხრიდან **ჯო ჯონსონი** გამოირჩა – 30 ქულა მოაგროვა, მაგრამ მეოთხე პერიოდში ვერც მან და ვერც მისმა თანაგუნდელებმა ათამაშებული პარკერის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. ზაზა ფაჩულიამ ბოძებული დროის კვალობაზე ეფექტურად ითამაშა: 15 წუთში 5 ქულა (3-დან 2 ორქულიანი) და 7 მოხსნა მოიპოვა.

| ატლანტა–სან ანტონიო | 92:102 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 15 წუთი, 5 ქულა, 7 მოხსნა, 2 ფოლი, 1 შეცდომა | |
| **I პერიოდი** | |
| 03:36 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| 03:04 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:28 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:02 | ორქულიანი: 2ძ (24:28) |
| 09:40 | შეცდომა: 1 |
| 09:16 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 07:51 | ფოლი: 1 |
| 07:51 | ზაზა პორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:05 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:49 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 03:22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 02:02 | საჯარიმოები: 2\1 (3ძ, 70:74) |
| 01:50 | ორქულიანი: 5ძ (72:74) |
| 01:50 | საჯარიმო: 1\0 |
| 00:20 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 10:05 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 09:50 | ფოლი: 2 |
| 08:35 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:35 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 08:35 | ზაზა სმითმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

გამოიწერეთ ლელო

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# სადებიუტო გასაჭირი



**ევროპის ჩემპიონატზე ბაადურ ჯობავას მესამე ადგილმა კი გაგვახარა, მაგრამ თორნიკე სანიკიძის შედეგმა ნამდვილად ვერ მოგვგვარა სიამოვნება. არადა, თორნიკე წლეულს საქართველოს ჩემპიონი გახდა და სპეციალისტთა მტკიცებით, ძალიან აიმაღლა სათამაშო კლასი. ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე, რომელიც ბულგარულ პლოვდივში გაიმართა, უკეთესი შედეგი ჰქონდა, რაც ბევრად ოპტიმისტურად განგვაწყობდა მის გულშემატკივრებს. სანიკიძე დღეს „ლელოს" სტუმარია და ჩერნოგორიულ პერიპეტიებზე გვესაუბრება.**

**- ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი სასიამოვნო მოგონებად ალბათ ვერაფრით დაგრჩებათ, მაგრამ სტარტი არცთუ ცუდი გქონდათ - რამდენიმე ძლიერ მეტოქესთან ქულაც გაიყავით და მოგებაც მოახერხეთ. რა მოხდა მეორე, დასკვნით ნაწილში? ხომ არ გადაიღალეთ?**

- პირველ რიგში, მსურს მოგახსენოთ, რომ ბუდვაში ყოველმხრივ იდეალური პირობები შეგვიქმნეს. მიუხედავად ამისა, კარგად დაწყებული საქმე წარმატებით ვერ დავასრულე, რაზეც ძალიან მწყდება გული. მიზეზები არსებობს და ამაზე გულწრფელად მოგახსენებთ. ვიცი, რომ გულშემატკივარს და სპეციალისტებსაც მიაჩნიათ, თითქოს გადავიღალე და ეს ეჭვი ევროპის ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე საფრანგეთში ერთ-ერთ ტურნირში თამაშმა გამოიწვია. მე ასე არ მიმაჩნია. საქმე ის არის, რომ გადაღლას მაშინ ვგრძნობ, როცა თურქეთში ტურნირებზე ავტობუსით ვმგზავრობ, თორემ კომფორტულად ადგილზე ჩასვლა არავითარ დისკომფორტს არ მიქმნის. მეორეც: საფრანგეთში მხოლოდ ხუთი ტური ვითამაშე და საკმაოდ შედეგიანადაც - ოთხი ქულა მქონდა დაგროვილი. ამის შემდეგ ტურნირი დავტოვე, რადგანაც ევროპის ჩემპიონატს ემთხვეოდა და ვერაფრით გავაცდენდი ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმს.

**- თქვენს ამ ნაბიჯზე ჩვენ ვწერდით და გარკვეული varaუდები გამოვთქვით, მაგრამ შემდეგ შევიტყვეთ, რომ ორგანიზატორებთან ადრევე ყოფილხართ შეთანხმებული საფრანგეთში ჩასვლაზე. თუ გვეტყვით, რა ვალდებულები გქონდათ ფრანგების წინაშე?**

- დასამალი არაფერია. სამწუხაროდ, ფიდემ არ გაითვალისწინა ფრანგული ტურნირის ვადები და, ვგონებ, სპეციალურადაც კი დაამთხვია ევროპის ჩემპიონატს, - ეტყობა, ამ ორგანიზაციაში მავანს მავანთან მთლად ჯანსაღი ურთიერთობები არა აქვს... არადა, ძალიან ბევრი და მაღალი დონის მოჭადრაკე სტუმრობს ამ ფორუმს - 102 დიდოსტატი საკმარისია ჩემი სიტყვების დასტურად. შეთანხმება რამდენიმე თვით ადრე მოხდა და პირობა ველარ დავარღვიე. არ დაგიმალავთ და, ნამდვილად არ მეგონა, თუ საქართველოს ჩემპიონი გავხდებოდი და ევროპაზე დაფინანსებას მივიღებდი ჯილდოდ. სიტყვა შევასრულე, მაგრამ ფრანგულ მხარეს ვთხოვე ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებაც. საბედნიეროდ, მათ ყველაფერში მხარი დამიჭირეს. გალთა ქვეყანაში სხვა საკითხის გადასაჭრელადაც გახლდით - ერთ-ერთი ლუქსემბურგული კლუბის წარმომადგენლებთან უნდა მეწარმოებინა მოლაპარაკება. ლუქსემბურგელებს სურვილი აქვთ, თავისთან მიხილონ, თუმცა იქაური კანონების თანახმად, კლუბში თამაშის უფლებას ლიცენზია სჭირდება, რომლის მისაღებადაც ხუთი-ექვსი თვე მაინც უნდა მოვიცადო. მოლაპარაკება წარმატებული გამოდგა და ბუდვაში შესანიშნავი განწყობით გავემგზავრე. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნახევარი გავაფუჭე, გადაღლას არ ვგრძნობდი. პრობლემა ისაა, რომ მე ჯერ კიდევ არა ვარ იმ დონის მოჭადრაკე, მთელი ტურნირი ევროპის უძლიერეს დიდოსტატებს ტოლსწორად ვეპაექრო. ამაში კი, უპირველესად, თეორიული, სადებიუტო მომზადება, უფრო სწორად - მოუმზადებლობა მიშლის ხელს. ჩემი რეიტინგი 123-ე იყო განთესვით - 2522. ამიტომ თავიდანვე ვიცოდი, რომ მინიმუმ 2600-იანი მეტოქე მეყოლებოდა პირველივე დღიდან. თუ გახსოვთ, ასეც მოხდა - მეტოქეთა რეიტინგები 2620 - 2670 - მდე მერყეობდა. პირველი მარცხი მხოლოდ მეექვსე ტურში ვიწვნიე. სულ სამჯერ დავმარცხდი და აშკარად შევიგრძენი, თუ რა არის იმისთვის საჭირო, რომ მონინავეთა შორის დავმკვიდრდე. თავაუღებელი მუშაობა და კონკრეტულად სადებიუტო საკითხებია გადასაწყვეტი. აღმოჩნდა, რომ ჩემი მეტოქეები ჩემს შემოქმედებას კარგად იცნობენ და შესაბამისად მომზადება არ უჭირთ. თუმცა ასეთი რამ დღეისთვის გასაკვირი სულაც არ არის - ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია. სიბეჯითე საჭიროა, მაგრამ ამ საქმეში მარტო ყოფნაც არ ვარგა - ვილაც აუცილებლად უნდა გეხმარებოდეს - სპარინგპარტნიორიც ძლიერი უნდა გყავდეს და მწვრთნელიც. ჩვენთან კი რა საშუალებებია, ქართველმა გულშემატკივარმა კარგად იცის. მართალია, ერთმანეთთან თანამშრომლობაზე უარს არ ვამბობთ, მაგრამ პროფესიული ზრდისათვის ეს არასაკმარისია, ყველაფერს აქვს საზღვარი. აუცილებელია ახალი სისხლი – სიახლეები, არ დაგიმალავთ და, უფრო მაღალი დონის სპეციალისტებთან ურთიერთობაც. აგერ, ბაადურ ჯობავას მაგალითიც გამოდგება: ორი კვირა იმეცადინა ალექსანდრ ბელიავსკისთან და აღფრთოვანებულია მასთან მუშაობით - ასგზის გავიზარდეო, თქვენთან ინტერვიუში ამბობს. სხვათა შორის, ბელიავსკისთან წავაგე გადამწყვეტი პარტია - მას შემდეგ დავკარგე იმ 23 მოჭადრაკეთა შორის მოხვედრის შანსი, რაც მსოფლიო თასის საგზურს იძლეოდა. სიმართლე გითხრათ, დებიუტში ბელიავსკის ვაჯობე - ჩემი შეთავაზებული ვარიანტი, სიახლე, რომელიც საქართველოს ქალთა ნაკრებთან მუშაობის დროს დავხვეწე, გამოვიყენე. აქვე დავძენ, რომ იდეა ხვიჩა სუპატაშვილს ეკუთვნის, მე უფრო გავაღრმავე ეს მიმართულება „ნიმცოვიჩის" დაცვაში. სამწუხაროდ, შუა თამაშში ვერ გავთვალე კარგად, არ ვიცი, რის გამო მომივიდა ასე, მაგრამ ტაქტიკური მანევრი გამომრჩა და უკეთესიდან უარეს პოზიციაში გადავედი, რომლის დაცვა შემდეგში ვერ შევძელი. სწორედ აქ გამოჩნდა ბელიავსკის პროფესიონალიზმი, რომელსაც ბოლომდე ალბათ ვერ ჩავწვდები. ფაქტია, რომ არ მოეშვა და ჩემი, ერთი შეხედვით, მცირედ უხეიროდ შესრულებული მანევრი სათავისოდ დიდებულად გამოიყენა.

**- სატურნირო სტრატეგიის შერჩევაში ხომ არ შემცდარხართ? ეგებ მოსაგებად არ რისკავდით და მცირედით კმაყოფილდებოდით?**

- მართალია, ჩემი მთავარი ამოცანა 23 მოწინავეში მოხვედრა იყო, მაგრამ კარგად მესმოდა, რომ თუ აქტიურად არ ვითამაშებდი, მიზანს ვერ მივაღწევდი; ყაიმებიც კი დიდი ბრძოლების შედეგია. ჩემი აზრით, ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც არსებობს, რამაც ქულების დაგროვებაში შემიშალა ხელი. შარშანდელ ევროპის ჩემპიონატთან რომ გავავლოთ პარალელი, მაშინ ბევრად დაბალი რეიტინგი მქონდა. ასეთებთან კი ფავორიტები ყოველთვის მოსაგებად თამაშობენ. ამგვარი მიდგომა შედარებით სუსტებს კონტრშეტევის საშუალებას აძლევს. როგორც ვთქვი, ჩვენი პარტიები შესწავლილი აქვთ მოწინააღმდეგეებს და უკვე იოლად ველარ რისკავენ. თანამედროვე ჭადრაკში მოგება ძალიან გაჭირდა - საყაიმო პოზიციების „დაყენება" დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს. სიმართლე გითხრათ, ბევრმა თავად შემომთავაზა დაზავება, მეც ხელს მაძლევდა და ამიტომ დავთანხმდი რამდენიმეს. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც უკმაყოფილო ვარ. რაც უნდა იყოს, საქართველოს ჩემპიონი ვარ და ბევრად მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია. ამიტომ გარკვეულ პრეტენზიებსაც გაგებით ვხვდები. მიზეზებიც თავის მართლების გამო არ ჩამომითვლია, - მსურდა, რეალური სურათი დამეხატა.

**- მგონი გამოგივიდათ, თუმცა წარსულს ველარ დააბრუნებთ და ახლა მთავრი მომავალია. გარკვეულ დასკვნებს რომ გამოიტანდით, ცხადია. სად და როდის გამოიყენებთ მიღებულ ცოდნას?**

- უახლოეს ერთ თვეს ინტენსიურ მზადებას დავუთმობ - 25 აპრილს დუბაიში მივემგზავრები ყოველწლიურ, ტრადიციულ ტურნირზე; იქიდან ჩავალ ბაქოში პრეზიდენტ ალიევის თასზე. მზადებას კი მიხეილ მჭედლიშვილთან და მერაბ გაგუნაშვილთან ერთად გავდივარ. ყოველ მეორე დღეს ვხდებით და 4-5 საათი ვმუშაობთ; შემდეგ შინაც ვაგრძელებთ დებიუტებში „ჩხირკედელაობას" და მომდევნო შეხვედრებზე ვაჯერებთ ანალიზს. იმედი მაქვს, რომ ასეთი მუშაობა ნაყოფიერი გამოვა. თუ დუბაიში და ბაქოში კარგად ვითამაშე, 2600-იან რეიტინგულ ნიშნულს მივაღწევ, - ამ თვის ბოლოს კი 2580-მდე გამეზრდება. ალბათ 2009 წლის ბოლოს 2600 -საც მნიშვნელოვნად გადავაჭარბებ, მაგრამ ამაზე არ გავჩერდები - ჩემი მიზანი უმაღლესი რანგია, რომელიც 2700 - იანი ნიშნულიდან იწყება. კარგად ვიცი, რომ დიდი დაფინანსების და ხელშეწყობის გარეშე იქამდე ვერ მივალ, მაგრამ ძალიან მაიმედებს ლუქსემბურგული კლუბის ხელმძღვანელთა მიდგომა საქმისადმი: მათ სურთ საქართველოს ჩემპიონი იყოს თავიანთი კლუბის წევრი და გარდა ნორმალური ჯამაგირისა, დაოსტატებაში ხელშეწყობასაც მპირდებიან, რაც, პირველ რიგში, სწორედ ძვირად ღირებული მწვრთნელების დაქირავებას და მათთან ხანგრძლივ და სისტემატურ მუშაობას გულისხმობს. თუ ეს თანამშრომლობა შედგა, სადებიუტო პრობლემებიც უკან დარჩება და ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპონატებზე უკეთესი შედეგებიც არ დააყოვნებს.

**ზვიად შათირიშვილი**

სუმო

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)



# სამ-სამი უნდა მოიგონ

ოსაკაში, წლის მეორე სუპერტურნირზე სამი საბრძოლო დღეღა დარჩა, თუკი ჩვენებურებს ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება სურთ მათ სამ-სამი ორთაბრძოლა უნდა მოიგონ. დაგვეთანხმებით, საკმაოდ რთული ამოცანაა შესასრულებლად.

ნაგებების ლიმიტი გუშინ **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ამოწურა. იგი უვატენაგეს ილეთით დააგდო დოჰიოზე მე-3 მაეგაშირა **ტოკიტენკუმ**. არადა, მონღოლს ეს მოგება ბევრს ვერას შემატებს, რადგან უარყოფითი ბალანსი უკვე „გარანტირებულია." კოკაის ბალანსია 5-7 და მეტი მარცხის უფლება აღარ აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში რანგში დაქვეითება არ ასცდება. კოკაის დღევანდელი მეტოქე ყოფილი სეკივაკე **ტამანოშიმაა**, რომელსაც ამ ბაშოზე 6-6 ბალანსი აქვს. ტამანოშიმას კოკაი მე-20-დ ხვდება, ჩვენებური დაპირისპირებას 6:13-შით აგებს.

**ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** წაგების უფლება აღარ ჰქონდა და მანაც ჩვენებური მოგვერდის მსგავსი ილეთით დაანარცხა დოჰიოზე **ტოსანოუმი** და მას მეორე დივიზიონის საგზური „გამოუწერა". ტოჩინოშინს 5-7 ბალანსი აქვს, დღეს იგი ანალოგიური ბალანსის მქონე ყოფილ კომუსუბის, **კაკიძოეს** დაუპირისპირდება. ურთიერთდაპირისპირებებში ქართველი 3:2-ს იგებს.

ბაშოზე კი, ვგონებ, გაირკვა ყველაფერი - გუშინ კიდევ ერთხელ წააგო დიდმა ჩემპიონმა **ასაშორიუმ** და მეორე დიდ ჩემპიონს, **ჰაკუჰოს** (12-0) ორი მოგებით ჩამორჩა, რაც ფინიშამდე სამი დღით ადრე სერიოზული სხვაობაა. გამარჯვების თეორიულ შანსს ინარჩუნებს მე-7 მაეგაშირა **ჰომაშოც** (9-3).

XII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 8)-ტოკიტენკუ (მ 3) 0:1 (უვატენაგე), ტოჩინოშინი (მ 10)-ტოსანოუმი (მ 15) 1:0 (სუკუინაგე), ჰაკუჰო (ი)-ჰარუმაფუჯი (ო) 1:0, კოტომიცუკი (ო)-ასაშორიუ (ი) 1:0, მიაბიამა (მ 3)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0, კოტოოშუ (ო)-კაიო (ო) 1:0, კიოკუტენჰო (კ)-კისენოსატო (ს) 1:0, ბარუტო (ს)-ტოჩიოძანი (მ 2) 1:0, გოეიდო (კ)-ჰოკუტორიკი (მ 1) 1:0, კაკურიუ (მ 1)-კოტოშოგიკუ (მ 2) 1:0, იოშიკაძე (მ 4)-იამამოტოიამა (მ 13) 1:0, ტაკეკაძე (მ 4)-ტოჩინონადა (მ 8) 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **12-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 10-2: ასაშორიუ (იოკოძუნა), 9-3: ჰომაშო (მაეგაშირა 7), 8-4: კოტოოშუ (ო), კაიო (ო), არანი (მ 11), ჩიოჰაკუჰო (მ 13)... 5-7: კოკაი (მ 8), ტოჩინოშინი (მ 10).**

XIII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 8)-ტამანოშიმა (მ 6), ტოჩინოშინი (მ 10)-კაკიძოე (მ 12), ასაშორიუ (ი)-კაიო (ო), ჰაკუჰო (ი)-კოტოოშუ (ო), ჰარუმაფუჯი (ო)-მიაბიამა (მ 3), ჩიოტაიკაი (ო)-კოტომიცუკი (ო), ბარუტო (ს)-კიოკუტენჰო (კ), კისენოსატო (ს)-კაკურიუ (მ 1), გოეიდო (კ)-ტოჩიოძანი (მ 2), ჰოკუტორიკი (მ 1)-ტოკიტენკუ (მ 3), კოტოშოგიკუ (მ 2)-ტაკეკაძე (მ 4), ჰომაშო (მ 7)-ტამავაში (მ 14).**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფიგურული ციგურაობა

# ელენე ბოლო გამოვა

18 წლის მოციგურავე **ბექა შანყულაშვილმა** კარიერაში პირველად ისასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატზე და საერთო ჯამში 50 მონაწილეს შორის მე-40 ადგილი დაიკავა. ლოს ანჯელესში „სტეპლს სენთერის" ყინულზე, ქართველმა სპორტსმენმა მოკლე პროგრამის (საუნდტრეკი კინოფილმიდან „მატრიქსი") შესრულებისთვის 42,80 ქულა მიიღო, რაც მისივე საუკეთესო შედეგს 2,5 ქულით ჩამორჩება. თუმცა ის შედეგი რომც გაემეორებინა, საერთო ჩათვლაში მხოლოდ ხუთი ადგილით წაიწევდა წინ. ბექა ევროპის ჩემპიონატზე 38-ე იყო.

ბულგარეთის სახელით მოასპარეზე **გიორგი კენჭაძემ** ცუდად ისრიალა და 39,90 ქულით 45-ე ადგილზეა. მოკლე პროგრამის შემდეგ 84,40 ქულით ფრანგი **ბრაიან ჟუბერი** ლიდერობს, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი.

**ელენე გედევანიშვილი** მსოფლიოს ჩემპიონატზე ხვალ ისასპარეზებს. კენჭისყრით ელენე 54 მონაწილეს შორის სულ ბოლოს იასპარეზებს. ქართველს ფავორიტთა ჯგუფში მოუწევს გამოსვლა **მაო ასადასთან** (იაპონია) და **კაროლინა კოსტნერთან** (იტალია) ერთად. ასე რომ, ლოს-ანჯელესში ჩვენი თანამემამულე ყინულზე მაშინ შედგება, როცა საქართველოში გვიანი ღამე იქნება.



ელენე გედევანიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ყველამ წააგო

**მაკა ჩახნაშვილი** (206) საბოლოოდ დაემშვიდობა ლა პალმასის (25 ათასი $) წლევანდელ ტურნირს. ერთეულებში მარცხის შემდეგ მას არც წყვილებში გაუმართლა - მაკამ და ესპანელმა **სილვია სოლერ-ესპინოსამ** (193) მეოთხედფინალში წააგეს მე-4 ნომრად განთესილ დუეტთან (**ტეოდორა მირჩიჩი** (სერბეთი), **ირენა პავლოვიჩი** (საფრანგეთი)) - 4:6, 4:6.

მოსკოვის ტურნირის (25 ათასი $) პირველივე წრეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოსულ ჩოგბურთელთან, **ნადია გუსკოვასთან** დამარცხდა 20 წლის **სოფიო შაფათავა** (244) - 6:7, 5:7.

მსოფლიოს კორტებზე ამ კვირაში ერთი ქართველიც არ შემორჩა, რადგან წააგო ეგვიპტეში (10 ათასი $) მოთამაშე **ლაზარე კუხალაშვილმაც**. ლაზარემ ორ სეტში დათმო ესპანელ **კარლოს კალდერონ-როდრიგესთან** (854) - 4:6, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. მაიამის ტურნირი. ქალების ბადე

| 1/64 | 1/32 |
|---|---|
| ს. უილიამსი (აშშ, 1) | ს. უილიამსი (აშშ, 1) |
| გაშრინსკი (შვეიც) | |
| გლეტჩი (აშშ) | |
| პარმენტიე (საფ) | |
| სანტანჯელო (იტა) | |
| პენგი (ჩინ, 32) | პენგი (ჩინ, 32) |
| ჟენგი (ჩინ, 17) | ჟენგი (ჩინ, 17) |
| რაზანო (საფ) | |
| გორჯესი (გერ) | |
| კნაპი (იტა) | |
| ზახვალოვა (ჩეხ) | |
| კორნე (საფ, 14) | კორნე (საფ, 14) |
| პეტროვა (რუს, 9) | პეტროვა (რუს, 9) |
| მორიტა (იაპ) | |
| კრაიჩეკი (ჰოლ) | |
| მაკაროვა (რუს) | |
| ჩანი (ტაივ) | |
| სუგიამა (იაპ, 23) | სუგიამა (იაპ, 23) |
| ვოზნიაკი (კან, 29) | ვოზნიაკი (კან, 29) |
| უ. რადვანსკა (პოლ) | |
| ნა ლი (ჩინ) | |
| გარბინი (იტა) | |
| ზაკოპალოვა (ჩეხ) | |
| ზვონარევა (რუს, 6) | ზვონარევა (რუს, 6) |
| იანკოვიჩი (სერ, 3) | იანკოვიჩი (სერ, 3) |
| დულკო (არგ) | |
| დომინგეს ლინო (ესპ) | |
| ლისიცკი (გერ) | |
| კვიტოვა (ჩეხ) | |
| ბენეშოვა (ჩეხ, 26) | ბენეშოვა (ჩეხ, 26) |
| მ-გარიგესი (ესპ, 19) | მ-გარიგესი (ესპ, 19) |
| კუდრიავცევა (რუს) | |
| დუკე მარინო (კოლ) | |
| ერაკოვიჩი (ზელ) | |
| შპრემი (ხორ) | |
| ციბულკოვა (სლვკ, 16) | ციბულკოვა (სლვკ, 16) |
| ა. რადვანსკა (პოლ, 10) | ა. რადვანსკა (პოლ, 10) |
| ტანასუგარნი (ტაილ) | |
| დეში (საფ) | |
| მარტინეს სანჩესი (ესპ) | |
| ვიკმაიერი (ბელ) | |
| კანეპი (ესტ, 21) | კანეპი (ესტ, 21) |
| ერანი (იტა, 30) | ერანი (იტა, 30) |
| კრეიბასი (აშშ) | |
| გრონეფელდი (გერ) | |
| პენდლერი (ბელ) | |
| პეერი (ისრ) | |
| ვ. უილიამსი (აშშ, 5) | ვ. უილიამსი (აშშ, 5) |

SONY ERICSSON OPEN
მაიამი (ფლორიდა, აშშ)
25 მარტი-4 აპრილი
ჰარდი, ღია კორტი
საპრიზო ფონდი - 4 500 000 $
მონაწილეთა რაოდენობა: 96

**მაიამის ტურნირის გამარჯვებულები**

მარტინა ნავრატილოვა - 1985
კრის ევერტი - 1986
შტეფი გრაფი - 1987, 1988, 1994-1996
გაბრიელა საბატინი - 1989
მონიკა სელეში - 1990, 1991
არანტა სანჩეს ვიკარიო - 1992, 1993
მარტინა ჰინგისი - 1997, 2000
ვენუს უილიამსი - 1998, 1999, 2001
სერენა უილიამსი - 2002-2004, 2007, 2008
კიმ კლაისტერსი - 2005
სვეტლანა კუზნეცოვა - 2006

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კუზნეცოვა (რუს, 8) | კუზნეცოვა (რუს, 8) |
| | | | | | ნიკულესკუ (რუმ) |
| | | | | პაჩეკი (ავსტრია) 7:5, 6:2 | პაჩეკი (ავსტრია) |
| | | | | ვაიდიშოვა (ჩეხ) 6:4, 6:2 | ვაიდიშოვა (ჩეხ) |
| | | | | | მაირი (ავსტრია) |
| | | | | ა. ბონდარენკო (უკრ, 29) | ა. ბონდარენკო (უკრ, 28) |
| | | | | კლეიბანოვა (რუს, 24) | კლეიბანოვა (რუს, 24) |
| | | | | ვოსკობოევა (ყაზ) 6:4, 6:4 | ვოსკობოევა (ყაზ) |
| | | | | | დუშევინა (რუს) |
| | | | | იაკიმოვა (ბლრ) 6:2, 6:1 | იაკიმოვა (ბლრ) |
| | | | | | გოვორცოვა (ბლრ) |
| | | | | ბარტოლი (საფ, 12) | ბარტოლი (საფ, 12) |
| | | | | ვოზნიაჩკი (დან, 13) | ვოზნიაჩკი (დან, 13) |
| | | | | | დოკიჩი (ავსტრა) |
| | | | | დოკიჩი (ავსტრა) 6:3, 7:6(5) | გალოვიტცი (რუმ) |
| | | | | საფაროვა (ჩეხ) 6:4, 7:5 | საფაროვა (ჩეხ) |
| | | | | | კეოტავონგი (ბრიტ) |
| | | | | შნიდერი (შვეიც, 18) | შნიდერი (შვეიც, 18) |
| | | | | ს-ნავარო (ესპ, 31) | ს-ნავარო (ესპ, 31) |
| | | | | | ვანდევეგე (აშშ) |
| | | | | ლ-ვივესი (ესპ) 6:0, 6:3 | ლ-ვივესი (ესპ) |
| | | | | პივოვაროვა (რუს) 7:6(1), 6:3 | პივოვაროვა (რუს) |
| | | | | | მატეკი (აშშ) |
| | | | | დემენტიევა (რუს, 4) | დემენტიევა (რუს, 4) |
| | | | | ივანოვიჩი (სერ, 7) | ივანოვიჩი (სერ, 7) |
| | | | | | კორიტცევა (უკრ) |
| | | | | კორიტცევა (უკრ) 6:2, 6:1 | კირსტეა (რუმ) |
| | | | | სკიავონე (იტა) 6:3, 5:7, 6:3 | სკიავონე (იტა) |
| | | | | | პირონკოვა (ბულ) |
| | | | | შავაი (უნგ, 25) | შავაი (უნგ, 25) |
| | | | | ჩაკვეტაძე (რუს, 22) | ჩაკვეტაძე (რუს, 22) |
| | | | | | ოუდინი (აშშ) |
| | | | | ჰანტუხოვა (სლოვაკ) 4:6, 6:3, 6:2 | ჰანტუხოვა (სლოვაკ) |
| | | | | პავლიუჩენკოვა (რუს) 4:6, 6:3, 6:2 | პავლიუჩენკოვა (რუს) |
| | | | | | რეზაი (საფ) |
| | | | | აზარენკა (ბლრ, 11) | აზარენკა (ბლრ, 11) |
| | | | | პენეტა (იტა, 15) | პენეტა (იტა, 15) |
| | | | | | კ. ბონდარენკო (უკრ) |
| | | | | კირილენკო (რუს) 6:4, 0:6, 6:4 | კირილენკო (რუს) |
| | | | | რიბარიკოვა (სლოვაკ) 3:6, 6:3, 7:5 | რუსი (ჰოლ) |
| | | | | | რიბარიკოვა (სლოვაკ) |
| | | | | მორესმო (საფ, 20) | მორესმო (საფ, 20) |
| | | | | ბამერი (ავსტრია, 27) | ბამერი (ავსტრია, 27) |
| | | | | | არვიდსონი (შვედ) |
| | | | | სტოსური (ავსტრა) 6:1, 2:0 | სტოსური (ავსტრა) |
| | | | | იოჰანსონი (საფ) 1:6, 7:6(2), 7:6(8) | იოჰანსონი (საფ) |
| | | | | | მირზა (ინდ) |
| | | | | საფინა (რუს, 2) | საფინა (რუს, 2) |

# კლაისტერსმა დაბრუნება დაადასტურა




ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** ოფიციალურად დაადასტურა პროფესიულ ჩოგბურთში დაბრუნდება. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ეს ახალი ამბავი სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა. კიმი ორწლიანი შესვენების შემდეგ, პირველად 10 აგვისტოს, ცინცინატის ტურნირში მოსინჯავს ძალებს. ამ ტურნირის ორგანიზატორებმა უკვე გამოუყვეს უალდ-ქარდი ბელგიელ ჩოგბურთელს.

კლაისტერსს დაწვრილებით არ წარმოუდგენია თავისი გეგმები. ჯერჯერობით, ცინცინატის ტურნირის გარდა, ბელგიელს ტორონტოში და ამერიკის ღია პირველობაზე გამოსვლა აქვს დაგეგმილი. როგორც ჩოგბურთელის მეგობრები ამბობენ, კიმი ამ სეზონში ჯამში 10-12 ტურნირს ითამაშებს.

*"ყველაზე მეტად ტურნირების ატმოსფერო მენატრებოდა, რადგან მიყვარს კონკურენცია... უკვე 12 კვირაა ინტენსიურად ვვარჯიშობ. ახლა წვრთნის იმაზე უფრო დაძაბული რეჟიმი მაქვს, ვიდრე დიდი სპორტიდან წასვლამდე მქონდა... მოვითხოვე ცინცინატის, ტორონტოსა და აშშ-ის ღიას უაილდ-ქარდები. იმედი მაქვს, მეყოფა ენერგია ამ ტურნირებში მონაწილეობისთვის... სულაც არ ვფიქრობ რეიტინგში პირველი ადგილის დაკავებას. ჩემთვის მთავარი ჩოგბურთის თამაში და მისგან სიამოვნების მიღებაა"*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე კლაისტერსმა.

როგორც ბელგიელის მენეჯერები აცხადებენ, კიმი შესანიშნავ ფორმაშია და უკვე დღეს თამამად შეუძლია კორტზე გასვლა.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის კლაისტერსმა 2007 წლის მაისში დაასრულა კარიერა, ამერიკელ კალათბურთელზე დაქორწინდა და ქალიშვილი გააჩინა.

# ATP-მ პრიზები დაარიგა



პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ მაიამიში 2008 წლის შედეგები შეაჯამა და მამაკაცთა ტურის ლაურეატები დააჯილდოვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ATP World Tour Awards-ზე წლის საუკეთესო ჩოგბურთელის ტიტული **რაფაელ ნადალმა** მიიღო. გასულ სეზონში მან საფრანგეთის ღია პირველობა და უიმბლდონი მოიგო, რაც 1980 წლის შემდეგ არავის გაუკეთებია.

პრიზის გარეშე არ დარჩენილა ATP-ის ტურში ნადალის მთავარი კონკურენტი **როჯერ ფედერერი**. მან **სტეფან ედბერგის** სახელობის პრიზი მიიღო, რომელიც ჩოგბურთელებს სპორტული ოსტატობისთვის გადაეცემათ. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიელმა ზედიზედ მეხუთედ მიიღო ეს ჯილდო. გარდა ამისა, "დიდი სლემის" ტურნირების 13-გზის ჩემპიონმა ზედიზედ მეექვსედ დაიმსახურა "მაყურებელთა სიმპათიების" პრიზი - Fans' Favourite.

*"ბედნიერი ვარ ამ პრიზების მიღების გამო. ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო სხვებისთვის მაგალითის მიცემა. გულშემატკივრების მხარდაჭერა კი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. ეს მოტივაციას მაძლევს და ენერგიას მმატებს... უბრალოდ გაოგნებული ვარ იმით, რომ ეს პრიზი ზედიზედ მეექვსედ მე მერგო"*, - განაცხადა დაჯილდოების ცერემონიაზე ფედერერმა.

აი როგორ გამოიყურება ATP-ის ლაურეატთა სრული სია:

**წლის მოთამაშე:** რაფაელ ნადალი;
**წლის წყვილი:** ნესტორი და ზიმონჯიჩი;
**არტურ ეშის სახელობის პრიზი საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის:** ჯეიმს ბლეიკი;
**სტეფან ედბერგის სახელობის პრიზი სპორტული ოსტატობისთვის:** როჯერ ფედერერი;
**წლის პროგრესი:** ჟო-ვილფრიდ ცონგა (რეიტინგში 43-დან მეექვსე პოზიციამდე ამაღლდა);
**წლის დებიუტანტი:** კეი ნიშიკორი (რეიტინგში 281-დან 63- პოზიციამდე ამაღლდა);
**წლის დაბრუნება:** რაინერ შუტლერი (მსოფლიოს ყოფილმა მეხუთე ნომერმა ბოლო ოთხ წელიწადში პირველად, სეზონი 30 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის დაასრულა);
**ATPworldtour.com-ის მომხმარებელთა სიმპატიების პრიზი (ერთეულთა და წყვილთა თანრიგებისთვის):** როჯერ ფედერერი (26,6%); ბობ და მაიკ ბრაიანები (27.8%).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-სან ანტონიო 92:102**

22:28, 26:23, 26:23, 18:28

ა: ჯო ჯონსონი (30), მიური (15), ბიბი (13), ჯ. სმიტი (12+8 მოხსნა), პორფიორდი (7+13 მოხსნა).
ს-ა: ტ. პარკერი (42+10 პასი), რ. მეისონი (18), ფინლი (13).

**კლივლენდი-ნიუ ჯერსი 98:87**

26:17, 18:23, 24:20, 30:27

კ: ლ. ჯეიმსი (22+8 მოხსნა+11 პასი), ვარეჟაო (16+11 მოხსნა), ილგაუსკასი (16+3 დაფარება), მ. უილიამსი (16+6 პასი), დ. უესტი (13+9 მოხსნა).
ნ-ჯ: კარტერი (20), ჰეიესი (18), ბ. სიმონსი (12), დულინგი (11+10 პასი), ბ. ლოპესი (9+10 მოხსნა).

**ინდიანა-მაიამი 90:88**

27:24, 21:25, 19:19, 23:20

ი: გრეინჯერი (28), ფორდი (20+9 მოხსნა), ჯეკი (13), გ. რაში (11+8 მოხსნა), ფოსტერი (5+16 მოხსნა+4 დაფარება).
მ: უეიდი (21+8 პასი+4 ჩაჭრა), ჰასლემი (18+14 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (13), ბიზლი (10+8 მოხსნა).

**ფილადელფია-მინესოტა 96:88**

14:16, 23:27, 28:19, 31:26

ფ: ტ. იანგი (29+3 ჩაჭრა), იგუოდალა (15+7 მოხსნა+6 პასი), ა. მილერი (15+7 მოხსნა).
მ: კარნი (21), კ. სმიტი (20), ლავი (12+9 მოხსნა).

**ტორონტო-მილუოკი 115:106**

25:20, 40:24, 29:27, 21:35

ტ: ბარნიანი (23), კალდერონი (19+11 პასი), ბოში (18+14 მოხსნა), ე. პარკერი (18+7 მოხსნა), მერიონი (17+9 მოხსნა), კაპონო (14).
მ: რ. ჯეფერსონი (22), ჩ. ბელი (20+7 პასი), სეშენსი (18+7 პასი), ჯონსი (12).

**ვაშინგტონი-შარლოტი 95:93**

24:29, 26:28, 23:14, 22:22

ვ: ჯეიმისონი (27+8 მოხსნა), ნ. იანგი (23), ბლეტჩი (15+7 მოხსნა), მ. ჯეიმსი (15+3 ჩაჭრა).
შ: ჯ. უოლასი (21+11 მოხსნა), ოგუსტინი (15), ოკაფორი (15), ფელტონი (14+8 პასი), დიაო (11+9 მოხსნა).

**ნიუ იორკი-კლიპერს 135:140 (ო)**

44:28, 22:37, 27:30, 34:32, 8:13

ნ-ი: ჰარინგტონი (38), ჩენდლერი (22), დ. ლი (18+13 მოხსნა), ჰოუზი (13), რობინსონი (13), დუჰონი (10+10 პასი).
კ: ტეილორი (35), ზ. რენდოლფი (33), ტორნტონი (21+9 მოხსნა), ე. გორდონი (19), ბ. დევისი (13), ფ. ჯონსი (10).

**ნიუ ორლეანი-დენვერი 88:101**

21:28, 24:18, 23:31, 20:24

ნ-ო: პოლი (19+13 პასი), დ. უესტი (18+8 მოხსნა), რ. ბატლერი (10), არმსტრონგი (10).
დ: ენტონი (29), ბილაპსი (26+6 პასი), სმიტი (16).

**ორლანდო-ბოსტონი 84:82**

25:21, 22:18, 23:23, 14:20

ო: დ. ჰოვარდი (24+21 მოხსნა+4 დაფარება), ლუისი (21), თურქოგლუ (13), კ. ლი (11).
ბ: პირსი (26+7 მოხსნა), რ. ალენი (16), პერკინსი (11+11 მოხსნა).

**დალასი-გ. სტეიტი 128:106**

37:26, 26:28, 32:29, 33:23

დ: ტერი (26), ნოვიცკი (26), ბარეა (20+7 პასი), გრინი (14), ა. რაიტი (13), ბასი (10), დამპიე (8+10 მოხსნა).
გ-ს: მოროუ (29), ელისი (22+5 ჩაჭრა), ს. ჯექსონი (12), აზუბუიკე (11), ე. რენდოლფი (10), უოტსონი (10).

**ფინიქსი-იუტა 118:114**

32:31, 20:27, 37:25, 29:31

ფ: ჰილი (26), ბარნსი (21+9 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (21), ნეში (12+14 პასი), შ. ო'ნილი (12+12 მოხსნა+3 დაფარება), დრაგიჩი (11), ამუნდსონი (10).
ი: დ. უილიამსი (25+10 პასი), რ. ბრიუერი (17), კორვერი (15), ოქური (15+12 მოხსნა), ბუზერი (14+12 მოხსნა), მილსეპი (13+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

# ლებრონისა და კლივლენდის რეკორდები

"ნიუ ჯერსი ნეტსთან" ბოლო ტურის შეხვედრა ღირსშესანიშნავი გამოდგა "კლივლენდ კავალიერზისა" და მისი ლიდერის **ლებრონ ჯეიმსისთვის**.

შეხვედრის დასაწყისში ჩაგდებული ბურთის შემდეგ, ჯეიმსი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში მეორე კალათბურთელი გახდა, ვინც მეოთხედ შეძლო ერთ სეზონში ერთდროულად 2000 ქულის, 500 მოხსნისა და 500 შედეგიანი გადაცემის დაგროვება. აქამდე მსგავსი შედეგი კალათბურთის დიდების დარბაზის წევრმა **ოსკარ რობერტსონმა** დააფიქსირა, რომელსაც ამისთვის ექვსი სეზონის ჩატარება დასჭირდა.

"2000-500-500" კარიერაში სამჯერ შეასრულა "ბოსტონის" ლეგენდამ **ლარი ბერდმა**. იგივე ორ-ორჯერ გააკეთეს **ჯონ ჰავლიჩეკმა** და **მაიკლ ჯორდანმა**.

ამ სეზონში ლებრონ ჯეიმსის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 28.6 ქულას, 7.6 მოხსნასა და 7.3 პასს უდრის.

■ ■ ■

"კლივლენდმა" "ნიუ ჯერსი" 98:87 დაამარცხა. ეს იყო რეგულარულ ჩემპიონატში კავალიერზის რიგით 58-ე მოგება, რაც ახალი საკლუბო რეკორდი გახლავთ.

წინა რეკორდი - 57 მოგება გუნდმა 1988-89 წლების სეზონში დაამყარა და 1991-92 წლებში გაიმეორა. აღსანიშნავია, რომ "კლივლენდისთვის" ეს იყო ზედიზედ მე-11 გამარჯვება.

## ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიოს ჩემპიონატი



# რეკორდით დაიწყო

პოლონეთის ქალაქ პუშკოვის ტრეკზე ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და პირველივე დღეს, პირველივე დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდი დამყარდა.

ქალთა შორის 500 მეტრ დისტანციას ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავდა: დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდსმენი, ავსტრალიელი **ანა მეირსი** და სპრინტში პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი, ბრიტანელი **ვიქტორია პენდლეტონი**.

მაგრამ ამ სახელოვან ველომრბოლებს მოულოდნელად ლიტველმა **სიმონა კრუპეჩკაიტემ** აჯობა. მან არა მარტო ოქროს მედალი მოიპოვა, არამედ მთელი 2 მეათედი წამით გააუმჯობესა მეირსის მსოფლიოს რეკორდი. ბალტიისპირელმა ტრეკზე საათში 54 კილომეტრი სიჩქარე განავითარა.

საბოლოოდ, მეირსი ვერცხლის მედალს დასჯერდა, ბრიტანელთა ფავორიტ პენდლეტონს ბრინჯაო ერგო.

გუშინ, ბრიტანელებს კიდევ ერთ დისციპლინაში მოეცარათ ხელი. მართალია, მამაკაცთა გუნდურ სპრინტში ისინი პეკინის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონის, სერ **კრის ჰოის** გარეშე გამოდიოდნენ, მაგრამ მაინც მთავარ ფავორიტებად მიიჩნეოდნენ.

ფინალში კუნძულელთა მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იყო, რომელმაც დისტანცია 359-მეათასედი წამით ადრე დაასრულა და შეინარჩუნა შარშან მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის ნაკრებმა ვერც ამჯერად გატეხა ნავსი და მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ დისციპლინაში ზედიზედ მეოთხე ვერცხლი დაისაკუთრა.

## ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# პირველი ოქრო გერმანიისაა



ლოს-ანჯელესში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა. სპორტულ წყვილებში ბოლო ორი სეზონის ლიდერებმა - გერმანელებმა **ალიონა სავჩენკომ** და **რობინ შოლკოვიმ** ისევ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი და ზედიზედ მეორე გახდნენ პლანეტის საუკეთესო მოციგურავეები.

გერმანულ დუეტს კონკურენტი არ ჰყოლია, სამაგიეროდ, დიდი ბრძოლა გაიმართა ვერცხლის მედლებისთვის. ჩინელების წყვილმა (**დან ჟანი-ჰაო ჟანი**) 0.13 ქულით (!) აჯობა რუსებს - **იუკო კავაგუტისა** და **ალექსანდრ სმირნოვს**, თუმცა ამ უკანასკნელთა გამოსვლა მაინც წარმატებად ჩაითვალა, რადგან ეს ამ დუეტის პირველი მედალი იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**საბოლოო მდგომარეობა**

1. **ალიონა სავჩენკო-რობინ შოლკოვი** (გერმანია) - 203,48; 2. **დან ჟანი-ჰაო ჟანი** (ჩინეთი) - 186,52; 3. **იუკო კავაგუტი-ალექსანდრ სმირნოვი** (რუსეთი) - 186,39; 4. ცინ პანი-ცზიან ტუნი (ჩინეთი) - 181,08; 5. **მარია მუხორტოვა-მაქსიმ ტრანკოვი** (რუსეთი) - 177,89; 6. **ტატიანა ვოლოსოჟარი-სტანისლავ მოროზოვი** (უკრაინა) - 175,61.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ფლორიდა 5:3**

1:1, 0:1, 4:1

**გოლები:** 0:1 მაკლინი-5 (კალიმორი-7, კრეპსი-14), 1:1 რივე-2 (დ. როი-39, ლიდმანი-16), 1:2 ზედნიკი-16 (ჰორტონი-21, ბოინტონი-14), 1:3 ფროლიკი-19 (მაკლინი-11, ბალარდი-26), 2:3 პომინვილი-16 (ტალინდერი-9), 3:3 მაკარტური-14 (პომინვილი-38, კონოლი-21), 4:3 კონოლი-14 (მპაჩეკი-28, პომინვილი-30), 5:3 აფინოგენოვი-5.

**აილენდერსი-მინესოტა 2:6**

1:2, 0:1, 1:3

**გოლები:** 1:0 ცერვე-3 (მტრაიტი-39, მაკამონდი-10), 1:1 გაბორიკი-5 (ჟიდლიცკი-25, ბრუნეტი-24), 1:2 მიეტინენი-15 (ბუშარი-30, ნოლანი-16), 1:3 ნოლანი-23 (გაბორიკი-3, ბელანჟე-21), 1:4 სკოულა-2 (ნოლანი-17, შეპარდი-14), 2:4 პილბერტი-11 (ტომპსონი-1, მაკამონდი-11), 2:5 ბრუნეტი-18 (გაბორიკი-4, ჟიდლიცკი-26), 2:6 გაბორიკი-6 (ბრუნეტი-25, ჟიდლიცკი-27).

**კაროლინა-ოტავა 2:1**

0:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 0:1 შენონი-6 (ფოლინო-12, კუბა-34), 1:1 ბრინდამორი-14 (რეი უიტნი-45, კორვო-21), 2:1 ბაბჩუკი-13 (პიტკანენი-13, ბრინდამორი-32).

**პიტსბურგი-კალგარი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ლეტანგი-9 (კროსბი-68, კუნიტცი-26), 2:0 გილი-2 (მალკინი-73, სკუდერი-12).

**ჩიკაგო-სან ხოსე 6:5 (ბ)**

3:1, 1:2, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 პაველსკი-25 (ბოლანდი-26, სიბრუკი-15), 1:1 სეტოგუჩი-28 (ერჰოფი-27, ბოილი-37), 2:1 ბიფულინი-13 (ბარკერი-33), 3:1 ლედი-12 (პაველსკი-40, ბოლანდი-27), 4:1 ტეუვზი-30 (ბარკერი-34, შარპი-17), 4:2 მაკგინი-4 (მოენი-9, მიური-8), 4:3 ვლასიჩი-6 (ჩიჩუ-16, ჯ. ტორნტონი-57), 5:3 ლედი-13 (ბოლანდი-28, პიალმარსონი-1), 5:4 სეტოგუჩი-29 (პაველსკი-32, მ. მიხალეკი-31), 5:5 ჯ. ტორნტონი-24 (რიონიეი-8, ვლასიჩი-29).

**ბულიტები გაიტანეს:** კეინი (ჩიკაგო), ტეუვზი (ჩიკაგო).

**კოლორადო-ანაჰაიმი 2:7**

0:3, 1:4, 1:0

**გოლები:** 0:1 კრისტენსენი-6, 0:2 სელიანე-23 (ვიშნიევსკი-14, დ. მილერი-6), 0:3 პერი-25 (კრისტენსენი-19, ებეტი-20), 0:4 პერი-26 (ვიშნიევსკი-15, ებეტი-21), 0:5 ებეტი-7 (ვიშნიევსკი-16, რაიან უიტნი-16), 0:6 რ. ნიდერმაიერი-12 (ნოკელაინენი-4), 1:6 ჰეიდუკი-26 (ლაილსი-27, ვოლსკი-27), 1:7 ნოკელაინენი-3, 2:7 მაკლეოდი-15 (მაკორმიკი-11, ჰენსიკი-15).

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| **UNDER 21** | |
| თურქეთი-დანია | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| პოლონია (ვ)-არკა | 0:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ცსკა-პარტიზანი | 77:50 |
| ოლიმპიაკოსი-რეალი | 79:73 |
| ბარსელონა-ტაუგრესი | 85:62 |
| პანათინაიკოსი-მონტეპასკი | 79:84 |
| **გერმანია** | |
| ბრაუნშვაიგი-ბროზე | 70:75 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 3:6 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 5:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| სკალიცა-სლოვანი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-კალპა | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| ზილი-ამბრი | 3:4 |
| ფრიბურგი-დავოსი | 0:3 |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ჰვ71 | 1:4 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მაიამი** | |
| ბოლელი-გაბაშვილი | 4:6, 6:4, 4:6 |
| სტარაჩე-ვასალო არგელო | 6:7, 4:6 |
| სვიტინგი-მასუ | 4:6, 6:7 |
| დელიჩი-დარცისი | 6:4, 7:6 |
| ზვერევი-ყილი | 6:7, 2:6 |
| სეპი-გარსია ლოპესი | 7:6, 6:1 |
| ისნერი-სტახოვსკი | 6:4, 6:4 |
| ჩელა-რეინოლდსი | 6:0, 5:7, 4:6 |
| ბეკერი-ლევინე | 6:4, 6:3 |
| კუბეკი-მონტანიესი | 4:6, 6:7 |
| კუერი-მიულერი | 6:4, 6:3 |
| ლუ-შვანკი | 6:2, 6:2 |
| ტროიცკი-დევილდერი | 6:2, 6:3 |
| **WTA. მაიამი** | |
| კუდრავცევა-დუკე მარინო | 6:4, 7:6 |
| ნა ლი-უ. რადვანსკა | 6:4, 5:7, 6:1 |
| მაკაროვა-ჩანი | 3:6, 6:2, 6:3 |
| გრონეფელდი-კრეიბასი | 6:4, 6:1 |
| გლეტჩი-ბაშჩინსკი | 6:4, 6:1 |
| გარბინი-ზაკოპალოვა | 6:3, 6:4 |
| დულკო-დომინგეს ლინო | 6:2, 6:4 |
| სტრიუკოვა-კნაპი | 7:6, 6:3 |
| დეში-ტანასუგრანი | 3:6, 5:7 |
| პარმენტიე-სანტანჯელო | 1:6, 5:7 |
| ვიკმაიერი-მარტინეს სანჩესი | 0:6, 4:6 |
| შპრემი-ერაკოვიჩი | 6:0, 6:2 |

## TV პროგრამა

**27 მარტი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:40 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ავრორა (ბოლივია)-გრემიო (ბრაზილია).
09:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
10:05 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ალმერია.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
13:30 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
15:05 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
18:15 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:45 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვერდერი.
20:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:00 სასტვენი.
21:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:00 საფეხბურთო კლუბი.
22:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:15 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
01:05 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
02:10 საფეხბურთო კლუბი.
03:00 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
03:30 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰერტა.
05:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა..
06:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-პსჟ.

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
13:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. თავისუფალი პროგრამა. ლოს-ანჯელესი. აშშ.
15:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ორიგინალური ცეკვა. ლოს-ანჯელესი. აშშ.
16:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
17:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
18:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. თავისუფალი პროგრამა. ლოს-ანჯელესი. აშშ.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
22:15 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ტრეკი). III დღე. პოლონეთი (LIVE).
00:30 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა – ტელეჟურნალი.
00:35 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ლოს-ანჯელესი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ავსტრალია.
12:00 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
15:30 ახალი ამბები.
15:45 სერფინგი. ავსტრალია.
16:30 ახალი ამბები.
16:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. უელსი-პოლონეთი.
17:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/4 ფინალი. ფლენსბურგი (გერმანია)-ჰამბურგი (გერმანია).
18:45 ავსტრალიური ფეხბურთი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XX ტური. მონტობანი-სტად ფრანსე.
21:00 ახალი ამბები.
21:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 ახალი ამბები.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. ავსტრალია.
23:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:15 ახალი ამბები.
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XXI ტური. კასტრი-ტულონი (LIVE).
01:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრია-შვედეთი.
02:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პორტუგალია-ფინეთი.
02:45 სერფინგი. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1. 2009 წლის სეზონის წინ

## FORCE INDIA F1



| მანქანა: VJM0 | ძრავა: Mercedes | საბურავი: Bridgestone |
|---|---|---|
| დაარსების წელი: 2007 | პირველი გრანპრი: ავსტრალია'08 | სულ გრანპრი: 18 |
| გამარჯვებები: 0 | პოულები: 0 | საუკეთესო წრე: 0 |
| ქულები: 0 | კონსტრუქტორთა თასი: 0 | საჩემპიონო ტიტული: 0 |

### 20. ადრიან ზუტილი



დებიუტი: ავსტრალია'07
სტარტი: 35
მოგება: 0. პოული: 0. საუკ. წრე: 0. ქულა: 1
დაიბადა: 11.01.83. გრიოფელფინგი, გერმანია
ცხოვრობს შვეიცარიაში. უცოლო
სიმაღლე: 183 სმ. წონა: 75 კგ.
სარბოლო ინჟინერი: ჯოდი ეგინტონი
ვებგვერდი: www.adriansutil.com

### 21. ჯანკარლო ფიზიკელა



დებიუტი: ავსტრალია'96
სტარტი: 212
მოგება: 3. პოული: 3. საუკ. წრე: 2. ქულა: 267
დაიბადა: 14.01.73. რომი, იტალია
ცხოვრობს იტალიაში. დაქორწინებული
სიმაღლე: 172 სმ. წონა: 66 კგ.
სარბოლო ინჟინერი: ბრედლი ჯოი
ვებგვერდი: www.giancarlofisichella.com

## BRAWN GP



| მანქანა: BGP01 | ძრავა: Mercedes | საბურავი: Bridgestone |
|---|---|---|
| დაარსების წელი: 2009 | პირველი გრანპრი: ავსტრალია'09 | სულ გრანპრი: 0 |
| გამარჯვებები: 0 | პოულები: 0 | საუკეთესო წრე: 0 |
| ქულები: 0 | კონსტრუქტორთა თასი: 0 | საჩემპიონო ტიტული: 0 |

### 22. ჯენსონ ბატონი



დებიუტი: ავსტრალია'00
სტარტი: 153
მოგება: 1. პოული: 3. საუკ. წრე: 0. ქულა: 232
დაიბადა: 19.01.80. ფრომი, ბრიტანეთი
ცხოვრობს მონაკოში. დაქორწინებული
სიმაღლე: 182 სმ. წონა: 70 კგ.
სარბოლო ინჟინერი: ენდრიუ ნლოულინი
ვებგვერდი: www.jensonbutton.com

### 23. რუბენს ბარიკელო



დებიუტი: სამხრეთ აფრიკა'93
სტარტი: 267
მოგება: 9. პოული: 13. საუკ. წრე: 15. ქულა: 530
დაიბადა: 23.05.72. სან პაულუ, ბრაზილია
ცხოვრობს მონაკოში. დაქორწინებული
სიმაღლე: 172 სმ. წონა: 70 კგ.
სარბოლო ინჟინერი: ჯოკ კლია
ვებგვერდი: www.barrichello.com.br

# ფორს ინდიამ და ბრაუნმა ნომრები გაცვალეს

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ კიდევ ერთხელ გადახედა 2009 წლის ჩემპიონატის განაცხადს და მასში მცირედი ცვლილებები შეიტანა.

ადრე გამოქვეყნებული სიის თანახმად, მე-18 და მე-19 ნომრები "ფორს ინდიას" პილოტებს ერგოთ, მე-20 და 21-ე ნომრებით კი "ბრაუნ გრანპრის" წევრებს უნდა ესასპარეზათ. მაგრამ ინდურმა საჯინიბომ შარშანდელი რიცხვების (20, 21) დაბრუნება ითხოვა, რადგან მთელი სარეკლამო კამპანია სწორედ ამ ციფრებზე აქვს აწყობილი.

"ბრაუნ გრანპრის" მფლობელ **როს ბრაუნს** ამ ცვლილების გამო პროტესტი არ გამოუთქვამს და საბოლოოდ, "ფორს ინდიამ" მე-20 და 21-ე ნომრები დაიბრუნა, "ბრაუნი" კი ჩემპიონატში 22-ე და 23-ე ნომრებით გამოვა.

რაც შეეხება მე-18 და მე-19 ნომრებს, 2009 წლის წლის ჩემპიონატში მათ არც ერთ გუნდი არ გამოიყენებს.

■ ■ ■

ამასობაში, "ბრაუნ გრანპრიმ" ახალი სეზონისთვის კიდევ ერთი საკითხი მოაგვარა. კერძოდ, მან 2009 წლის ჩემპიონატისთვის ტესტპილოტი იპოვა. ეს გახლავთ გამოცდილი ბრიტანელი **ენტონი დევიდსონი**, რომელსაც ბრეკლიში ბაზირებულ საჯინიბოსთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. 29 წლის ენტონის 24 გრანპრი აქვს ჩატარებული "მინარიდისა" და "სუპერ აგურის" ბოლიდებით, გარდა ამისა, ის ტესტპილოტად მუშაობდა BAR-ში და "ჰონდაში".

და კიდევ ერთი სიახლის შესახებ, რომელიც "ბრაუნ გრანპრის" ეხება. როგორც იცით, ტესტებზე ამ საჯინიბოს მანქანა სპონსორების ლოგოების გარეშე გამოდიოდა. ახლა კი გუნდმა პირველი სასპონსორო ხელშეკრულება გააფორმა. ეს გახლავთ მოდური ტანსაცმლის მწარმოებელი ბრიტანული კომპანია "ჰენრი ლოიდი". ამ ფირმამ გუნდის პილოტებისა და ტექნიკური პერსონალისთვის ტანსაცმლის მიმწოდებლის ოფიციალური სტატუსი მიიღო.



# 2009 წლის კალენდარი

## 29 მარტი-1 ნოემბერი, 17 ეტაპი

| | |
|---|---|
| 29 მარტი | ავსტრალიის გრან პრი |
| 5 აპრილი | მალაიზიის გრან პრი |
| 19 აპრილი | ჩინეთის გრან პრი |
| 26 აპრილი | ბაჰრეინის გრან პრი |
| 10 მაისი | ესპანეთის გრან პრი |
| 24 მაისი | მონაკოს გრან პრი |
| 7 ივნისი | თურქეთის გრან პრი |
| 21 ივნისი | ბრიტანეთის გრან პრი |
| 12 ივლისი | გერმანიის გრან პრი |
| 26 ივლისი | უნგრეთის გრან პრი |
| 23 აგვისტო | ევროპის გრან პრი |
| 30 აგვისტო | ბელგიის გრან პრი |
| 13 სექტემბერი | იტალიის გრან პრი |
| 27 სექტემბერი | სინგაპურის გრან პრი |
| 4 ოქტომბერი | იაპონიის გრან პრი |
| 18 ოქტომბერი | ბრაზილიის გრან პრი |
| 1 ნოემბერი | აბუ დაბის გრან პრი |

# ალონსოს და პიკეს ხელფასი ჩამოაჭრეს

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მტკივნეულად "რენოს" პილოტებს შეეხოთ. როგორც ფრანგული საჯინიბოს შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** განაცხადა, მისი გუნდის წევრებს - ესპანელ **ფერნანდო ალონსოსა** და ბრაზილიელ **ნელსინიო პიკეს** მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ ხელფასები.

*"მე მათ უკვე ვაცნობე ეს ცუდი ამბავი. ისინი გაგებით მოეკიდნენ შექმნილ სიტუაციას და ხელფასების შემცირებას დათანხმდნენ. ფორმულა 1-ში კრიზისის აშკარა ნიშნები შეიმჩნევა და ამიტომაც ხარჯების შემცირებაზე ფიქრი გვიწევს"*, - ამბობს ბრიატორე, რომელმაც უფრო ადრე საკუთარ ხელფასს ჩამოაჭრა მნიშვნელოვანი თანხა.

მართალია, ფლავიოს არ დაუსახელებია შემცირებული ხელფასების ოდენობა, მაგრამ მის ნაცვლად ეს ბრიტანულმა "დეილი მეილმა" გააკეთა. ამ გამოცემის ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ ალონსო 13 მილიონი ევროს ნაცვლად, ამ სეზონში 8.5 მილიონს მიიღებს, იმ დროს, როცა პიკეს წლიური შემოსავალ 270 ათასი ევრო იქნება. ეს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ხელფასია ფორმულა 1-ის პილოტებს შორის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# ჟუსტინი ბურთით, ანა ჩაქუჩით

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ჟუსტინ ანენი** ტელეარხ RBTF-ზე სერიალის გადაღებებში მიიწვიეს. ფილმის სახელწოდებაა - "ჟუსტინ ანენის 12 მოქმედება". სადებიუტო სერიაში გადაღებისთვის, ჟუსტინს ფეხბურთის თამაშმა მოუწია. მან თავისი საყვარელი გუნდის - "ანდერლეხტის" ფეხბურთელებთან ერთად ივარჯიშა.

ჩოგბურთელი მინდორზე ბელგიური გრანდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად გავიდა და სრულფასოვან ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა. გადაღების შემდეგ, ანენმა განაცხადა, რომ დადებითი ემოციებით დაიმუხტა, კლუბის ფეხბურთელებმა კი აღნიშნეს, რომ ჩოგბურთელი საკმაოდ კარგად ფლობს საფეხბურთო ანბანს.

შემდეგ სერიაში ჟუსტინს უფრო იოლი სამუშაო ელის. მან მოდელის ამპლუაში პოდიუმზე უნდა სცადოს ბედი.

■ ■ ■

ამასობაში, ქალთა ტურის ყოფილმა ვარსკვლავმა **ანა კურნიკოვამ** ნიუ იორკის საფონდო ბირჟა მოინახულა, სადაც ჩაქუჩის სასტარტო დარტყმის სიმბოლური უფლება მიიღო.

ამის შემდეგ, ერთ დროს ქალთა ჩოგბურთის მთავარ ლამაზმანს საფონდო ბირჟაზე ექსკურსია მოუწყვეს, რითაც რუსმა ჩოგბურთელმა აღფრთოვანება ვერ დამალა.







